

585  
1962



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (163)

30 იანვარი

1962 წელი

## ზ ი ნ ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
ბრძანებულებები და დადგენილებები

### ბანაოვილება პირველი

8787

37. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის საპაერო კოდექსის დამტკიცების შესახებ.
38. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვოროშილოვის, მოლოტოვის, კავანოვიჩის, მილენკოვის სახელების მიკუთვნების თაობაზე სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
39. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნორვეგიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. გ. გრიბანოვის გათავისუფლების შესახებ.
40. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნორვეგიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ნ. მ. ლუნკოვის დანიშვნის შესახებ.
41. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხე-ტყის, ცელულოზ-ქაღალდის, ხის დამუშავების მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.
42. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხე-ტყის, ცელულოზ-ქაღალდის, ხის დამუშავების მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ სსრ კავშირის მინისტრის აშ. გ. მ. ორლოვის დანიშვნის შესახებ.

### ბანაოვილება მეორე

43. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საავიაციო ტექნიკის გამოცდებლისათვის „სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავ-გამომცდელის“ და „სსრ კავშირის დამსახურებული შტურმან-გამომცდელის“ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
44. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშ. გ. ი. კონდრატიევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.





- 45. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მილიციის უფროსი, იტენანტის პ. ი. ივანოვის და რაზმელების გ. ლ. ანდრიუშჩენკოს, ი. ი. ბალაგურის, ვ. თ. კრიცინის და ვ. ვ. როჟკოვის მდლით „მამაიკობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
- 46. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არმიის გენერალ ი. ვ. ტიულენევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

**ბანაოფილმა მისამი**

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

**საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები**

**ბანაოფილება პირველი**

- 47. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ შშრომელთა დემუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ.
- 48. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
- 49. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

**ბანაოფილება მეორე**

- 50. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშ. ს. ვ. ცომოისა-თვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 51. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ე. პ. ტაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 52. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ნ. ი. ნაყა-შიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ბანუოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 37 სსრ კავშირის საპაერო კოდექსის დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას სსრ კავშირის საპაერო კოდექსი.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის საპაერო კოდექსი, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 7 აგვისტოს 14/1713 დადგენილებით (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი № 43, მუხლები 359-ა და 359-ბ; 1937 წელი, № 37, მუხლი 151).
3. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნება 1962 წლის 1 იანვრიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორკაძე**.

მოსკოვი. კრემლი. 1961 წლის 26 დეკემბერი.

## სსრ კავშირის საპაერო კოდექსი

თავი I. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** სსრ კავშირის ეკუთვნის სრული და განუყოფელი სუვერენიტეტი სსრ კავშირის საპაერო სივრცეზე.

სსრ კავშირის საპაერო სივრცეში იგულისხმება საპაერო სივრცე სსრ კავშირის სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიაზე, მათ შორის სსრ კავშირის კანონმდებლობითა და სსრ კავშირის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ტერიტორიულ წყლებზე.

**მუხლი 2.** სახელმწიფო ინტერესების დაცვის, საპაერო ზომადების ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისა და მოქალაქეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით სსრ კავშირის საპაერო კოდექსი განსაზღვრავს სამოქალაქო ავიაციისა და სამოქალაქო ჰაერნაოსნობის საქმიანობის წესს.

**მუხლი 8.** სსრ კავშირის საპაერო კოდექსის მოქმედება ვრცელდება:

1) სსრ კავშირის ფარგლებში სამოქალაქო ავიაციისა და სამოქალაქო ჰაერნაოსნობის ყველა სახეობაზე, საავიაციო მრეწველობის საცდელ-საკონსტრუქტორო, ექსპერიმენტული და კვლევითი სამუშაოებისათვის განკუთვნილ ავიაციისა და ჰაერნაოსნობის, საავიაციო მრეწველობის საპაერო ზომალ-

დების, რომლებიც გამოცდას გადაიან, აგრეთვე არმიის, ავიაციისა და ფლოტის საკავშირო ნებაყოფლობითი ხელშემწყობი ორგანიზაციის ავიაციის გამოკლებით;

2) ყველა სამოქალაქო საპაერო ზომალდზე, რომელიც შეტანილია სსრ კავშირის სამოქალაქო საპაერო ზომალდების სახელმწიფო რეესტრში (მუხ-ლი 10), მათი სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ ყოფნის დროს, თუ იმ ქვეყნის კანონები, სადაც იმყოფება საპაერო ზომალდი, არ მოითხოვს სხვას.

**მუხლი 4.** სსრ კავშირში სამოქალაქო ავიაცია და სამოქალაქო პაერონოს-ნობა გამოიყენება შემდეგი მიზნებისათვის:

- 1) მგზავრთა გადასაყვანად, ბაგაჟის, ტვირთის, ფოსტის გადასაზიდვად;
- 2) სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში სპეციალურ სამუშაოთა შესასრულებლად (ავიაციის გამოყენება სოფლის მეურნეობაში, ტყეების დასაცავად, საპაერო ფოტოგადაღებისათვის და ა. შ.);
- 3) მოსახლეობისათვის სამედიცინო და სხვა დახმარების გასაწევად და სანიტარულ ღონისძიებათა ჩასატარებლად;
- 4) საცდელი, ექსპერიმენტული და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად;
- 5) სასწავლო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული მიზნებისათვის.

**მუხლი 5.** ძირითადი ორგანო, რომლის გამგებლობაში იმყოფება სამოქალაქო საპაერო ზომალდები, აგრეთვე აეროპორტები, აეროდრომები და მიწის-ზედა ნაგებობანი, რომლებიც სახელმწიფოს ეკუთვნის, არის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს შეუძლიათ თავიანთ გამგებლობაში, ხოლო კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს — საკუთრებაში იქონიონ სამოქალაქო საპაერო ზომალდები, მიწისზედა მოწყობილობა და იქონიონ თავიანთ გამგებლობაში აეროდრომები მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

**მუხლი 6.** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო ამ კოდექსისა და სსრ კავშირის საპაერო სივრცეში ფრენის ძირითადი წესების (მუხლი 69) შესაბამისად გამოცემს ყველა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის სავალდებულო წესებს, რჩევა-დარიგებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც აწესრიგებენ სამოქალაქო საპაერო ზომალდების ექსპლუატაციას, აეროდრომებისა და აეროპორტების მშენებლობასა და ექსპლუატაციას, სამოქალაქო საპაერო ზომალდების ფრენას, მგზავრების გადაყვანას, ბაგაჟის, ტვირთისა და ფოსტის გადაზიდვას, მათ შორის საერთაშორისო ფრენასა და გადაზიდვას, და სხვა წესებს, რჩევა-დარიგებებსა და ინსტრუქციებს იმ საკითხებზე, რომლებიც მის კომპეტენციას ეკუთვნის.

**მუხლი 7.** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო ინსპექტირებას უწევს სამოქალაქო

ავიაციასა და სამოქალაქო ჰაერნაოსნობას მთლიანად, დამოუკიდებლად უწყებრივი დაქვემდებარებისა.

**მუხლი 8.** სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტს („აეროფლოტს“) აქვს ერთიანი დროშა და ემბლემა თანახმად თანდართული აღწერილობისა.

სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში შეტანილი საჰაერო ხომალდების საერთაშორისო ფრენა ხდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დროშით.

### თავი II. საჰაერო ხომალდები

**მუხლი 9.** სამოქალაქო საჰაერო ხომალდებს მიეკუთვნება ყველა საფრენი აპარატი (როგორც ჰაერზე მსუბუქი, ასევე ჰაერზე მძიმე), იმ საფრენი აპარატების გამოკლებით, რომლებიც შედიან შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში.

**მუხლი 10.** სახელმწიფო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გამგებლობაში მყოფი, აგრეთვე კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კუთვნილი საჰაერო ხომალდები (დადგენილი ნუსხით) აუცილებლად რეგისტრირებულ უნდა იქნან სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში.

საჰაერო ხომალდის რეესტრში შეტანის შემდეგ გაიცემა მოწმობა ხომალდის რეგისტრაციის შესახებ.

სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრის წარმოება და იმ საჰაერო ხომალდების ნუსხის დადგენა, რომლებიც რეგისტრირებულ უნდა იქნან, ეკისრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს.

**მუხლი 11.** საჰაერო ხომალდის სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში შეტანის მომენტიდან სსრ კავშირი არ ცნობს უცხო სახელმწიფოთა საჰაერო ხომალდების რეესტრებში ამ ხომალდის მიმართ ყველა ადრე გაკეთებულ ჩანაწერს.

სსრ კავშირი ასევე არ ცნობს სსრ კავშირის საჰაერო ხომალდის უცხო სახელმწიფოს საჰაერო ხომალდების რეესტრში შეტანას, თუ საჰაერო ხომალდი დადგენილი წესით ამოღებული არ არის სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან.

**მუხლი 12.** სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში შეტანილი საჰაერო ხომალდი შეიძლება ამოღებულ იქნას რეესტრიდან:

- 1) საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციიდან მოხსნის შემთხვევაში;
- 2) საჰაერო ხომალდის მისპობის შემთხვევაში;
- 3) საჰაერო ხომალდის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში, როცა ხომალდის ძებნა შეწყვეტილია (მუხლი 67);
- 4) დადგენილი წესით საჰაერო ხომალდის უცხო სახელმწიფოსათვის, უცხოელ იურიდიულ პირისათვის ან უცხოელ მოქალაქისათვის მიყიდვის ან გადაცემის შემთხვევაში.



**მუხლი 13.** საპაერო ხომალდს სსრ კავშირის სამოქალაქო საპაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში შეტანის დროს მიეკუთვნება სახელმწიფო-სარეგისტრაციო გამოსაცნობი ნიშანი, რომელიც გაუკეთდება ხომალდს.

სამედიცინო-სანიტარული სამსახურის დანიშნულების საპაერო ხომალდებს, გარდა ამისა, უნდა გაუკეთდეს წითელი ჯერის ან წითელი ნახევარმთავარის გამოსახულება. ეს ხომალდები შეღებილი უნდა იყოს თეთრად.

სამოქალაქო საპაერო ხომალდების გამოსაცნობი ნიშნებისა და მათი გაკეთების წესებს დაადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს მიერ დადგენილი წესით საპაერო ხომალდს, გარდა გამოსაცნობი ნიშნისა, შეიძლება მიეკუთვნოს განსაკუთრებული სახელწოდება, რომელიც შეტანილ იქნება რეესტრში და გაუკეთდება საპაერო ხომალდს.

**მუხლი 14.** საპაერო ხომალდი შეიძლება დაშვებულ იქნას საექსპლუატაციოდ მხოლოდ მას შემდეგ, როცა დადგენილი იქნება, რომ იგი აკმაყოფილებს ფრენის უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ამის შესაბამისად:

- 1) ახალი კონსტრუქციის საპაერო ხომალდი საექსპლუატაციოდ დაიშვება მხოლოდ სახელმწიფო და საექსპლუატაციო გამოცდის ჩატარების შემდეგ;
- 2) მიღებული კონსტრუქციის საპაერო ხომალდი საექსპლუატაციოდ დაიშვება მხოლოდ საქარხნო გამოცდის ჩატარების შემდეგ;
- 3) საპაერო ხომალდის კონსტრუქციის შეცვლის შემთხვევაში, ასევე რემონტის ჩატარებისა და ხომალდის ექსპლუატაციის განსაზღვრული პერიოდის გასვლის შემდეგ იგი დადგენილი წესით ხელახლა უნდა გამოიცადოს.

ჩატარებული გამოცდების საფუძველზე გაიცემა მოწმობა ხომალდის ფრენისათვის ვარგისობის შესახებ.

ფრენისათვის საპაერო ხომალდის ვარგისობის შესახებ მოწმობის გაცემის წესს, აგრეთვე საექსპლუატაციოდ დაშვებული თითოეული ხომალდის გამოცდის პერიოდულობას, დაადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

**მუხლი 15.** საპაერო ხომალდზე უნდა იყოს ხომალდის შემდეგი დოკუმენტები:

- 1) მოწმობა ხომალდის რეგისტრაციის შესახებ;
- 2) მოწმობა ფრენისათვის ხომალდის ვარგისობის შესახებ;
- 3) ხომალდის ჟურნალი;
- 4) ნებართვა რადიოსადგურის ექსპლუატაციის შესახებ;
- 5) ხომალდის სხვა დოკუმენტები, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს მიერ.

ნებართვა რადიოსადგურის ექსპლუატაციის შესახებ შეიძლება გაფორმებულ იქნას საპაერო ხომალდის რეგისტრაციის მოწმობაში.



**მუხლი 16.** თითოეულ საპაერო ხომალდს, რომელსაც აქვს რადიოსადგომი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო დადგენილი წესით მიაკუთვნებს მოხმობის განსაკუთრებულ რადიოსიგნალს.

**მუხლი 17.** სსრ კავშირის სამოქალაქო საპაერო ფლოტის სახელმწიფო რეესტრში შეტანილი საპაერო ხომალდებით სარგებლობის უფლების ყოველი სახის შეზღუდვა, როგორც არის: გარკვეული ვალდებულების შესრულება, მათი დროებით ან მუდმივად ამოღება და სხვა შეზღუდვა, გამოწვეული განსაკუთრებული მდგომარეობით, დაიშვება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

**თავი III. საპაერო ხომალდის ეკიპაჟი**

**მუხლი 18.** საპაერო ხომალდის ეკიპაჟი შედგება კომანდირისაგან, მფრინავთა შემადგენლობის სხვა პირთაგან და მომსახურე პერსონალისაგან.

საპაერო ხომალდის ეკიპაჟის შემადგენლობას ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო საპაერო ხომალდის ტიპის, კლასისა და დანიშნულების მიხედვით. საპაერო ხომალდის ეკიპაჟმა ფრენისათვის უნდა გაიაროს სპეციალური მომზადება ამ ტიპის ხომალდზე.

ხომალდის ფრენა ეკიპაჟის არასრული შემადგენლობით დაუშვებელია.

**მუხლი 19.** სსრ კავშირის სამოქალაქო საპაერო ფლოტის სახელმწიფო რეესტრში შეტანილი საპაერო ხომალდების ეკიპაჟი უნდა შედგებოდეს მხოლოდ სსრ კავშირის მოქალაქეთაგან.

გამონაკლისი ამ წესიდან შეიძლება დადგენილ იქნას იმ წესით, რომელსაც ითვალისწინებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

**მუხლი 20.** საპაერო ხომალდის ეკიპაჟის შემადგენლობის პირები ვალდებული არიან ჰქონდეთ დაკავებული თანამდებობის შესაბამისი სპეციალური მომზადება, იცოდნენ სსრ კავშირის საპაერო კოდექსი, სსრ კავშირის საპაერო სივრცეში ფრენის ძირითადი წესები და სხვა წესები. რჩევა-დარიგებები და ინსტრუქციები, რომლებიც აწესრიგებენ მათ მუშაობას.

სპეციალობის, მომზადების დონისა და მუშაობის გამოცდილების მიხედვით მფრინავთა შემადგენლობის პირებს ენიჭებათ კლასი და ეძლევათ შესაბამისი მოწმობა ერთი წლის ვადით. მფრინავთა შემადგენლობის პირებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს თან უნდა ჰქონდეთ აღნიშნული მოწმობა და მოთხოვნილებისთანავე წარუდგინონ იგი ამაზე რწმუნებით აღჭურვილ პირებს.

კლასის მინიჭების და მოწმობების გაცემის წესს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

**მუხლი 21.** საპაერო ხომალდის ეკიპაჟის შემადგენლობის პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს სსრ კავშირის მინისტრთა

საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს  
მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

საფრენოსნო მუშაობისათვის ჯანმრთელობის მდგომარეობის ვარჯისობას განსაზღვრავენ საექიმო-საფრენოსნო საექსპერტო კომისიები.

**მუხლი 22.** საპაერო ხომალდის კომანდირი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც აქვს პილოტის (მფრინავის) სპეციალობა, აგრეთვე გააჩნია მომზადება და გამოცდილება, რაც საჭიროა ამ ტიპის საპაერო ხომალდის დამოუკიდებლად მართვისათვის.

საპაერო ხომალდის კომანდირი ხელმძღვანელობს ეკიპაჟის მთელ საქმიანობას, უზრუნველყოფს მკაცრ დისციპლინასა და წესრიგს ხომალდზე. ნავიგაციის წესების და ხომალდის ექსპლუატაციის დაცვას, აგრეთვე ლეზულობს საჭირო ღონისძიებებს ხომალდზე მყოფი ხალხის უშიშროების, ხომალდისა და ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად.

**მუხლი 23.** მგზავრების გადასაყვანად განკუთვნილი საპაერო ხომალდის მართვა ნებადართული აქვთ მხოლოდ იმ პილოტებს, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

**მუხლი 24.** საპაერო ხომალდის კომანდირის განკარგულება უსიტყვოდ უნდა შეასრულოს ყველა პირმა, ვინც კი იმყოფება ხომალდზე. ხომალდის ფრენის დროს კომანდირს უფლება აქვს გამოიყენოს ყველა საჭირო ზომა იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავიანთი მოქმედებით საფრთხეს უქმნიან ფრენას და არ ემორჩილებიან მის განკარგულებებს.

საპაერო ხომალდის უახლოეს აეროპორტში მისვლის დროს ის პირნი, რომლებმაც თავიანთი მოქმედებით საფრთხე შეუქმნეს ფრენას და არ დაემორჩილნენ კომანდირის განკარგულებას, შეიძლება გაძევებულ იქნან ხომალდიდან, ხოლო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გადაეცემათ შესაბამის ორგანოებს.

**მუხლი 25.** თუ ფრენის დროს საპაერო ხომალდს საფრთხე ემუქრება ან ხომალდმა ვანიცადა უბედურება, ხომალდის კომანდირი ვალდებულია მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიება ხალხის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ხომალდისა და მასზე მყოფი ქონების დასაცავად.

კომანდირს უფლება აქვს გადმოყაროს ხომალდიდან ბაგაჟი, ტვირთი ან ფოსტა, თუ ეს აუცილებელია მგზავრებისა და ეკიპაჟის გადასარჩენად, ხომალდის დასაცავად და ფრენის გაგრძელებისა და დაჯდომის უშიშროების უზრუნველსაყოფად.

ეკიპაჟის ყველა წევრი, ხოლო საჭირო შემთხვევებში მგზავრებიც ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ ხომალდისა და ხალხის გადარჩენაში.

უბედურებაში მყოფი ხომალდისა და მასზე არსებული ქონების დაცვის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის კომანდირს უფლება აქვს იმ ორგანიზაციის სახელით, რომლის გამგებლობაშიც ხომალდი იმყოფება, დადოს ხელშეკრულება ხომალდის, ტვირთის, ბაგაჟის, ფოსტის ტრანსპორტირების შესახებ და მიიღოს სხვა, მდგომარეობით გამოწვეული ღონისძიებები.



უბედურების შემთხვევაში არავის არა აქვს უფლება დატოვოს ხომალდი კომანდირის ნებართვის გარეშე. ხომალდს ყველაზე ბოლოს ტოვებს კომანდირი.

**მუხლი 26.** საჰაერო ხომალდის კომანდირი, რომელმაც მიიღო უბედურების სიგნალი სხვა საჰაერო ხომალდიდან ან საზღვაო ან სამდინარო ხომალდიდან, ან აღმოაჩინა საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდი, რომელიც უბედურებას განიცდის, ან საფრთხეში ჩავარდნილი ხალხი, ვალდებულია გაუწიოს დახმარება, როგორც ეს მას შეუძლია მისთვის მინდობილი ხომალდის მგზავრებისა და ეკიპაჟისათვის საფრთხის შეუქმნელად, აღნიშნოს რუკაზე უბედურების შემთხვევის ადგილი და აცნობოს უბედურების შესახებ ჰომარობის ხელმძღვანელობის სამსახურს.

#### თავი IV. აეროდრომები და აეროპორტები

**მუხლი 27.** საჰაერო ხომალდების მომსახურებისათვის, რომლებიც მგზავრების გადაყვანის, ტვირთის, ბაგაჟის და ფოსტის გადატანის, აგრეთვე სხვა მიზნებით ფრენენ (მუხლი 4), ეწყობა აეროდრომები და აეროპორტები.

**მუხლი 28.** აეროდრომი წარმოადგენს მიწის ან წყლის მონაკვეთს, რომელიც სპეციალურად არის მოწყობილი საჰაერო ხომალდების ასაფრენად, დასაჯდომად, გასაჩერებლად და მომსახურებისათვის.

ყველა აეროდრომი უნდა აკმაყოფილებდეს საჰაერო ხომალდების აფრენის, დაჯდომის, გაჩერებისა და აეროდრომის რაიონში ფრენის უსაფრთხოების მოთხოვნებს.

აეროდრომის მისასვლელები უნდა უზრუნველყოფდეს აეროდრომის რაიონში ფრენის უსაფრთხოებას, სიმაღლის აღებას აფრენის დროს და დასაჯდომად დაშვებას.

**მუხლი 29.** სამოქალაქო აეროდრომები, საცდელი ფრენისათვის განკუთვნილი აეროდრომების გამოკლებით, ღია ყველა საჰაერო ხომალდისათვის, რომელიც შეტანილია სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში.

**მუხლი 30.** ყველა სამოქალაქო აეროდრომი, გარდა დროებითი აეროდრომებისა, აუცილებლად რეგისტრირებულ უნდა იქნას სსრ კავშირის სამოქალაქო აეროდრომების სახელმწიფო რეესტრში, რომლის წარმოება ევალება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს.

აეროდრომის რეესტრში შეტანის შემდეგ გაიცემა მოწმობა აეროდრომის რეესტრაციის შესახებ.

**მუხლი 31.** აეროდრომი შეიძლება საექსპლუატაციოდ გადაეცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგენილ იქნება, რომ იგი აკმაყოფილებს საჰაერო ხომალდების ფრენის უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ამის შესაბამისად:

1) ახლად აშენებული აეროდრომი უნდა მიიღოს სპეციალურმა კომისიამ, რომელიც დაინიშნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით;

2) აეროდრომის რეკონსტრუქციის შემთხვევაში, მისი საფრენი მინდვრის ან ფრენის უსაფრთხოებაზე გავლენის მქონე ნაგებობების შეცვლის, აგრეთვე აეროდრომის ექსპლუატაციის განსაზღვრული პერიოდის გასვლის შემდეგ აეროდრომს დებულობს კომისია, რომელიც დაინიშნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს მიერ დადგენილი წესით.

კომისიის მიერ აეროდრომის მიღების შემდეგ გაიცემა ნებართვა მისი ექსპლუატაციის შესახებ.

ექსპლუატაციის შესახებ ნებართვის გაცემა, აგრეთვე ექსპლუატაციაში მყოფი აეროდრომის ვარგისობის პერიოდული შემოწმებები, წარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს მიერ დადგენილი წესით.

**მუხლი 32.** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს უფლება აქვს აკრძალოს ან შეზღუდოს ვადით ან ვადის ჩვენების გარეშე აეროდრომის ექსპლუატაცია, რომლის მდგომარეობა არ უზრუნველყოფს ფრენის უსაფრთხოებას, ან თუ აეროდრომი გამოიყენება დადგენილი წესების დარღვევით.

**მუხლი 33.** აეროდრომების მშენებლობასა და რეკონსტრუქციას, გარდა დროებითი აეროდრომებისა, ახორციელებენ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს ნებართვით.

დროებითი აეროდრომების მშენებლობა ხორციელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

**მუხლი 34.** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველო შეათანხმებს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან საკითხს ახალი აეროდრომებისა და აეროპორტების მშენებლობისა და არსებულის რეკონსტრუქციის შესახებ.

**მუხლი 35.** დაგეგმვა და ხელახლა დაგეგმვა ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისა, რომელთა ტერიტორიაზე ან რაიონში არის აეროდრომი ან აეროპორტი, უნდა წარმოებდეს საჰაერო ზომალდების ფრენის უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვით და იმ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებთან შეთანხმებით, რომელთა გამგებლობაში იმყოფება აეროდრომები და აეროპორტები.

**მუხლი 36.** აეროდრომები და ასაფრენ-დასაჯდომი ზოლები ჰაერიდან მათი გამოცნობისა და საჰაერო ზომალდების აფრენისა და დაჯდომის დროს ეკიპაჟის ორიენტირების მიზნით დაიკვალება დადგენილი წესების შესაბამისად.

აეროდრომის რაიონში რაიმე ნიშნების მოწყობა, რომლებიც მსგავსი იქნება აეროდრომების გამოსაცნობად მიღებული კვალის ნიშნებისა, აკრძალულია.

**მუხლი 37.** აეროდრომის ტერიტორიის სანახებში და საჰაერო ტრასების ფარგლებში განლაგებული მაღალი შენობებისა და ნაგებობების მეპატრონენი



ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ვალდებული არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს მოთხოვნით და მის მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად ამ შენობებზე და ნაგებობებზე თავიანთ ხარჯზე გააკეთონ ღამის შუქნიშნები და დღის კვალის ნიშნები, აგრეთვე რადიოტექნიკური მოწყობილობა.

**მუხლი 38.** აეროდრომის რაიონში შენობებისა და ნაგებობების, კავშირგაბმულობის საჰაერო ხაზებისა და ელექტროგადაცემის მაღალი ძაბვის ხაზების მშენებლობა, რომელთა არსებობამ შეიძლება საშიშროება შექმნას საჰაერო ხომალდების ფრენის უსაფრთხოებისათვის, შეთანხმებულ უნდა იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოსთან.

შეთანხმებას ექვემდებარება:

- 1) აეროდრომის საზღვრებიდან 10 კილომეტრის მანძილზე დაპროექტებული შენობებისა და ნაგებობათა, კავშირგაბმულობის საჰაერო ხაზებისა და ელექტროგადაცემის მაღალი ძაბვის ხაზების მშენებლობა;
- 2) აეროდრომის საზღვრებიდან 10-დან 30 კილომეტრამდე მანძილზე დაპროექტებული შენობებისა და ნაგებობათა, კავშირგაბმულობის საჰაერო ხაზებისა და ელექტროგადაცემის მაღალი ძაბვის ხაზების მშენებლობა, რომელთა ზედა წერტილის აბსოლუტური აღნიშვნა 50 მეტრით და უფრო მეტად მაღალია აეროდრომის აბსოლუტურ აღნიშვნაზე;
- 3) აეროდრომის საზღვრებიდან 75 კილომეტრამდე მანძილზე დაპროექტებული 200 მეტრი და მეტი სიმაღლის ნაგებობათა მშენებლობა.

საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქეები, რომლებმაც დაარღვიეს ამ მუხლით დადგენილი ნორმები, ვალდებული არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს მოთხოვნით მის მიერ აღნიშნულ ვადაში თავიანთ ხარჯზე და თავიანთი ძალებით მოახდინონ შენობებისა და ნაგებობათა დანგრევა, გადატანა ან საჭირო ცვლილებები.

ამ მუხლში აღნიშნული ობიექტების მშენებლობისათვის მიწისა და წყლის ნაკვეთების გამოყოფა ხდება ამ მშენებლობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს თანხმობის მიღების შემდეგ.

**მუხლი 39.** აეროდრომებზე უზრუნველყოფილ უნდა იქნას:

- 1) აეროდრომის ნაგებობათა მუდმივი ვარგისიანობა მათი ექსპლუატაციისათვის;
- 2) საჰაერო ხომალდების თავის დროზე მიღება და გასაფრენად გაშვება;
- 3) საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება;
- 4) საჰაერო ხომალდების მოძრაობისათვის ხელმძღვანელობა აეროდრომის ზონაში და საჰაერო ტრასებზე.

**მუხლი 40.** აეროპორტი არის საწარმო, რომელიც რეგულარულად ახორციელებს მგზავრების მიღებასა და გადაყვანას, ბაგაჟის, ტვირთისა და ფოსტის მიღებასა და გადაზიდვას, საჰაერო ხომალდების ფრენის ორგანიზაციასა და



მომსახურებას და აქვს ამ მიზნისათვის აეროდრომი, ვოგზალი, მიწისზედა საგზაო ხაზი, აგრეთვე საჭირო მოწყობილობა.

აეროპორტებში, რომლებიც ახორციელებენ მიღებას და გასაფრენად გაშვებას იმ საჰაერო ხომალდებისა, რომლებიც ახდენენ საერთაშორისო ფრენას, შესაბამისი სამინისტროები, უწყებები, ორგანიზაციები ქმნიან პუნქტებს ყველა სახის სასაზღვრო კონტროლისა და გასინჯვისათვის. აეროპორტებში ამ პუნქტებისათვის გამოიყოფა საჭირო სადგომი.

**მუხლი 41.** აეროპორტს უნდა ჰქონდეს რეგულარული კავშირი უახლოეს ქალაქებთან და სხვა დასახლებულ პუნქტებთან.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ აეროდრომთან მისასვლელი გზების მშენებლობას, რეკონსტრუქციას, კეთილმოწყობასა და ექსპლუატაციას, ამ გზებზე სამგზავრო ტრანსპორტის რეგულარულ მოძრაობას, აგრეთვე ქალაქების სატელეფონო კავშირს აეროპორტებთან.

**მუხლი 42.** აეროპორტები იყოფა კლასებად. აეროპორტების მოწყობილობა უნდა შეესაბამებოდეს მათ კლასს.

აეროპორტებისათვის განსაზღვრული კლასის მიკუთვნებას და მათთვის სავალდებულო მოწყობილობის ნუსხის დამტკიცებას აწარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

**მუხლი 43.** აეროდრომებისა და აეროპორტების მშენებლობისათვის მიწისა და წყლის ნაკვეთების გამოყოფა წარმოებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**თავი V. სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში ფრენა**

**მუხლი 44.** სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში ფრენის უფლება აქვთ მხოლოდ იმ საჰაერო ხომალდებს, რომელთაც აქვთ სახელმწიფო-სარეგისტრაციო გამოსაცნობი ნიშნები.

**მუხლი 45.** საჰაერო ხომალდების რეგულარული ფრენა სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში ხორციელდება დამტკიცებულ მუდმივ მარშრუტებით (საჰაერო ტრასებით).

საჰაერო ტრასები მოწყობილია რადიოშუქტეჩნიკური და სხვა საშუალებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ საჰაერო ხომალდების რეგულარულ მოძრაობას ჩვეულებრივ და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში დღისით და ღამით.

საჰაერო ტრასების მიმართულება, მათი სივანე და მოწყობილობის ნუსხა განსაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს მიერ დადგენილი წესით. საჰაერო ტრასების გადაკვეთა დაშვებულია მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებში და დადგენილ სიმაღლეზე.

საჰაერო ხომალდების ფრენა ტრასის გარეშე უნდა მოხდეს თითოეული გაფრენისათვის დადგენილი ერთჯერადი მარშრუტით.



საპაერო ხომალდმა, რომელიც ფრენის დროს აღმოჩნდება საპაერო სის ან ერთჯერადი მარშრუტის ფარგლებს გარეთ, ამის აღმოჩენისთანავე დაუყოვნებლივ უნდა გაასწორდეს ფრენის კურსი.

**მუხლი 46.** საპაერო ტრასებზე არსებული ბუნებრივი დაბრკოლებანი, რომლებიც შეიძლება დაემუქროს ფრენის უსაფრთხოებას, აღნიშნულ უნდა იქნას საფრენოსნო რუკაზე, ხოლო ხელოვნურ დაბრკოლებებს, რომლებიც შეიძლება დაემუქროს ფრენის უსაფრთხოებას, უნდა ჰქონდეს ნიშნები და შუქსიგნალები, რომლებიც ფრენის დროს თავისუფლად უნდა ჩანდეს საპაერო ხომალდიდან.

**მუხლი 47.** აკრძალულ სასაზღვრო ზონაში და სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის ადგილებში (საპაერო ჭიშკარში) საპაერო ხომალდების ფრენისათვის დადგენილ იქნება განსაკუთრებული რეჟიმი.

ზოგიერთ რაიონზე და დასახლებულ პუნქტზე, აგრეთვე ცალკეულ ობიექტებზე, რომელთაც განსაკუთრებით დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ, საპაერო ხომალდების ფრენა შეიძლება შეიზღუდოს ან აკრძალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

**მუხლი 48.** საპაერო ტრასებზე საპაერო ხომალდების მოძრაობის მართვას ახორციელებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

**მუხლი 49.** საპაერო ხომალდის გაფრენას წინ უნდა უძღოდეს ხომალდისა და მისი ეკიპაჟის სპეციალური მომზადება, ფრენის უზრუნველსაყოფად მიწისზედა სამსახურების მზადყოფნის შემოწმება იმ აეროდრომზე, საიდანაც უნდა აფრინდეს ხომალდი და იმ აეროდრომზე, სადაც იგი უნდა დაჯდეს, მეტეოროლოგიური პირობების მდგომარეობის, აგრეთვე ფრენის სხვა პირობების შესწავლა.

ფრენისათვის მომზადების წესებს და იმ პირთა წრეს, რომელიც პასუხისმგებელია მომზადებისათვის, ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

**მუხლი 50.** საპაერო ხომალდის ვაფრენა ხდება მხოლოდ მაშინ, როცა გაფრენაზე არსებობს ნებართვა.

საპაერო ხომალდის გაფრენაზე ნებართვის გაცემის წესს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

**მუხლი 51.** საპაერო ხომალდი გასაფრენად შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ მაშინ, როცა მასზე არის:

- 1) ხომალდის დოკუმენტები (მუხლი 15);
- 2) დავლება გაფრენაზე ფრენის გეგმითა და გაფრენაზე ნებართვით;
- 3) ეკიპაჟი, რომელიც მოცემულ პირობებში დაშვებულია ასეთი ტიპის საპაერო ხომალდზე საფრენად;
- 4) სათბობი საჭირო რაოდენობით, დადგენილი სანავიგაციო მარაგის ჩათვლით;
- 5) დოკუმენტები საპაერო ხომალდზე მყოფი მგზავრებისა და არსებული ბაგაჟის, ტვირთისა და ფოსტის შესახებ;

6) საფრენოსნო რუკები და სხვა დოკუმენტები, რომლებსაც დაადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

საჰაერო ხომალდებისათვის, რომლებიც საცდელ ფრენას აწუებენ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს შეუძლია დააწესოს გადახვევები იმ მოთხოვნებიდან, რასაც ითვალისწინებს ეს მუხლი.

**მუხლი 52.** საჰაერო ხომალდის თითოეული გაფრენა უნდა წარმოებდეს ფრენის გეგმის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია დადგენილი წესით. ფრენის გეგმიდან გადახვევა დაიშვება მხოლოდ მოძრაობის ხელმძღვანელობის სამსახურის ნებართვით.

მოძრაობის ხელმძღვანელობის სამსახურის ყველა მითითება საჰაერო ხომალდის ეკიპაჟისათვის სავალდებულოა და მის მიერ უსიტყვოდ უნდა შესრულდეს. მაგრამ ფრენის უსაფრთხოების აშკარა საშიშროების შემთხვევაში საჰაერო ხომალდის კომანდირს, იმოქმედებს რა დადგენილი საფრენოსნო წესების შესაბამისად, შექმნილი მდგომარეობის მიხედვით შეუძლია მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და გადაუხვიოს მოძრაობის ხელმძღვანელობის სამსახურის მითითებებს და ფრენის გეგმას. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ საჰაერო ხომალდის კომანდირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მოძრაობის ხელმძღვანელობის სამსახურს.

**მუხლი 53.** საჰაერო ხომალდების ფრენა უნდა წარმოებდეს მხოლოდ შესაბამისი მეტეოროლოგიური პირობების არსებობის დროს. თითოეული საჰაერო ხომალდი მთელ მარშრუტზე უზრუნველყოფილია მონაცემებით ამინდის შესახებ.

ფრენის დროს ისეთი მეტეოროლოგიური პირობების წარმოქმნის შემთხვევაში, რომლებიც ემუქრება ფრენის უსაფრთხოებას, საჰაერო ხომალდის კომანდირმა და მოძრაობის ხელმძღვანელმა თანამდებობის პირებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა საჰაერო ხომალდის საშიში პირობებიდან გამოსაყვანად და ფრენის გასაგრძელებლად ან შესაწყვეტად.

**მუხლი 54.** საჰაერო ხომალდების ფრენის მეტეოროლოგიურ მომსახურებას უსასყიდლოდ აწარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველო იმ წესით, რომელსაც დაადგენს იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით.

**მუხლი 55.** საჰაერო ხომალდების ფრენა უნდა წარმოებდეს უსაფრთხო სიმაღლეზე და ერთმანეთისაგან ისეთი დაშორებით, რომ გამორიცხული იყოს ხომალდების შეჯახების შესაძლებლობა.

**მუხლი 56.** საჰაერო ხომალდების ფრენა დასახლებულ პუნქტებზე შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ ისეთ სიმაღლეზე, რაც საჰაერო ხომალდის უწყისივრობის შემთხვევაში მას საშუალებას მისცემს დაჯდეს ამ პუნქტებს ფარგლებს გარეთ ან უახლოეს აეროდრომზე.



საპაერო ხომალდების საცდელი და ფიგურული ფრენა დასახლებულ პუნქტებზე აკრძალულია. ამ წესიდან გადახვევები დაიშვება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს ნებართვით.

**მუხლი 57.** ფოტოგრაფირება, კინოგადაღება და საპაერო ხომალდის რადიოკავშირის საშუალებებით სარგებლობა დაიშვება იმ წესით, რომელიც დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით განსაზღვრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს მიერ დადგენილი სპეციალური წესებით.

**მუხლი 58.** საპაერო ხომალდის გამოცდისას ფრენის დროს მასზე შეიძლება იმყოფებოდნენ მხოლოდ ის პირნი, რომელთაც აკისრიათ ხომალდის, მისი ძრავებისა და მოწყობილობის გამოცდა პაერში.

**მუხლი 59.** ფრენის დროს საპაერო ხომალდსა და მოძრაობის ხელმძღვანელობის სამსახურს შორის დამყარებული უნდა იყოს მუდმივი რადიოკავშირი.

რადიოკავშირის დამყარების წესებს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო. კავშირის მოშლის შემთხვევაში საპაერო ხომალდის კომანდირი და მოძრაობის ხელმძღვანელობის სამსახური ვალდებული არიან მიიღონ გადაუდებელი ზომები მის აღსადგენად. კავშირის აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში საპაერო ხომალდი უნდა დაჯდეს უახლოეს აეროდრომზე და თავისი ადგილსამყოფელის შესახებ აცნობოს მოძრაობის ხელმძღვანელობის სამსახურს.

**მუხლი 60.** საპაერო ხომალდების ფრენის ხელმძღვანელობის გასაზოცრელებლად სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს იჯარის უფლებით აძლევს რადიოკავშირის, რადიოტელეგრაფის, რადიოტელეფონისა და სამავთულო კავშირგაბმულობის არხებს.

თუ არ არსებობს იჯარის უფლებით გამოყოფილი კავშირგაბმულობის არხები ფრენის სახელმძღვანელოდ გამოიყენება კავშირის ის საშუალებანი, რომლებიც აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს, აგრეთვე კავშირგაბმულობის საერთო სარგებლობის არხები.

დალაპარაკება, აგრეთვე უბედურებაში ჩავარდნილი საპაერო ხომალდისათვის, მისი ეკიპაჟისა და მგზავრებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ დეპეშების მიღება და გადაცემა წარმოებს ყოველგვარი რიგის გარეშე, ჩვეულებრივი ტარიფის გადახდევინებით.

დალაპარაკება, აგრეთვე საპაერო ხომალდების, რომლებიც ასრულებენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან რეისებს, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მოძრაობის ხელმძღვანელობის დაუყოვნებლივ მოქმედებასთან დაკავშირებული დეპეშების მიღება და გადაცემა ხდება რიგის გარეშე, ჩვეულებრივი ტარიფის გადახდევინებით.



სამოქალაქო საპაერო ხომალდების მოძრაობის ხელმძღვანელობის დროს საერთო სარგებლობის კავშირგაბმულობის საშუალებებით სარგებლობის წესს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან შეთანხმებით ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

**მუხლი 61.** რადიოკავშირის განსახორციელებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს დადგენილი წესით გამოეყოფა სპეციალური რადიოსიხშირეები, რომლებიც დაცულ უნდა იქნან რადიოდაბრკოლების წყაროებისაგან.

საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქენი, რომელთაც აქვთ დანადგარები და აპარატები, რომლებიც საპაერო ტრასებზე და აეროდრომების რაიონში ქმნიან რადიოკავშირის რადიოდაბრკოლებებს, ვალდებული არიან სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს შესაბამის ორგანოთა მოთხოვნით საკუთარი სახსრებითა და თავისი საშუალებებით მოსპონ დაბრკოლებები, ხოლო მათ მოსპობამდე შეწყვიტონ ამ დანადგარების ან აპარატების მუშაობა.

**მუხლი 62.** საპაერო ხომალდი, რომელიც ნებართვის გარეშე შეიჭრება სსრ კავშირის საპაერო სივრცეში, ან იმყოფება სსრ კავშირის საპაერო სივრცეში სახელმწიფო-სარეგისტრაციო გამოსაცნობი ნიშნების გარეშე, ან დაარღვია ფრენის დადგენილი რეჟიმი, ჩართვება საპაერო ხომალდ-დამრღვევად და, თუ არ დემორჩილება იმ ორგანოების მოთხოვნებს, რომლებიც კონტროლს უწყვეტ ფრენას, მას აიძულებენ დაჯდეს.

საპაერო ხომალდი-დამრღვევი, რომელმაც მიიღო განკარგულება დაჯდომის შესახებ, უნდა დაჯდეს მითითებულ ადგილზე.

დაჯდომის შემდეგ, როცა დარღვევის მიზეზები გამოირკვევა, საპაერო ხომალდს შეუძლია გააგრძელოს ფრენა მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს ნებართვით.

**მუხლი 63.** საპაერო ხომალდი უბედურებაში ჩავარდნილად ჩაითვლება, თუ მას, მგზავრებსა და ეკიპაჟს ემუქრება უშუალო საფრთხე, რომელიც შეუძლებელია აღიკვეთოს თვით ეკიპაჟის მოქმედებით.

უბედურებაში ჩავარდნილმა საპაერო ხომალდმა დადგენილი წესით უნდა გადმოსცეს უბედურების სიგნალები მიწისზედა რადიოსადგურებს საპაერო ხომალდების კავშირის რადიოსიხშირეებზე.

ზღვაზე ფრენის დროს უბედურების ნიშანს საპაერო ხომალდი გაიმეორებს საერთაშორისო სიხშირეზე, რომელიც დადგენილია ამ სიგნალის გადასაცემად საზღვაო ხომალდებისა და გადარჩენის სამსახურებისათვის.

**მუხლი 64.** მოძრაობის ხელმძღვანელობის სამსახური და უახლოესი აეროპორტები უბედურებაში ჩავარდნილი საპაერო ხომალდისათვის უზრუნველყოფენ გადაუღებელი დახმარების აღმოჩენას. ამასთან შეიძლება გამოყენებულ იქნას საპაერო ტრასების რაიონში და აეროპორტების მახლობლად მდებარე ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების რადიოსანავიგაციო საშუალებანი.





უბედურებაში ჩავარდნილ უცხოეთის საპაერო ხომალდებს დახმავება  
 გაეწევათ სსრ კავშირის საპაერო ხომალდების თანაბრად.

**მუხლი 65.** საპაერო ხომალდი უბედურება შემთხვეულად ჩაითვლება, როცა აფრენის, დაჯდომის ან ვარდნის დროს სერიოზულად დაზიანდება ან მთლიანად დაიმტვრევა, აგრეთვე საპაერო ხომალდი, რომელიც იძულებით დაჯდება აეროდრომის ფარგლებს გარეთ.

**მუხლი 66.** საპაერო ხომალდი უგზო-უკვალოდ დაკარგულად ჩაითვლება, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია იმ ვადის გასვლის შემდეგ, რომლის განმავლობაში ამ ხომალდზე არსებული სათბობის მთლიანი მარაგი უნდა დახარჯულიყო.

**მუხლი 67.** უგზო-უკვალოდ დაკარგული საპაერო ხომალდი, აგრეთვე საპაერო ხომალდი, რომელსაც უბედურება შეემთხვა, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია, დაუყოვნებლივ უნდა მოიძებნოს. მოძებნის ორგანიზაციას ახორციელებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ვალდებული არიან საპაერო ხომალდების უბედურების მათთვის ცნობილ ყველა შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს ან მის ორგანოებს, აგრეთვე გაუწიონ საჭირო დახმარება საპაერო ხომალდების მოძებნის ორგანიზაციაში. მოქალაქენი ვალდებული არიან საპაერო ხომალდების უბედურების მათთვის ცნობილი შემთხვევების შესახებ აცნობონ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ან უახლოეს დაწესებულებას, ორგანიზაციას, საწარმოს.

იმ შემთხვევებში, როცა საპაერო ხომალდის მოსაძებნად მიღებულმა ზომებმა შედეგი არ გამოიღო, საკითხს ძებნის შეწყვეტის შესახებ გადაჭრის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო უფროსი.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთა მოქმედების რაიონში საპაერო ხომალდმა უბედურება განიცადა, ვალდებული არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს ორგანოების წარმომადგენელთა მოსვლამდე მიიღონ გადაუღებელი ზომები ხალხის გადასარჩენად, მათთვის სამედიცინო და სხვა საჭირო დახმარების აღმოსაჩენად, აგრეთვე საპაერო ხომალდისა და მასზე არსებული სამსახურებრივი დოკუმენტების, მოწყობილობისა და ქონების დასაცავად.

**მუხლი 68.** ორი ან რამდენიმე საპაერო ხომალდის შეჯახების დროს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა საპაერო ხომალდი მეორე ხომალდს თუნდაც შეჯახების გარეშე მიაყენებს ზიანს, საპაერო ხომალდების მფლობელთა ქონებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება შემდეგი დებულებებით:

1) ერთი მხარის ბრალით მიყენებული ზიანი ანაზღაურებულ იქნება მთლიანი მოცულობით ამ მხარის მიერ;

8787





2) თუ ზიანი მიყენებულია ორივე (ან რამდენიმე) მხარის ბრალის გასაწილებლად მათთვის მათგანის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ბრალის ხარისხის შეფარდებით; თითოეული მხარის ბრალის ხარისხის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა მათ შორის განაწილება თანაბრად.

ზიანის მიყენებაში მხარეთა ბრალის არ არსებობის შემთხვევაში არც ერთ მათგანს უფლება არა აქვს მოთხოვოს მეორე მხარეს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანზე, რომელიც წარმოიშობა საჰაერო ხომალდების მგზავრთათვის მიყენებული სიკვდილის, დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანების შედეგად, აგრეთვე ზიანზე, რომელიც მიყენებულია საჰაერო ხომალდზე მესამე პირთა არსებულ ქონებაზე ან საჰაერო-სატრანსპორტო საწარმოსათვის მიბარებულ ქონებაზე, ამ კოდექსის წესებით ეკისრება გადამზიდველს, ამასთან, ამ მუხლის 1 და 2 პუნქტის შესაბამისად, მას აქვს მეორე მხარისაგან (მხარეებისაგან), რომლის ბრალითაც არის გამოწვეული ზიანი, უკან მოთხოვნის (რეგრესის) უფლება.

**მუხლი 69.** სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდების, მათი კუთვნილების მიუხედავად, ფრენის ძირითადი წესები მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

**თავი VI. საერთაშორისო ფრენა**

**მუხლი 70.** ყოველი ფრენა, რომლის დროსაც საჰაერო ხომალდი გადააკვეთს სსრ კავშირისა და სხვა სახელმწიფოს სახელმწიფო საზღვრებს, ცნობილი იქნება საერთაშორისო ფრენად.

სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში შეტანილი სამოქალაქო ხომალდების, აგრეთვე უცხო სახელმწიფოების რეესტრში შეტანილი საჰაერო ხომალდების სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში საერთაშორისო ფრენის დროს, მოქმედებენ ზოგადი დებულებანი, რომლებიც აწესრიგებენ საჰაერო ხომალდების ნავიგაციასა და ექსპლუატაციას სსრ კავშირში, ამ თავში და სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში უცხოეთის საჰაერო ხომალდების ფრენის წესებში აღნიშნული ცვლილებებითა და დამატებებით, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

**მუხლი 71.** სსრ კავშირის საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში შეტანილ საჰაერო ხომალდს შეუძლია მოახდინოს საერთაშორისო გაფრენა მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს ნებართვით, რაც გაიცემა დადგენილი წესით.

**მუხლი 72.** უცხოეთის საჰაერო ხომალდების ფრენა სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში შეიძლება წარმოებდეს:

1) საჰაერო მიმოსვლის შესახებ სსრ კავშირსა და უცხოეთის სახელმწიფოებს შორის შეთანხმებათა საფუძველზე და პირობების შესაბამისად;



2) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს მიერ დადგენილი წესით გაცემული ერთჯერადი ფრენის სპეციალური ნებართვების საფუძველზე და პირობების შესაბამისად.

**მუხლი 73.** სსრ კავშირის საპაერო სივრცეში უცხოეთის საპაერო ხომალდების ფრენა, რომელიც ხდება როგორც საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე, ასევე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ნებართვით, შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ დადგენილ საერთაშორისო საპაერო ტრასებზე.

აეროპორტების ნუსხას, რომლებიც ღიაა უცხოეთის საპაერო ხომალდებისათვის, ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

საერთაშორისო საპაერო ტრასებისა და აეროპორტების ნუსხას, რომლებიც ღიაა უცხოეთის საპაერო ხომალდებისათვის, გამოაქვეყნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

**მუხლი 74.** უცხოეთის საპაერო ხომალდების გამოსაცნობი ნიშნები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს უნდა აცნობოს ამ ხომალდების მფლობელებმა რეგულარული საერთაშორისო ფრენის ან ერთჯერადი ფრენის დაწყებამდე.

**მუხლი 75.** უცხოეთის საპაერო ხომალდებს უფლება არა აქვს გასამრჯელოსათვის სსრ კავშირის ტერიტორიაზე აიყვანონ მგზავრები ან მიიღონ ბაგაჟი, ტვირთი და ფოსტა სსრ კავშირის ტერიტორიაზე სხვა პუნქტში მათ გადასაცემად ან გადასაზიდად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებული ნებართვის გარეშე.

**მუხლი 76.** უცხოეთის უპილოტო საპაერო ხომალდები სსრ კავშირის საპაერო სივრცეში საფრენად დაიშვებიან მხოლოდ სპეციალური ნებართვის საფუძველზე, რომელსაც გასცემს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო დადგენილი წესით, და იმ პირობების დაცვით, რაც გათვალისწინებულია ასეთი ნებართვის გაცემის დროს.

სახელმწიფო, რომლის რეესტრშიც არის შეტანილი უპილოტო საპაერო ხომალდი, ვალდებულია სსრ კავშირის შესაბამის ორგანოებისათვის უზრუნველყოს ამ ხომალდის ფრენაზე კონტროლის დაწესება სსრ კავშირის საპაერო სივრცეში, იმისათვის რათა ფრენის დროს გამორიცხულ იქნას მისი შეჯახების შესაძლებლობა სხვა საპაერო ხომალდებთან.

**მუხლი 77.** საპაერო ხომალდებზე, მათ ეკიპაჟზე, მგზავრებზე, რომლებიც მოდიან სსრ კავშირში ამ მიდიან სსრ კავშირიდან, და ქონებაზე, რომელიც საპაერო ხომალდებით შემოაქვთ სსრ კავშირში ან გააქვთ სსრ კავშირიდან, ვრცელდება შესაბამისად საპასპორტო, საბაჟო, სავალუტო, სანიტარული, საკარანტინო და სხვა წესების მოქმედება შემოსვლის, გასვლის, აგრეთვე



ქონების საზღვარგარეთიდან შემოტანის და საზღვარგარეთ გატანის კავშირის ტერიტორიით ტრანზიტის შესახებ.

**მუხლი 78.** საპაერო ხომალდი, რომელიც აწარმოებს საერთაშორისო ფრენას სსრ კავშირის ტერიტორიიდან ან სსრ კავშირის ტერიტორიაზე, ვალდებულია საპაერო შემოწმებისა და საპასპორტო კონტროლისათვის დაჯდეს მითითებულ აეროპორტში, თუ მას არა აქვს მიცემული სპეციალური ნებართვა სსრ კავშირის ტერიტორიაზე დაუჯდომლად ფრენის შესახებ.

**მუხლი 79.** უცხოეთის საპაერო ხომალდზე არსებული ხომალდის დოკუმენტაცია ძალაშია სსრ კავშირის ტერიტორიაზე, თუ იგი შეესაბამება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობას, რომლის სახელმწიფო რეესტრშიც არის შეტანილი საპაერო ხომალდი.

სსრ კავშირის ტერიტორიაზე დაჯდომის დროს უცხოეთის საპაერო ხომალდები შეიძლება გაისინჯოს საერთაშორისო ფრენისათვის სავალდებულო მთელი დოკუმენტაციის შემოწმებით.

იმ შემთხვევაში, როცა უცხოეთის საპაერო ხომალდზე არ არის საერთაშორისო ფრენისათვის დადგენილი დოკუმენტაცია ან იმ შემთხვევაში, როცა არის ცნობები საპაერო ხომალდის მატერიალური ნაწილის უწყესიგრობის შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს შეუძლია აკრძალოს ამ საპაერო ხომალდის გაფრენა.

**მუხლი 80.** შესაბამისი ნებართვის გარეშე საპაერო ხომალდის სსრ კავშირში შემოფრენა ან სსრ კავშირიდან გაფრენა, ნებართვაში აღნიშნული მარშრუტის, დაჯდომის ადგილის, საპაერო ჭიშკრის, ფრენის სიმაღლის დაუცველობა ან საერთაშორისო ფრენის წესების სხვაგვარი დარღვევა გამოიწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

**თავი VII. მგზავრების საპაერო გადაყვანა, ბაგაჟის, ტვირთისა და ფოსტის საპაერო გადაზიდვა**

**მუხლი 81.** მგზავრების საპაერო გადაყვანა, ბაგაჟის, ტვირთისა და ფოსტის საპაერო გადაზიდვა შეიძლება აწარმოონ მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს საპაერო-სატრანსპორტო საწარმოებმა.

სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთაც აქვთ საპაერო ხომალდები, შეუძლიათ განახორციელონ მგზავრების გადაყვანა, ბაგაჟის, ტვირთის და ფოსტის გადაზიდვა მხოლოდ თავიანთ მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად.

მგზავრების საერთაშორისო გადაყვანა, ბაგაჟის, ტვირთისა და ფოსტის საერთაშორისო გადაზიდვა შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე უცხოეთის საპაერო ხომალდებით.

**მუხლი 82.** მგზავრთა რეგულარულ გადაყვანას და ბაგაჟის, ტვირთისა და ფოსტის გადაზიდვას აწარმოებენ საპაერო-სატრანსპორტო საწარმოები



საპაერო ხაზებზე, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს მიერ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო გამგზავრო საპაერო ხომალდების მოძრაობას უზრუნველყოფს განრიგის მიხედვით.

**მუხლი 83.** მგზავრის საპაერო გადაყვანის ხელშეკრულების შესაბამისად საპაერო-სატრანსპორტო საწარმო (გადაყვანის) ვალდებულებას კისრულობს გადაყვანის მგზავრი და გადაზიდოს მისი ბაგაჟი დანიშნულების პუნქტში, მისცემს რა მგზავრს ადგილს თანახმად ნაყიდი ბილეთისა, მგზავრი კი ვალდებულია გადაიხადოს გადაყვანის ღირებულება დადგენილი ტარიფის მიხედვით, ხოლო დადგენილ ნორმებზე მეტი ბაგაჟის ჩაბარების დროს — ბაგაჟის გადაზიდვისაც.

ტვირთის ან ფოსტის საპაერო გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი კისრულობს გადაზიდოს გამგზავნელის მიერ მისთვის ჩაბარებული ტვირთი ან ფოსტა დანიშნულების პუნქტში და გასცეს იგი მიღებაზე უფლებამოსილ პირზე (მიმღებზე), ხოლო გამგზავნელი ვალდებულია ტვირთის ან ფოსტის გადაზიდვისათვის გადაიხადოს დადგენილი ტარიფის მიხედვით.

გადაზიდვა, რომელსაც ახორციელებენ სხვადასხვა სახის ტრანსპორტის მქონე გადამზიდველნი ერთი დოკუმენტის მიხედვით, წარმოებს ამ კოდექსისა და იმ წესების საფუძველზე, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო იმ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფება ტრანსპორტის შესაბამისი სახეობა.

**მუხლი 84.** მგზავრის საპაერო გადაყვანის ხელშეკრულება დასტურდება ბილეთით, ბაგაჟის ჩაბარება — ბაგაჟის ქვითრით.

ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება დასტურდება ტვირთის ზედნადებით. ტვირთის ზედნადები დგება ტვირთის გარკვეულ მიმღების სახელზე, თან ახლავს ტვირთს მთელ მანძილზე და გაიცემა ტვირთის მიმღებზე დანიშნულების პუნქტში ტვირთთან ერთად. ტვირთის ზედნადების ერთი ეგზემპლარი ეძლევა ტვირთის გამგზავნელს ტვირთის გადასაზიდად მიღების დროს.

ფოსტის გადაზიდვის ხელშეკრულება დასტურდება ფოსტის ზედნადებით.

**მუხლი 85.** მგზავრების საპაერო გადაყვანისა და ბაგაჟის, ტვირთისა და ფოსტის საპაერო გადაზიდვის ტარიფები მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

ტარიფების გამოყენების წესს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

**მუხლი 86.** მგზავრების საპაერო გადაყვანის, ბაგაჟისა და ტვირთის საპაერო გადაზიდვის საფასური გადახდევინებულ იქნება გადასაყვანი ან გადასაზიდად დოკუმენტის გაცემის დროს, თუ გადაყვანის ან გადაზიდვის წესებით გათვალისწინებული არ არის სხვა რამ.

**მუხლი 87.** მგზავრს უფლება აქვს:



1) უფასოდ გადაზიდოს ბაგაჟი დაწესებული ნორმის ფარგლებში;

2) უფასოდ ან შეღავათიან პირობებში თან წაიყვანოს ბავშვები (ანაკის გათვალისწინებით);

3) უფასოდ ისარგებლოს მომსახურებით. რომელსაც მგზავრებს უწევენ აეროპორტებში (დასასვენებელი ოთახი, დედათა და ბავშვთა ოთახი, გზაში საპაერო ხომალდის იძულებითი დაყოვნების შემთხვევაში ადგილი სასტუმროში და სხვა).

მომსახურებისა და შეღავათების წესს ადგენს გადაზიდვის წესები.

**მუხლი 88.** მგზავრს უფლება აქვს უარი თქვას გაფრენაზე და მიიღოს უკან გადაყვანისათვის გადახდილი თანხა:

1) მგზავრის ავადმყოფობის შემთხვევაში, რაც უნდა დაადასტუროს სამკურნალო დაწესებულებამ;

2) გამგზავრების პუნქტიდან საპაერო ხომალდის გაფრენის დაგვიანების ან საპაერო ხომალდის სხვა ტიპის ხომალდით შეცვლის შემთხვევაში;

3) ხომალდის, რომელმაც ვერ შეასრულა რეისი, გამგზავრების პუნქტში დაბრუნების შემთხვევაში;

4) როცა გადაყვანის წესებით დადგენილი ვადის განმავლობაში შეატყობინებს გადაყვანის თავის უარს გაფრენაზე. გადაყვანის წესებით დადგენილი ვადის დაგვიანებით შეტყობინების დროს მგზავრს უფლება აქვს უკან მიიღოს გადაყვანისათვის გადახდილი თანხა, დადგენილი გამოსაღების დაკავებით. გამოსაღების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთი მიმართულებით გადაყვანის ტარიფის 25 პროცენტს.

მგზავრს უფლება აქვს უარი განაცხადოს შემდგომ გაფრენაზე და უკან მიიღოს გადაყვანისათვის გადახდილი თანხის შესაბამისი ნაწილი, როცა რეისი შეწყვეტილია იძულებითი დაჯდომის შედეგად ან სხვა მიზეზით ან როცა გადაჯდომის აეროპორტიდან არ მოხდა მგზავრის გამგზავრება გარანტირებული ვადის განმავლობაში, აგრეთვე მგზავრის ავადმყოფობის გამო.

**მუხლი 89.** საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შეუძლიათ წინასწარ წარმოადგინონ განაცხადი, როგორც ცალკეული ადგილების, ისე მთელი საპაერო ხომალდის დაჯავშნის შესახებ. დაჯავშნის შესახებ განაცხადის მიღება დადასტურებულ უნდა იქნას გადაყვანის მიერ ჯავშნის მოქმედების ვადის ჩვენებით.

დაჯავშნისა და ჯავშანზე უარის თქმის შედეგების წესებს ადგენს გადაყვანის წესები.

**მუხლი 90.** საპაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება იმ გეგმების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია დადგენილი წესით.

ტვირთის გადაზიდვა, რომელიც გათვალისწინებული არ არის გეგმით ან წარმოდგენილია გეგმის ზევით, ხორციელდება გადაზიდველის მიერ ტვირთის გამგზავნელისაგან მიღებული წინასწარი განაცხადების მიხედვით, გეგმით გათვალისწინებული ტვირთის გადაზიდვის შეუფერხებლად.

გადასაზიდვად ტვირთის მცირე პარტიებად და საოჯახო ნივთების მიღება წარმოებს მათი წარმოდგენის მიხედვით.



**მუხლი 91.** განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ტვირთის ერთეულზე იგივე გამგზავნელის ტვირთის სისტემატური გადაზიდვის განხორციელების შემთხვევაში გადამზიდველს და ტვირთის გამგზავნელს შეუძლიათ ერთმანეთს შორის დადონ სპეციალური ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრულ უნდა იქნას ამ გადაზიდვის თავისებურებებიდან გამომდინარე პირობები.

**მუხლი 92.** გადაზიდვის გეგმის შესასრულებლად გადამზიდველი ვალდებულია მისცეს გეგმაში აღნიშნული გადასაზიდავი საშუალებანი, ხოლო ტვირთის გამგზავნელი — მიაწოდოს გადასაზიდავად გეგმით გათვალისწინებული ტვირთი.

გეგმაში აღნიშნულ გადასაზიდავ საშუალებათა მიუცემლობის და გადასაზიდავად გეგმით გათვალისწინებული ტვირთის მიუწოდებლობის შემთხვევაში გადამზიდველი და ტვირთის გამგზავნელი ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ ჯარიმის სახით ყველა მიუწოდებელ ან გამოუზიდავ, მაგრამ დასატვირთად გამზადებული ტვირთის რაოდენობის გადაზიდვისათვის საჭირო გადასახადის 25 პროცენტის ოდენობით.

იგივე პასუხისმგებლობა აკისრიათ გადამზიდველსა და ტვირთის გამგზავნელს გადამზიდველის მიერ ტვირთის გამგზავნელთა განაცხადებით მიღებული არაგეგმიური და ზეგეგმიური ტვირთის გადაზიდვის ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის.

**მუხლი 93.** ტვირთის გამგზავნელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ტვირთის გადასაზიდავ მიუწოდებლობის ან მისი ნაკლები რაოდენობით მიწოდებისათვის, თუ ეს მოხდა სტიქიური ხასიათის მოვლენათა შედეგად, აგრეთვე ტვირთის გამგზავნელის საწარმოებში ავარიის შედეგად, რამაც გამოიწვია წარმოების შეწყვეტა ვადით არა ნაკლებ სამი დღე-ღამისა.

გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან გადასაზიდავ საშუალებათა მიუცემლობისათვის, თუ ეს მოხდა სტიქიური უბედურების გამო, აგრეთვე მეტეოროლოგიური მიზეზების გამო — საპაერო ზომალდების ფრენის შეუძლებლობის შემთხვევაში.

**მუხლი 94.** გადასაზიდავად ტვირთის ჩაბარების დროს გამგზავნელი ვალდებულია ტვირთის ზედნადებში აღნიშნოს ტვირთის ზუსტი დასახელება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მისი განსაკუთრებული თვისებებიც. გადამზიდველს უფლება აქვს შეამოწმოს ამ ცნობების სისწორე.

ტვირთის წონის განსაზღვრა ხდება ტვირთის გასაგზავნად მიღების დროს და აღინიშნება ტვირთის ზედნადებში.

ტვირთის გამგზავნელი ვალდებულია ტვირთის ზედნადებთან ერთად გადამზიდველს გადასცეს ყველა დოკუმენტი, რაც საჭიროა სანიტარული, საკარანტინო ან სხვა წესების შესაბამისად.

ტვირთის გამგზავნელი პასუხისმგებელია მის მიერ ტვირთის ზედნადებში შეტანილ მონაცემების სისწორეზე და ვალდებულია აუნაზღაუროს გადამზიდველს ან მესამე პირთ ზიანი, რომელიც წარმოიშვა ამ ცნობების უსწორობის, უზუსტობის ან უსრულობის გამო.

**მუხლი 95.** ტვირთი, რომელსაც ესაჭიროება ტარა ან შეფუთვა დაკარგვის ან გაფუჭებისაგან დასაცავად, გადასაზიდავად წარდგენილ უნდა იქნას წესიერ



ტარაში ან შეფუთული სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად, ხოლო ტარაში, რომლის ტარაზე და შეფუთვაზე სტანდარტი არ არის დადგენილი ტარაში, რაც გადაზიდვისა და გადატვირთვის დროს უზრუნველყოფს მის სრულ დაცულობას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რომლებსაც კოლმეურნეობები აგზავნიან, გადასაზიდავად შეიძლება მიღებულ იქნას არასტანდარტულ ტარაში, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთის დაცულობას გადაზიდვის დროს.

ტვირთის უწყისიერო ტარით ან შეფუთვით ან ისეთი ტარითა და შეფუთვით წარდგენის დროს, რაც არ შეესაბამება ტვირთის სახეობასა და თვისებებს ან არ შეესაბამება საპაერო ტრანსპორტით გადაზიდვის პირობებს, გადამზიდველი ვალდებულია უარი განაცხადოს ასეთი ტვირთის გადასაზიდავად მიღებაზე.

**მუხლი 96.** საშიშო ტვირთის ნუსხა, რომელიც არ დაიშვება საპაერო ტრანსპორტით გადასაზიდავად, ავრთვე ფეთქებად ნივთიერებათა, იარაღის, საბრძოლო მასალის, მომწამლავ და ადვილაალებად ნივთიერებათა, რადიოაქტიური და სხვა საშიში ტვირთის, კინოგადაღების და ფოტოგრაფიულ აპარატების, რადიოაპარატურისა და ბინოკლების გადაზიდვის პირობები დადგენილი იქნება იმ წესით, რომელსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

**მუხლი 97.** გადამზიდველი ვალდებულია გადასაზიდავად მიღებული ტვირთი დანიშნულების პუნქტში მიიტანოს დადგენილ ვადაში.

ტვირთის მიტანის ვადების და ტვირთის მიტანის ვადების გამოთვლის წესები მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

**მუხლი 98.** გადაზიდვის წესებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად ტვირთის გამგზავნელს უფლება აქვს უკან დაიბრუნოს გადასაზიდავად ჩაბარებული ტვირთი მის გაგზავნამდე, აღრესატზე ტვირთის გაცემამდე შეცვალოს ტვირთის ზედნაღებში აღნიშნული ტვირთის მიმღები, განკარგოს ტვირთი იმ შემთხვევაში, თუ მიმღებმა არ მიიღო იგი ან შეუძლებელია ტვირთის მიმღებისათვის გადაცემა.

საპაერო ხომალდების მოძრაობის დროებით შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში გადამზიდველი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ ტვირთის გამგზავნელს და ტვირთის მიმღებს და გამოითხოვოს მათი განკარგულება.

**მუხლი 99.** გადამზიდველი ვალდებულია აცნობოს ტვირთის მიმღებს მის სახელზე ტვირთის მოსვლის შესახებ.

ტვირთი, რომელსაც შეტყობინებიდან 30 დღე-ღამის განმავლობაში არ მიიღებს ტვირთის მიმღები, ჩაითვლება მოუთხოვნელ ტვირთად და რეალიზებულ უნდა იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

**მუხლი 100.** ტვირთის მიმღები ვალდებულია მიიღოს და გაიტანოს მის სახელზე მოსული ტვირთი. ტვირთის მიმღებს უფლება აქვს უარი განაცხადოს დაზიანებული ან გაფუჭებული ტვირთის მიღებაზე, თუ დადგენილი იქნება, რომ ტვირთის ხარისხი იმდენად შეიცვალა, რომ მისი თავდაპირველი დანიშნულებისათვის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენების შესაძლებლობა გამოირიცხულია.





**მუხლი 101.** გადამყვანს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება სხვა სხვა დილის, დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებისათვის, რომელიც მიიყენა მგზავრს საპაერო ხომალდის სტარტის, ფრენის ან დაჯდომის დროს აგრეთვე მგზავრების ხომალდში ჩასხდომისა და გადმოსხდომის დროს, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი მოხდა თვით დაზარალებულია წინასწარი განზრახვით.

იმ შემთხვევაში, როცა სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანება მგზავრს მიყენებული აქვს დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად, გადამყვანს ეკისრება დადგენილი პასუხისმგებლობა, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანის წარმოშობას ან გაზრდას ხელს უწყობდა თვით დაზარალებულის წინასწარგანზრახვა ან უხეში უყურადღებობა. სხვა შემთხვევებში, როცა გადამყვანი დაამტკიცებს, რომ თვით დაზარალებულის უხეშმა უყურადღებობამ ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას ან გაზრდას, სამოქალაქო კანონმდებლობის ზოგადი ნორმების შესაბამისად ზიანის ანაზღაურების ოდენობა შემცირებულ უნდა იქნას ან ზიანის ანაზღაურებაზე უარი უნდა ეთქვას.

**მუხლი 102.** გადამზიდველი პასუხისმგებელია ბაჯჯის, ტვირთისა და ფოსტის დაცულობაზე მათი გადასაზიდავად მიღების მომენტიდან მიმღებისათვის ან დადგენილი წესების თანახმად სხვა ორგანიზაციისათვის ჩაბარებამდე.

გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ბაჯჯის, ტვირთის ან ფოსტის დაკარგვა, გაფუჭება ან დაზიანება მოხდა ისეთ გარემოებათა შედეგად, რომელთა გათვალისწინება მას არ შეეძლო ან რომელთა თავიდან აცილება მასზე არ იყო დამოკიდებული, კერძოდ:

- 1) გამგზავნელის ან მიმღების ბრალის შედეგად;
- 2) გადასაზიდავი საგნების განსაკუთრებული ბუნებრივი თვისებების შედეგად;

3) ტარის ან შეფუთვის უვარგისობის შედეგად, რომლის გარეგნულად შემჩნევა არ შეიძლებოდა ბაჯჯის, ტვირთისა და ფოსტის გადასაზიდავად მიღების დროს;

4) ბაჯჯის, ტვირთისა და ფოსტის გადასაზიდავად ჩაბარება გადაზიდვის დოკუმენტებში მათი განსაკუთრებული თვისებების აღუნიშნავად, რაც მათი გადაზიდვისა და შენახვის დროს დაცულობისათვის მოითხოვდა სპეციალურ პირობებს ან სიფრთხილეს.

გადამზიდველი პასუხისმგებელია მგზავრის კუთვნილი ნივთების, რომელიც შესაძლებელია არ იყო ჩაბარებული, დაცულობაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებულ იქნება, რომ ამ ნივთების დაკარგვა, გაფუჭება ან დაზიანება მოხდა გადამზიდველის ბრალით.

**მუხლი 103.** გადამზიდველი თავისუფლდება გადასაზიდავად მიღებული ტვირთის დაკარგვის, წონის შემცირების ან დაზიანების პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს მოხდა:

ა) იმ გარემოებათა შედეგად, რაც დაკავშირებულია ტვირთის გამგზავნელის ან ტვირთის მიმღების საშუალებებით დატვირთვისთან ან გადმოტვირთვისთან;

2) ტვირთის გამგზავნელის ან ტვირთის მიმღების წარმომადგენლის მიერ რომელიც ტვირთს თან ახლავს, ტვირთის დაცულობისათვის საჭირო ზომების მიუღებლობის შედეგად;

3) დადგენილი ნორმის ფარგლებში გადაზიდვის დროს ტვირთის ბუნებრივი დანაკარგის შედეგად.

თუ ტვირთის დაკარგვა, წონის შემცირება, გაფუჭება ან დაზიანება შეიძლებოდა მომხდარიყო აღნიშნული მიზეზებიდან ერთის ან მეტიდან შედეგად, მაშინ იგულისხმება, რომ იგი გამოიწვია ამ მიზეზებმა, სანამ პრეტენზიის ან სარჩელის წარმომდგენი ვერ დაამტკიცებს სხვას.

**მუხლი 104.** გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იმ ტვირთის დანაკლისზე, რომელიც მიღებულია წესიერად შეფუთული და გამგზავნელის დაუზიანებელი პლომბებით, თუ პრეტენზიის ან სარჩელის წარმომდგენი ვერ დაამტკიცებს, რომ ტვირთის დანაკლისი გამოწვეულია გადამზიდველის მიერ ტვირთის დაკარგვის ან დაზიანების შედეგად.

**მუხლი 105.** ტვირთის, ბაგაჟის ან ნივთების, რომელიც მგზავრს თან აქვს, დაკარგვის ან დაზიანებისათვის გადამზიდველი პასუხისმგებელია შემდეგი ოდენობით:

1) ტვირთის ან ბაგაჟის დაკარგვისათვის, რომელიც გადასაზიდავად მიღებულია განცხადებული ღირებულებით, — განცხადებული ღირებულების ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გადამზიდველი დაამტკიცებს, რომ განცხადებული ღირებულება მეტია ნამდვილ ღირებულებაზე, — ნამდვილი ღირებულების ოდენობით;

2) ტვირთის დაკარგვისათვის, რომელიც მიღებულია განუცხადებელი ღირებულებით, — ნამდვილი ღირებულების ოდენობით;

3) ბაგაჟის დაკარგვისათვის, რომელიც მიღებულია განუცხადებელი ღირებულებით, აგრეთვე ნივთების დაკარგვისათვის, რომელიც მგზავრს თან აქვს, — ტარიფით დადგენილი ოდენობით;

4) ტვირთის, ბაგაჟის ან იმ ნივთების დაზიანებისათვის, რომელიც მგზავრს თან აქვს, — იმ თანხით, რამდენადაც შემცირდა მათი ღირებულება.

**მუხლი 106.** ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებისათვის გადამზიდველი ტვირთის მიმღებს ყოველ ვადაგადაცილებულ დღე-ღამეზე უხდის ჯარიმას გადაზიდვის ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს გადაზიდვის ღირებულების 50 პროცენტისა.

ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებისათვის პასუხისმგებლობისაგან გადამზიდველი თავისუფლდება თუ დაამტკიცებს, რომ ვადის გადაცილება მოხდა მეტეოროლოგიური პირობების გამო ფრენის შეუძლებლობის შედეგად ან სხვა მიზეზების გამო, რომელთა თავიდან აცილება გადამზიდველს არ შეეძლო.

ტვირთის გამგზავნელს ან ტვირთის მიმღებს უფლება აქვთ ტვირთი ჩათვალონ დაკარგულად და მოითხოვონ შესაბამისი ანაზღაურება, თუ ეს ტვირთი არ იყო გაცემული ტვირთის მიმღებზე, მიტანის ვადის გასვლიდან 10 დღის განმავლობაში. მაგრამ, თუ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ტვირთი მიღ-

ბულ იქნა, ტვირთის მიმღები ვალდებულია მიიღოს ტვირთი და დააბრუნოს ტვირთის დაკარგვისათვის გადამზიდველის მიერ გადახდილი თანხა.

**მუხლი 107.** გადამზიდველს ქონებრივი პასუხისმგებლობა აკისრია კავშირგაბმულობის ორგანოების წინაშე გადამზიდველის ბრალით ფოსტის დაკარგვის, დაზიანების ან თავის დროზე მიუტანლობისათვის იმ ოდენობით, რამდენადაც კავშირგაბმულობის ორგანოები პასუხისმგებელი არიან გამგზავნელების წინაშე.

**მუხლი 108.** მგზავრებთან, ტვირთის გამგზავნელებთან და ტვირთის მიმღებებთან გადამზიდველის ყოველგვარი შეთანხმება, რომლის მიზანია ამ კოდექსითა და მის საფუძველზე გამოცემული წესებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შეცვლა ამა თუ იმ მხარისათვის ბათილია.

**მუხლი 109.** მგზავრები, ტვირთის გამგზავნელნი და ტვირთის მიმღებნი ვალდებული არიან საერთო საფუძველზე აანაზღაურონ ზარალი, რომელიც მათ მიაყენეს გადამზიდველის ქონებას და სხვა პირთა ქონებას, რომელზეც პასუხისმგებელია გადამზიდველი.

**მუხლი 110.** ის გარემოებანი, რომლებიც შეიძლება საფუძველად დაედოს გადამზიდველთა, ტვირთის გამგზავნელთა, ტვირთის მიმღებთა და მგზავრთა ქონებრივ პასუხისმგებლობას, დადასტურებულ უნდა იქნას კომერციული აქტებით. კომერციული აქტების შედგენის წესი და იმ გარემოებათა დადასტურების წესი, რომლებიც არ მოითხოვენ კომერციული აქტების შედგენას, დადგენილ იქნება გადაზიდვის წესებით.

კომერციული აქტი დგება დანიშნულების აეროპორტში ტვირთის ან ბაგაჟის გაცემის დროს შემდეგ გარემოებათა დასადასტურებლად:

- 1) გადაზიდვის დოკუმენტებში აღნიშნულ მონაცემებთან ტვირთის დასახელების, წონისა და ნაჭრების რაოდენობის ნატურით შეუსაბამობის დასადასტურებლად;
- 2) ტვირთის დაზიანებისა და გაფუჭების დასადასტურებლად;
- 3) ბაგაჟის დანაკლისის, დაზიანების ან გაფუჭების აღმოჩენის დასადასტურებლად;
- 4) ტვირთის ან ბაგაჟის უდოკუმენტოდ, აგრეთვე დოკუმენტების ტვირთისა და ბაგაჟის გარეშე აღმოჩენის დასადასტურებლად;
- 5) დატაცებული ტვირთისა და ბაგაჟის გადამზიდველისათვის დაბრუნების დასადასტურებლად.

**მუხლი 111.** მგზავრისათვის დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანების მიყენების შემთხვევაში საჰაერო-სატრანსპორტო დაწესებულებისათვის სარჩელის წარდგენის უფლება აქვს დაზარალებულს, ხოლო მისი სიკვდილის შემთხვევაში — პირებს, რომლებსაც სამოქალაქო კანონმდებლობის საერთო ნორმების შესაბამისად უფლება აქვთ ზიანის ანაზღაურებაზე.

**მუხლი 112.** გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელის გადამზიდველისათვის წარდგენამდე სავალდებულოა მას წარედგინოს პრეტენზიები.

ტვირთის გადაზიდვიდან გამომდინარე პრეტენზიები დანიშნულების აე-

როპორტის საშუალებით წარედგინება დანიშნულების ადგილის საპაერო-სატრანსპორტო საწარმოს.

პრეტენზიები, რომლებიც გამომდინარეობენ მგზავრების გადაყვანის ან ბაგაჟის გადაზიდვიდან, პრეტენზიებს წარმდგენელი შეხედულებისამებრ შეიძლება ვაგზავნის ან დანიშნულების აეროპორტის საშუალებით წარედგინოს ვაგზავნის ადგილის ან დანიშნულების ადგილის საპაერო-სატრანსპორტო საწარმოს.

პრეტენზიები, რომლებიც გამომდინარეობენ გადაზიდვიდან, და რომლებსაც გადაზიდვილი ახორციელებენ სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტით ერთი დოკუმენტის მიხედვით, წარედგინება:

1) საპაერო-სატრანსპორტო საწარმოს, თუ გადაზიდვის ბოლო პუნქტს წარმოადგენს აეროპორტი;

2) სხვა შესაბამის სატრანსპორტო ორგანოს, თუ გადაზიდვის ბოლო პუნქტს წარმოადგენს რკინიგზის ან საავტომობილო სადგური, ნავმისადგომი ან პორტი.

**მუხლი 118.** საპაერო-სატრანსპორტო საწარმოსათვის პრეტენზიის და სარჩელის წარდგენის უფლება აქვთ:

1) ბაგაჟის მთლიანად დაკარგვის შემთხვევაში — ბაგაჟის ქვიტორის წარმომდგენს, ხოლო ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან ვაფუჰების შემთხვევაში — გადამზიდველის მიერ გაცემული კომერციული აქტის წარმომდგენს;

2) ტვირთის მთლიანად დაკარგვის შემთხვევაში:  
ტვირთის მიმღებს — იმ პირობით, თუ წარადგენს გადამზიდველის მიერ ტვირთის გამგზავნელზე გაცემულ ტვირთის ზედნადებს, რომელსაც უნდა ჰქონდეს დანიშნულების აეროპორტის აღნიშვნა ტვირთის მოუსვლელობის შესახებ, ხოლო ასეთი ზედნადების წარმომდგენის შეუძლებლობის დროს — დოკუმენტს ტვირთის ღირებულების გადახდის შესახებ და ტვირთის ვაგზავნის თაობაზე საპაერო-სატრანსპორტო საწარმოს ცნობას, რომელსაც უნდა ჰქონდეს დანიშნულების აეროპორტის აღნიშვნა ტვირთის მოუსვლელობის შესახებ;

ტვირთის გამგზავნელს — მასზე გაცემული ტვირთის ზედნადების წარდგენის პირობით;

3) ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში — ტვირთის მიმღებს იმ პირობით, რომ წარადგენს ტვირთის ზედნადებს, რომელიც ტვირთს თან ახლდა, და კომერციულ აქტს, რომელიც მას გადამზიდველმა მისცა;

4) ტვირთის მოტანის ვადის გადაცილების შემთხვევაში — ტვირთის მიმღებს იმ პირობით, რომ წარადგენს ტვირთის ზედნადებს, რომელიც ტვირთს თან ახლდა.

კომერციული აქტის უქონლობა კლიენტს არ აართმევს პრეტენზიისა და სარჩელის წარდგენის უფლებას, თუ დამტკიცებულ იქნება, რომ საპაერო-სატრანსპორტო საწარმოს მუშაკებმა უარი განაცხადეს კომერციული აქტის შედგენაზე და მათი მოქმედება გაასაჩივრა კლიენტმა.

**მუხლი 114.** პრეტენზიისა და სარჩელის წარდგენის უფლების სხვა ნიშნების ან პირთათვის გადაცემა დაუშვებელია, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა ასეთ უფლებას გადასცემს ტვირთის გამგზავნელი ტვირთის მიმღებს ან ტვირთის მიმღები ტვირთის გამგზავნელს, აგრეთვე ტვირთის გამგზავნელი ან ტვირთის მიმღები ზემდგომ ან ქვემდგომ ორგანიზაციებს.

**მუხლი 115.** პრეტენზიები საჰაერო-სატრანსპორტო საწარმოთა მიმართ განცხადებულ უნდა იქნას ექვსი თვის ვადაში, ხოლო პრეტენზიები ჯარიმის გადახდის შესახებ — 45 დღის განმავლობაში.

აღნიშნული ვადები გამოითვლება:

1) ნაწილობრივ დაკარგული, დაზიანებული ან გაფუჭებული ტვირთის ან ბაგაჟის ანაზღაურების შესახებ პრეტენზიებზე — მათი გაცემის დღიდან;

2) მთლიანად დაკარგული ტვირთის ანაზღაურების შესახებ პრეტენზიებზე — მიტანის ვადის გასვლიდან 10 დღე-ღამის გასვლის შემდეგ;

3) მთლიანად დაკარგული ბაგაჟის, აგრეთვე თავის დროზე მიუტანელი ტვირთის ანაზღაურების შესახებ პრეტენზიებზე — მიტანის ვადის გასვლის მომენტიდან;

4) ყველა სხვა შემთხვევაში — იმ ხდომილების დაწყების დღიდან, რაც საფუძვლად დაედო პრეტენზიის წარდგენას.

**მუხლი 116.** საჰაერო-სატრანსპორტო საწარმო ვალდებულია განიხილოს პრეტენზია და აცნობოს განმცხადებელს მისი დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ სამი თვის განმავლობაში, ხოლო პრეტენზიაზე გადაზიდვის შესახებ, რომელსაც ახორციელებდნენ სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის მქონე გადაზიდველნი ერთი დოკუმენტით, — ექვსი თვის განმავლობაში და პრეტენზიაზე ჯარიმის გადახდის შესახებ — 45 დღის განმავლობაში.

თუ პრეტენზია უარყოფილია ან თუ დადგენილ ვადაში პასუხი მასზე მიღებული არ არის, განმცხადებელს უფლება აქვს ორი თვის განმავლობაში პასუხის მიღებიდან ამ პრეტენზიაზე პასუხის გაცემისათვის დადგენილი ვადის გასვლის დღიდან, საჰაერო-სატრანსპორტო საწარმოს წარუდგინოს სარჩელი არბიტრაჟში ან სასამართლოში სამოქალაქო კანონმდებლობის საერთო ნორმების შესაბამისად.

**მუხლი 117.** საჰაერო გადაზიდვიდან გამომდინარე სარჩელი ტვირთის გამგზავნელთა, ტვირთის მიმღებთა ან მგზავრთა მიმართ საჰაერო-სატრანსპორტო საწარმომ უნდა წარადგინოს ექვსი თვის ვადის განმავლობაში იმ ხდომილების დაწყების დღიდან, რაც საფუძვლად დაედო სარჩელის წარდგენას.

**მუხლი 118.** მგზავრებისათვის, რომლებიც გადაყვანილ უნდა იქნან საჰაერო ხომალდით, აუცილებელია სახელმწიფო დაზღვევა.

მგზავრთა დაზღვევის წესებს ამტკიცებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით.

**მუხლი 119.** მგზავრთა საჰაერო გადაყვანისა და ბაგაჟისა და ტვირთის საჰაერო გადაზიდვის წესებს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.



ცალკეულ სახეობათა ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის განსაკუთრებულ პირობებს შეიმუშავებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველო დანტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად.

ფოსტის გადაზიდვის წესებს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველო სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

**თავი VIII. მგზავრების საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა, ბაგაჟისა და ტვირთის საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვა**

**მუხლი 120.** ამ თავის დებულებანი გამოიყენება მგზავრთა ყოველგვარი საერთაშორისო საჰაერო გადაყვანის, ბაგაჟისა და ტვირთის ყოველგვარი საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვის მიმართ, რომლებსაც ახორციელებენ სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ხომალდები, როგორც ფასის გადახდევინებით, ასევე უფასოდ, რამდენადაც სხვა რამ არ გამომდინარეობს სსრ კავშირის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან.

ფოსტის საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვა ხორციელდება სსრ კავშირის მიერ დადებული საერთაშორისო საფოსტო შეთანხმებების წესების დაცვით.

**მუხლი 121.** საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვად ჩაითვლება ყოველგვარი გადაზიდვა, რაც ხორციელდება საჰაერო ხომალდებით, რომელთა დროს გაგზავნის ადგილი და დანაშნულების ადგილი, იმისგან დამოუკიდებლად ადგილი ჰქონდა თუ არა გადაზიდვის დროს გადატვირთვის ან შეფერხებას, მდებარეობს:

- 1) ორი სახელმწიფოს ტერიტორიაზე;
- 2) ერთი და იგივე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუ გათვალისწინებულია გაჩერება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

**მუხლი 122.** საერთაშორისო საჰაერო გადაყვანის დროს მგზავრს ეძლევა ბილეთი, ბაგაჟის ჩაბარების დროს — ბაგაჟის ქვითარი.

ბილეთი და ბაგაჟის ქვითარი ადასტურებს მგზავრის გადაყვანისა და ბაგაჟის გადაზიდვის ხელშეკრულების დადებას და პირობების განსაზღვრას.

ბილეთის ან ბაგაჟის ქვითრის უქონლობა, უსწორობა ან დაკარგვა არ მოქმედებს გადაზიდვის ხელშეკრულების არც არსებობაზე, არც ნამდვილობაზე.

**მუხლი 123.** ტვირთის საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვის ხელშეკრულება, მისი პირობები და გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღება დასტურდება ტვირთის ზედნადებით.

ტვირთის ზედნადების უქონლობა, უსწორობა ან დაკარგვა არ მოქმედებს გადაზიდვის ხელშეკრულების არც არსებობაზე, არც ნამდვილობაზე.

ტვირთის ზედნადების მონაცემები ტვირთის წონის, ზომისა და შეფუთვის შესახებ, აგრეთვე ნაჭრების რაოდენობის შესახებ ჩაითვლება უტყუარად, თუ გადამზიდველი ვერ დაამტკიცებს სხვას. მონაცემები ტვირთის რაოდენობის, მოცულობისა და მდგომარეობის შესახებ ჩაითვლება უტყუარად მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ გადამზიდელომა გამგზავნელის თანდასწრებით დადგინდეს წესით მოახდინა მათი შემოწმება, აღნიშნა ამის შესახებ ტვირთის ზედნადებში, ან თუ ეს მონაცემები ეხება ტვირთის გარეგნულ მდგომარეობას.

ტვირთის ზედნადებს გამგზავნელი ადგენს სამ ცალად და აბარებს გადამზიდველს ტვირთთან ერთად. პირველ ეგზემპლარს ნიშნით „გადამზიდველისათვის“ ხელს აწერს გამგზავნელი. მეორე ეგზემპლარს ნიშნით „მიმღებისათვის“ ხელს აწერენ გამგზავნელი და გადამზიდველი და იგი თან უნდა ახლდეს ტვირთს. მესამე ეგზემპლარს ხელს აწერს გადამზიდველი და უბრუნებს გამგზავნელს ტვირთის მიღების შემდეგ. გადამზიდველის ხელმოწერა უნდა შესრულდეს ტვირთის საჰაერო ხომალდში ჩატვირთამდე.

**მუხლი 124.** გამგზავნელი პასუხს აგებს იმ ცნობების სისწორეზე, რომლებიც ტვირთს ეხება და რომლებიც მას შეაქვს ტვირთის ზედნადებში. იგი ამ ცნობების უსწორობით, უზუსტობით ან უსრულობით გამოწვეული ზიანისათვის პასუხს აგებს გადამზიდველის ან სხვა პირის წინაშე, რომლის წინაშე პასუხისმგებელია გადამზიდველი.

**მუხლი 125.** იმ პირობით, რომ შეასრულებს საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა ვალდებულებას და წარუდგენს გადამზიდველს ტვირთის ზედნადებს, გამგზავნელს უფლება აქვს უკან დაიბრუნოს ტვირთი გაგზავნის ან დანიშნულების პუნქტში, დააკავოს იგი დაჯდომის შუალედ პუნქტებში, შეცვალოს ტვირთის ზედნადებში აღნიშნული მიმღები, მოითხოვოს ტვირთის დაბრუნება გაგზავნის პუნქტში. გამგზავნელის მიერ ამ უფლების განხორციელებამ ზარალი არ უნდა მიაყენოს არც გადამზიდველს, არც სხვა გამგზავნელთ; გამგზავნელი ვალდებულია აანაზღაუროს აქედან გამომდინარე ხარჯები. თუ გამგზავნელის განკარგულებათა შესრულება შეუძლებელია, გადამზიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მას ამის შესახებ.

დანიშნულების პუნქტში ტვირთის მოსვლის მომენტიდან მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს გადამზიდველს მისცენ მას ტვირთი და ტვირთის ზედნადები, თუ მანამდე მოსული არ არის გამგზავნელის სხვა განკარგულება.

გამგზავნელის უფლება წყდება იმ მომენტში, როცა წარმოიშობა მიმღების უფლება მოითხოვოს მისცენ მას ტვირთი და ტვირთის ზედნადები. მაგრამ, თუ მიმღები უარს ამბობს ტვირთის მიღებაზე ან თუ შეუძლებელია ჩაბარდეს ტვირთი მას, გამგზავნელი კვლავ იქნეს ტვირთზე განკარგულების უფლებას.

თუ გადამზიდველომა აღიარა ტვირთის დაკარგვა ან თუ ტვირთი არ მოვიდა შვიდი დღის ვადის განმავლობაში იმ დღიდან, როცა ის უნდა მოსულიყო, მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს ანაზღაურება ტვირთის დაკარგვის გამო.

ყოველი დამატებითი შენიშვნა, რომელიც შეცვლის ამ მუხლში აღნიშნულ პირობებს, შეტანილ უნდა იქნას ტვირთის ზედნადებში.

ამ მუხლის წესები არ მოქმედებს არც გამგზავნელისა და მიმღების ურთიერთდამოკიდებულებაზე, არც მესამე პირების ურთიერთობაზე, რომელთა უფლებები გამომდინარეობენ გამგზავნელიდან ან მიმღებიდან.

**მუხლი 126.** მიმღებზე ტვირთის გაცემამდე გამგზავნელი ვალდებულია მისცეს ცნობები და დაურთოს ტვირთის ზედნადებს ყველა დოკუმენტი, რომელიც საჭიროა საბაჟო ან სხვა ფორმალობათა შესასრულებლად. გამგზავნელი პასუხს აგებს გადამზიდველის წინაშე ყველა ზარალზე, რომელიც შეიძლება მოხდეს ამ მონაცემების ან დოკუმენტების უქონლობით, უკმარობით ან უსწორობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი გამოწვეულია გადამზიდველის ბრალით.

გადამზიდველი ვალდებული არ არის შეამოწმოს ეს ცნობები ან დოკუმენტები მათი სიზუსტისა და საკმარისობის შესახებ.

**მუხლი 127.** გადამზიდველი პასუხს აგებს იმ ზიანზე, რაც გამოწვეულია მგზავრის სიკვდილით ან სხეულის დაზიანებით, თუ უბედური შემთხვევა, რომლის შედეგადაც მიყენებულია ზიანი, მოხდა საჰაერო ხომალდზე ან ჩაჯდომის ან გადმოსვლის ოპერაციის წარმოების დროს, აგრეთვე პირდაპირ ზარალზე, რომელიც მოხდა მგზავრის საჰაერო გადაყვანის დროს დაგვიანების შედეგად.

**მუხლი 128.** გადამზიდველი პასუხს აგებს იმ ზიანზე, რაც გამოწვეულია ტვირთის ან მგზავრის მიერ ჩაბარებული ბაგაჟის მოსპობით, დაკარგვით ან დაზიანებით, თუ შემთხვევა, რომლის შედეგადაც მიყენებულია ზიანი, მოხდა იმ დროს, როცა ტვირთს ან ბაგაჟს იცავდა გადამზიდველი, იმისგან დამოუკიდებლად, ამას ადგილი ჰქონდა მიწაზე თუ საჰაერო ხომალდზე.

გადამზიდველი აგრეთვე პასუხს აგებს პირდაპირ ზარალზე, რომელიც მიყენებულია ტვირთისა და ბაგაჟის საჰაერო გადაზიდვის დროს დაგვიანების შედეგად.

**მუხლი 129.** გადამზიდველი თავისუფლდება ამ კოდექსის 127 და 128 მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან თუ დაამტკიცებს, რომ მან ან მის მიერ რწმუნებულმა პირებმა მიიღეს ყველა ზომა ზიანის თავიდან ასაცილებლად, ან შეუძლებელი იყო ასეთი ზომების მიღება.

თუ გადამზიდველი დაამტკიცებს, რომ ზიანის მიზეზი იყო ან ხელს უწყობდა მას დაზარალებული პირის ბრალი, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს გადამზიდველი პასუხისმგებლობისაგან ან შეზღუდოს ეს პასუხისმგებლობა.

**მუხლი 130.** მგზავრების გადაყვანის დროს გადამყვანის პასუხისმგებლობა ზიანზე თითოეული მგზავრის მიმართ განისაზღვრება ოდენობით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის მონაწილეობით დადებული მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებებით საჰაერო გადაყვანის დროს პასუხისმგებლობის შესახებ. ანაზღაურება შეიძლება დადგენილ იქნას პერიოდული გადასახდელების სახით, ამასთან ამ გადასახდელთა კაპიტალიზებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნულ ოდენობას.

**მუხლი 131.** ტვირთისა და ჩაბარებული ბაგაჟის გადაზიდვის დროს გადამზიდველის პასუხისმგებლობა ტვირთის ან ბაგაჟის ყოველ კილოგრამზე განისაზღვრება ოდენობით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის მონაწილეობით დადებული მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებებით საჰაერო გადაზიდვის დროს პასუხისმგებლობის შესახებ, იმ შემთხვევების გამოკლებით,



როცა გამგზავნელმა გადამზიდველს ჩააბარა ტვირთი ან ბაგაჟი განცხადებულ ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა განისაზღვრება განცხადებული ღირებულების ოდენობით. თუ გადამზიდველი ვერ დაამტკიცებს, რომ იგი აღემატება ნამდვილად მიყენებულ ზიანს.

ტვირთის ან ჩაბარებული ბაგაჟის ნაწილის ან მათში არსებული რომელიმე საგნის დაკარგვის, დაზიანების ან დაკაჟების შემთხვევაში ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება ამ ნაჭრის ან ნაჭრების მხოლოდ საერთო წონა. მაგრამ, როცა ტვირთის ან ბაგაჟის ნაწილის, ან მათში არსებული რომელიმე საგნის დაკარგვა, დაზიანება ან დაკაჟება გავლენას ახდენს სხვა ნაჭრების ღირებულებაზე, რომლებიც ჩართულია იმავე ბაგაჟის ქვითარში ან ტვირთის ზედნადებში, მაშინ ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას ყველა ამ ნაჭრის საერთო წონა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

**მუხლი 182.** გადამზიდველის პასუხისმგებლობა საგნებზე, რომლებიც მგზავრს თან აქვს, განისაზღვრება ოდენობით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის მონაწილეობით დადებული მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებებით საპაერო გადაზიდვების დროს პასუხისმგებლობის შესახებ.

**მუხლი 183.** ამ კოდექსის 130, 131 და 132 მუხლებით დადგენილი პასუხისმგებლობა არ გამოიყენება, თუ დამტკიცებულ იქნება, რომ ზიანი მოხდა გადამზიდველის ან მის მიერ რწმუნებული პირების, რომლებიც მოქმედებდნენ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, წინასწარ განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად.

**მუხლი 184.** ტვირთის ან ბაგაჟის უდავოდ მიღების შემთხვევაში იგულისხმება, თუ დამტკიცებული არ იქნება საწინააღმდეგო, რომ ისინი მიტანილია შესაბამის მდგომარეობაში და გადაზიდვის დოკუმენტის შესაბამისად.

ზიანის მიყენების შემთხვევაში პირმა, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს ბაგაჟი ან ტვირთი, უნდა წარუდგინოს გადამზიდველს წერილობითი პრეტენზია ზიანის აღმოჩენიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 დღისა ბაგაჟის მიღების დღიდან და 14 დღისა ტვირთის მიღების დღიდან. მიტანის ვადის დაგვიანების შემთხვევაში პრეტენზია წარდგენილ უნდა იქნას არა უგვიანეს 21 დღის განმავლობაში, მიმღების განკარგულებაში ტვირთის ან ბაგაჟის გადაცემის დღიდან.

ზემოაღნიშნულ ვადებში განცხადებული წერილობითი პრეტენზიის არ არსებობის შემთხვევაში სარჩელი გადამზიდველის მიმართ არ მიიღება.

**მუხლი 185.** სარჩელი პასუხისმგებლობის შესახებ წარედგინება სასამართლოს გადამზიდველის სამმართველოს ადგილმდებარეობის მიხედვით არა უგვიანეს ორი წლის განმავლობაში დღიდან საპაერო ხომალდის დანიშნულებით მოსვლისა ან დღიდან, როცა საპაერო ხომალდი უნდა მოსულიყო, ან გადაზიდვის შეჩერების დღიდან.

**მუხლი 186.** მგზავრების საერთაშორისო საპაერო გადაყვანის, ბაგაჟისა და ტვირთის საერთაშორისო საპაერო გადაზიდვის წესებს, რომლებიც ხორციელდება სსრ კავშირის საერთაშორისო საპაერო ხაზებზე, ადგენს სსრ კავ-



შირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

**თავი IX. სამოქალაქო ავიაციისა და სამოქალაქო ჰაერნაოსნობის გამოყენება სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში**

**მუხლი 137.** სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში (სოფლის მეურნეობაში, ტყეების დაცვის დროს, ექსპედიციების მომსახურების დროს და ა. შ.) საპაერო ხომალდების გამოყენებით სპეციალურ სამუშაოთა შესრულება, აგრეთვე საპაერო ხომალდების გამოყენება მოსახლეობისათვის სამედიცინო და სხვა დახმარების გასაწევად, სანიტარულ ღონისძიებათა შესასრულებლად და სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ხორციელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს საპაერო-სატრანსპორტო საწარმოების საშუალებით დაინტერესებულ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით.

სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთაც აქვთ საპაერო ხომალდები, შეუძლიათ შეასრულონ ფრენა აღნიშნული მიზნით მხოლოდ თავიანთი საჭიროების უზრუნველსაყოფად.

**მუხლი 138.** 137 მუხლში აღნიშნული სამუშაოები უნდა შესრულდეს ამ კოდექსის, სსრ კავშირის საპაერო სივრცეში ფრენის ძირითადი წესებისა და სხვა წესების, რჩევა-დარიგებებისა და ინსტრუქციების მოთხოვნათა დაცვით, რომლებსაც გამოსცემს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს შეუძლია ზოგიერთი სახეობის სამუშაოთა შესასრულებლად დააწესოს სპეციალური წესები, რომლებიც ითვალისწინებენ ამ სამუშაოთა სპეციფიკას.

**მუხლი 139.** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით ამტკიცებს ძირითად პირობებსა და ტიპურ ხელშეკრულებებს სახალხო მეურნეობაში საპაერო ხომალდების გამოყენებით სამუშაოთა შესასრულებლად.

საპაერო ხომალდების გამოყენებით სახალხო მეურნეობაში სამუშაოთა შესრულება ხორციელდება დადგენილი წესით დამტკიცებული ტარიფის მიხედვით.

შემკვეთმა საპაერო ხომალდი უნდა გამოიყენოს ხელშეკრულებისა და სამუშაოთა შესრულების ძირითადი პირობების შესაბამისად და მას სრული პასუხისმგებლობა აკისრია საპაერო ხომალდის დაღუპვის ან გაფუჭებისათვის, თუ ეს მოხდა მისი ბრალით.

**მუხლი 140.** საპაერო-სატრანსპორტო საწარმო ამ კოდექსის 101, 102 და 103 მუხლების შესაბამისად პასუხს აგებს ზიანისათვის, რომელსაც ამ თავში აღნიშნულ სამუშაოთა შესრულების დროს იგი მიაყენებს ხალხს და ქონებას.

საპაერო-სატრანსპორტო საწარმოს უკან მოთხოვნის (რეგრესის) უფლება აქვს ხალხის სიკვდილის, დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანე-

ბის შემთხვევაში, თუ ეს მოხდა იმ ორგანიზაციის ბრალით, რომელსაც კომუნისტური პარტიის მხარე უჭერს მხარს.

**თავი X. ჯარიმები, რომლებსაც ადმინისტრაციული წესით ადებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველო**

**მუხლი 141.** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარ სამმართველოსა და მის ორგანოებს ამ კოდექსის საფუძველზე გამოცემული წესრიგის დაცვისა და მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ წესების, ქონების დაცვის შესახებ წესების, აგრეთვე სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის აქვთ ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების უფლება, თუ არ არსებობს საფუძველი დამრღვევთა უფრო მკაცრი პასუხისმგებლობისათვის.

ჯარიმის ზღვრული ოდენობა ნაჩვენებია ამ წესებში, მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობის პირთა მიმართ 30 მანეთს, სხვა მოქალაქეთა მიმართ — 10 მანეთს.

**მუხლი 142.** ჯარიმებს ადებენ:

1) 10 მანეთის ოდენობით — აეროპორტების უფროსები და ავიარაზმების კომანდირები;

2) 20 მანეთის ოდენობით — ტერიტორიული სამმართველოს უფროსები, ავიაგუფის კომანდირები;

3) 30 მანეთის ოდენობით — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსი და ფრენის უსაფრთხოების მთავარი ინსპექციის უფროსი.

**მუხლი 143.** საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევისათვის, თუ არ არსებობს საფუძველი დამრღვევთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსს უფლება აქვს დამრღვევი ადმინისტრაციული წესით დააჯარიმოს 100 მანეთამდე ოდენობით.

**მუხლი 144.** დადგენილება დაჯარიმების შესახებ უნდა იყოს წერილობითი ფორმით. ამ დადგენილების პირი ჩაბარდება დამრღვევს.

დადგენილება დაჯარიმების შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ზემდგომი ორგანოს უფროსთან ან დადგენილი წესით სასამართლოში.

**მუხლი 145.** ამ კოდექსის 141—144 მუხლების დებულებანი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ არ ვრცელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარი სამმართველოსა და მისი ორგანოების მუშაკებზე, თუ მათ მიერ ამ კოდექსის საფუძველზე გამოცემული წესების დარღვევა მოხდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

## სსრ კავშირის სამოქალაქო საპაერო ფლოტის დროშისა და ემბლემის აღწერილობა

დროშა წითელია (ან ალისფერი) მართკუთხედი ზომით 150 × 75 სმ. მართკუთხედის შუაზე ცისფერი ტოლფერდა სამკუთხედია ტართან 40 სმ ფუძით და სიმაღლით 85 სმ.

ზევით მართკუთხედზე ტარიდან 10 სმ და ნაპირიდან 2 სმ დაშორებით 8 სმ დიამეტრის ოქროს ხუთქიმიანი ვარსკვლავია.

ტარიდან 5 სმ დაშორებით ცისფერ სამკუთხედზე სამოქალაქო საპაერო ფლოტის ემბლემაა.

სამოქალაქო საპაერო ფლოტის ემბლემა წარმოადგენს ვერცხლის ფრთებს ოქროს ნამგლისა და უროს ფონზე. გაშლილი ფრთების სიგრძე 35 სმ, წრის დიამეტრი, რომელშიც ჩახაზულია ნამგალი და ურო, 11,5 სმ.

დაშვებულია უფრო დიდი და უფრო მცირე ზომის დროშისა და ემბლემის დამზადება, მაგრამ პროპორციების დაცვით, აგრეთვე ემბლემით სარგებლობა დროშის გარეშე.

**38** ვოროვილოვის, მოლოტოვის, კაბანოვიჩის, მალენკოვის სა-  
ხელეების მიკუთვნების თაობაზე სსრ კავშირის საკანონმდებ-  
ლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ცნობილ იქნას ძალადაკარგულად სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები  
თანახმად დანართისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 15 იანვარი.



დანართი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 იანვრის ბრძანებულებისა „ვოროშილოვის, მოლოტოვის, კავანოვიჩის, მალენკოვის სახელების მიკუთვნების თაობაზე სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.

ნ უ ს ხ ბ

საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც დაკარგეს ძალა

I

1. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1930 წლის 6 იანვრის დადგენილება „სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინიგზის სადგურ ბლაგოდატნიას სადგურ ვოროშილოვოდ გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1930 წელი № 7, მუხლი 82).
2. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1931 წლის 3 მაისის დადგენილება „ქალაქ ალჩევსკის ქალაქ ვოროშილოვსკად გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1931 წელი, № 5, პუნქტი 13).
3. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1934 წლის 9 მარტის დადგენილება „ბერეზნიკის რაიონის ვოროშილოვის რაიონად გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1934 წელი, № 15, მუხლი 111).
4. „ბერეზნიკის ქიმკომბინატისათვის ამხ. ვოროშილოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1934 წლის 9 მარტის დადგენილების „ბ“ პუნქტი (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1934 წელი, № 89, პუნქტი 16).
5. „სამოქალაქო საჰაერო ფლოტის კიევის საავიაციო ინსტიტუტისათვის კ. ე. ვოროშილოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1934 წლის 17 მარტის დადგენილების „დ“ პუნქტი (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1934 წელი, № 89, პუნქტი 8).
6. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1934 წლის 23 ივნისის დადგენილება „ქალაქ სოჰის მუშურ-გლეხური წითელი არმიის ცენტრალური სანატორიუმისათვის კ. ე. ვოროშილოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1934 წელი № 98 პუნქტი 4).
7. „შორეულ აღმოსავლეთის მხარეში გადარქმევათა შესახებ“ სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 1 აპრილის დადგენილების I პუნქტი (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 18, მუხლი 151).
8. „თეთრგვარდიელთა ბანდებისაგან სტავროპოლის გათავისუფლების თხუთმეტი წლისათვის შესახებ“ სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 29 აპრილის დადგენილების I პუნქტი (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 25, მუხლი 199).

9. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 8 ივნისის დადგენილება „<sup>„მორეულ</sup> აღმოსავლეთის მხარის რაიონების გადარქმევასთან დაკავშირებით <sup>უსსრის</sup> რკინიგზის რკინიგზის სადგურების გადარქმევის შესახებ“ რკინიგზის სადგურ უსურ-ნიკოლსკის უსურ-ვოროშილოვად გადარქმევის ნაწილში (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 33, მუხლი 283, № 44 გვ. 684).

10. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1935 წლის 17 ივნისის დადგენილება „ბელორუსიის სსრ გორეცკის რაიონის სოფელ ოსტოლოპოვოს და ოსტოლოპოვოს სასოფლო საბჭოს სოფელ ვოროშილოვოდ და ვოროშილოვოს სასოფლო საბჭოდ გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1935 წელი, № 10, პუნქტი 21).

11. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 7 აგვისტოს დადგენილება „ჩრდილოეთ კავკასიის მხარის სტავროპოლისა და პრიკუპსკის რაიონებისა და იპატოვოსი და აპანანენკოვსკის რაიონების რაიონული ცენტრების გადარქმევის შესახებ“ სტავროპოლის რაიონის ვოროშილოვის რაიონად გადარქმევის ნაწილში (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 45, მუხლი 378).

12. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 5 ნოემბრის დადგენილება „ქალაქ ლუგანსკის ქალაქ ვოროშილოვგრადად გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 58, მუხლი 473).

13. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1935 წლის 2 დეკემბრის დადგენილება „სომხური მსროლელთა დივიზიისათვის აშხ. კ. ე. ვოროშილოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1935 წელი, № 26, პუნქტი 37).

14. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 17 თებერვლის დადგენილება „დონეცკის რკინიგზის სადგურ ლუგანსკის სადგურ ვოროშილოვგრადად გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 12, მუხლი 102).

15. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 10 მარტის დადგენილება „გორკის მხარის მიზინსკის რაიონის ვოროშილოვის რაიონად გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 20, მუხლი 174).

16. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 19 აპრილის დადგენილება „არხანგელსკის სულფიტ-ცელულოზის კომბინატისათვის აშხ. კ. ე. ვოროშილოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, II განყოფილება № 15, მუხლი 134).

17. „ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის მე-15 წლისათვის აღნიშვნის შესახებ“ სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 15 აგვისტოს დადგენილების „ა“ პუნქტი (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 45, მუხლი 388).

18. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 21 აგვისტოს დადგენილება „ბოჩმანოვსკის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნისათვის აშხ. კ. ე. ვოროშილოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, II განყოფილება № 25, მუხლი 244).

19. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 21 ივნისის ბრძანებულება „ოდესის ქვეითი ჯარის სასწავლებლისათვის აშხ. კ. ე. ვორო-

შილოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1939 წელი, № 25).



20. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 3 თებერვლის ბრძანებულება „წითელი არმიის გენერალური შტაბის აკადემიისათვის ამხ. კ. ე. ვოროსილოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1941 წელი, № 7).

## II

21. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1931 წლის 21 ივნისის დადგენილება „ქალაქ მოტოვილიხის ქ. მოლოტოვოდ გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 40, მუხლი 277).

22. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1932 წლის 17 მაისის დადგენილება „სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს ფოლადის თვითმფრინავების № 62 ქარხნისათვის ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1932 წელი, № 37, პუნქტი 15).

23. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1932 წლის 27 ივლისის დადგენილება „უზბეკეთის სსრ ბუვაიდინსკის რაიონის მოლოტოვის რაიონად გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1932 წელი, № 44, პუნქტი 15).

24. „შორეულ აღმოსავლეთის მხარეში გადარქმევათა შესახებ“ სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 1 აპრილის დადგენილების 2 პუნქტი უსურის ოლქის პოკროვსკის რაიონის მოლოტოვის რაიონად გადარქმევის ნაწილში (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 18, მუხლი 151).

25. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1935 წლის 8 ივნისის დადგენილება „მსუბუქი ინდუსტრიის სრულიად საკავშირო სამრეწველო აკადემიისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1935 წელი, № 9, პუნქტი 14).

26. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 8 ივნისის დადგენილება „შორეულ აღმოსავლეთის მხარის რაიონების გადარქმევასთან დაკავშირებით უსურის რკინიგზის რკინიგზის სადგურების გადარქმევის შესახებ“ რკინიგზის სადგურ პოკროვკას სადგურ მოლოტოვად გადარქმევის ნაწილში (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 33, მუხლი 283).

27. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 2 დეკემბრის დადგენილება „ნიკიტსკის ბალისათვის (ყირიმი) ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 62, მუხლი 495).

28. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 2 დეკემბრის დადგენილება „კენ-არალსკის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 62, მუხლი 496).

29. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 28 თებერვლის დადგენილება „ქალაქ კუბიშევში ჟურნალისტიკის სამხარეო კომუნისტური ინსტიტუტისათვის





- ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, II განყოფილება № 9, მუხლი 96).
30. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 13 მარტის დადგენილება „ყაზახეთის სამედიცინო ინსტიტუტისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, II განყოფილება № 8, მუხლი 74).
31. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 19 აპრილის დადგენილება „როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, II განყოფილება № 15, მუხლი 133).
32. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 3 მაისის დადგენილება „ბაიკალსიმიერის რკინიგზის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელობის გზად გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 24, მუხლი 227).
33. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 2 ივლისის დადგენილება „პერმში საავიაციო ტექნიკოსების სკოლისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, II განყოფილება № 22, მუხლი 190).
34. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება „ხარკოვის ჩარხსაშენებელი ქარხნისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, II განყოფილება № 32, მუხლი 312).
35. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება „სარატოვის საავტომობილო-სავაზო ინსტიტუტისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, II განყოფილება № 39, მუხლი 327).
36. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1937 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება „კიევის პიონერთა სასახლისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1937 წელი, № 113, პუნქტი 39).
37. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1937 წლის 1 დეკემბრის დადგენილება „ბაქტერიული სასუქების პირველი სახელმწიფო ქარხნისათვის (მოსკოვის ოლქი) ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1937 წელი, № 117, პუნქტი 24).
38. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წლის 16 ნოემბრის ბრძანებულება „ტომსკის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1938 წელი, № 17).
39. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 16 თებერვლის ბრძანებულება „მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო სამეურნეო აკადემიისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1939 წელი, № 7).
40. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 21 თებერვლის ბრძანებულება „ორჯონიკიძის მხარის ევდოკიმოვსკის რაიონის მოლო-

ტოვის რაიონად და სოფელ ევდოკიმოვსკოეს — სოფელ მოლოტოვსკოედან გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1939 წელი, № 5, პუნქტი 128).

41. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 1 აპრილის ბრძანებულება „ქალაქ მოსკოვში ახლად აგებული პოლიგრაფიული კომბინატისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1939 წელი, № 18).

42. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 19 აპრილის ბრძანებულება „ქალაქ სვერდლოვსკის ეჟოვის რაიონის მოლოტოვის რაიონად გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1939 წელი, № 5, პუნქტი 55).

43. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 21 ივნისის ბრძანებულება „სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ძვლის ტუბერკულოზის საბავშვო სანატორიუმისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1939 წელი, № 26).

44. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 8 მარტის ბრძანებულება „ქალაქ პერმის ქალაქ მოლოტოვად და პერმის ოლქის მოლოტოვის ოლქად გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 10).

45. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 8 მარტის ბრძანებულება „კიროვის ოლქის ქალაქ ნოლინსკისა და ნოლინსკის რაიონის გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 10).

46. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 8 მარტის ბრძანებულება „სმოლენსკის სამხედრო-პოლიტიკურ სასწავლებლისა და გორკის საზენიტო არტილერიის სასწავლებლისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 10).

47. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 8 მარტის ბრძანებულება „ქალაქ ტაგანროგში ქარხანა „კრასნი გიდროპრესის“ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ქარხანად გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 10).

48. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 15 მარტის ბრძანებულება „ვოლოგდის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისათვის და ქალაქ ვოლოგდის 23 სკოლისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 11).

49. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 15 მაისის ბრძანებულება „ტაშკენტის არხისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 17).

50. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 22 მაისის ბრძანებულება „ქალაქ ლენინგრადში ქარხანა „კრასნი გვოზდილშიის“ გა-



დარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 17).

51. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 3 ივლისის ბრძანებულება „რუსეთის სფს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის მოსკოვის სახელმწიფო საბიბლიოთეკო ინსტიტუტისათვის ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 22).

52. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1940 წლის 23 ივლისის ბრძანებულება „სრულიად საკავშირო სანატორიულ პიონერულ ბანაკ „არტეკისათვის“ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 26).

53. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 20 ნოემბრის ბრძანებულება „მოსკოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტისათვის ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 48).

54. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 5 თებერვლის ბრძანებულება „ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1941 წელი, № 7).

55. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 7 მაისის ბრძანებულება „წითელი არმიის ლენინგრადის ლენინის ორდენის წითელდროშოვანი ოფიცერთა ჯავშანსატანკო უმაღლესი სკოლისათვის ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის ძე მოლოტოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1943 წელი, № 18).

### III

56. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1932 წლის 29 მარტის დადგენილება „მოსკოვის № 1 ქარხანა „შარიკოპოდშპნიკისათვის“ ამხ. კავანოვიჩის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1932 წელი, № 24, მუხლი 147).

57. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1932 წლის 17 ივლისის დადგენილება „მოსკოვის ოქჩის ბოგოროდიცის რაიონის კავანოვიჩის სახელობის მალაროსთან ახლად შექმნილი მუშათა დაბისათვის სახელწოდება „კავანოვიჩის“ მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1932 წელი, № 43, პუნქტი 17).

58. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1932 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება „ნავთობის მალაროების შორ-სუსათვის ამხ. კავანოვიჩის სახელის მიკუთვნებისა და უზბეკეთის სსრ კუდაშის რაიონის ამხ. კავანოვიჩის სახელობის რაიონად გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1932 წელი, № 51, პუნქტი 8).

59. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1934 წლის 17 მარტის დადგენილების „ბ“ პუნქტი ნავთობის სარეწის „კარა-ჩუხუროისათვის“ ლ. მ. კავანოვიჩის სახელის მიკუთვნების ნაწილში (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1934 წელი, № 89, პუნქტი 8).



60. „შორეულ აღმოსავლეთის მხარეში გადარქმევათა შესახებ“ სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 1 აპრილის დადგენილების 2 პუნქტი ამურის ოლქის ეკატერინოსლავკის რაიონის კავანოვიჩის რაიონად გადარქმევის ნაწილში (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 18, მუხლი 151).

61. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 13 მაისის დადგენილება „მოსკოვის მეტროპოლიტენისათვის ამხ. ლ. მ. კავანოვიჩის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 32, მუხლი 255).

62. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1935 წლის 27 მაისის დადგენილება „კრასნოვოსტოჰნი ქარხნის გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1935 წელი, № 8, პუნქტი 5).

63. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 8 ივნისის დადგენილება „შორეულ აღმოსავლეთის მხარის რაიონების გადარქმევასთან დაკავშირებით უსურის რკინიგზის რკინიგზის სადგურების გადარქმევის შესახებ“ რკინიგზის სადგურ ეკატერინოსლავკის სადგურ კავანოვიჩად გადარქმევის ნაწილში (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 33, მუხლი 283).

64. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1935 წლის 11 ივნისის დადგენილება „დნეპროპეტროვსკის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტისათვის ამხ. ლ. მ. კავანოვიჩის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1935 წელი, № 10, პუნქტი 28).

65. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 16 ივნისის დადგენილება „უკრაინის სსრ კიევის ოლქის ხაზნიანსკის რაიონისა და იმავე რაიონის სოფელ კაბანის გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 33, მუხლი 284).

66. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 27 ივნისის დადგენილება „კაშირის პესისათვის ამხ. ლ. მ. კავანოვიჩის სახელის მიკუთვნების შესახებ და მოსკოვის ოლქის კაშირის რაიონის ქალაქ ტერნოვსკის ქალაქ კავანოვიჩად გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 34, მუხლი 298).

67. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 8 აგვისტოს დადგენილება „ლენინგრადში ოქტომბრის ვაგონშემკეთებელი ქარხნისათვის ამხ. ლ. მ. კავანოვიჩის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 42, მუხლი 355).

68. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1935 წლის 20 აგვისტოს დადგენილება „ბერმადსკის შაქრის ქარხნისათვის ამხ. ლ. მ. კავანოვიჩის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1935 წელი, № 16, პუნქტი 15).

69. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1935 წლის 27 სექტემბრის დადგენილება „ქარხანა „ტრანსსივიაზისათვის“ ამხ. ლ. მ. კავანოვიჩის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1935 წელი, № 19, პუნქტი 8).

70. „უკრაინის სსრ ზოგიერთი რაიონებისა და რაიონულ ცენტრების გადარქმევის შესახებ“ სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1935 წლის 27 ოქტომბრის დადგენილების 2 პუნქტი (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1935 წელი, № 22, პუნქტი 9).



71. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 11 ნოემბრის დადგენილება „მოსკოვის პროექტორების ქარხნისათვის ამხ. ლ. მ. კავანოვიჩის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი № 58, მუხლი 474).

72. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 2 დეკემბრის დადგენილება „ვიტებსკის სელსართავი ფაბრიკა „დინას“ ვიტებსკის ამხ. ლ. მ. კავანოვიჩის სახელობის სელსართავი ფაბრიკად გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 62, მუხლი 497).

73. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 16 დეკემბრის დადგენილება „მოსკოვის მუხრუჭების ქარხნისათვის ამხ. ლ. მ. კავანოვიჩის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, II განყოფილება № 1, მუხლი 7).

74. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 1 თებერვლის დადგენილება „პროკოპიევსკის მალაროს (დასავლეთი ციმბირი) № 9 შახტისათვის ამხ. ლ. მ. კავანოვიჩის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, II განყოფილება № 6, მუხლი 64).

75. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 15 თებერვლის დადგენილება „გროდეკოვოს სასაზღვრო რაზმისათვის ამხ. ლ. მ. კავანოვიჩის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, II განყოფილება № 6, მუხლი 65).

76. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 10 მარტის დადგენილება „უესტ-კატავის ქარხნისათვის ამხ. ლ. მ. კავანოვიჩის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, II განყოფილება № 8, მუხლი 73).

77. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 11 მარტის დადგენილება „პერმის რკინიგზის ლ. მ. კავანოვიჩის სახელობის გზად გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 20, მუხლი 173).

78. „ქარხანა „მოყერვისა“ და პეროვის ვაგონშემკეთებელი ქარხნისათვის ლ. მ. კავანოვიჩის სახელისა და კრეკინგ-ელმაველსამშენებლო ქარხნისათვის და მოსკოვის ქარხნისათვის ამხ. ორჯონიკიძის სახელის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 8 აპრილის დადგენილების 1 და 2 პუნქტები (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, II განყოფილება № 12, მუხლი 117).

79. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 9 მაისის დადგენილება „დონეცკის რკინიგზის სადგურ და დაბა პოპასნაიას გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 24, მუხლი 228).

80. სსრ კავშირის 1936 წლის 14 მაისის დადგენილება „რკინიგზის სადგურ პაშენაისათვის (ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელობის გზა) ამხ. ლ. მ. კავანოვიჩის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 27, მუხლი 256).

81. „დონეცკის ოლქის კრასნოლუჩის, გორლოვკის, კადიევკის, ჩისტიაკოვოსა და მაკეევკის საქალაქო საბჭოების ტერიტორიის და წვრილერთეულებისა და ხუთი ახალი რაიონის შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის ცაკის 1936

წლის 22 ივნისის დადგენილების 2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 33, მუხლი 300).

82. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 11 აგვისტოს დადგენილება „ქალაქ ბირობიჯანში ებრაული სახელმწიფო თეატრისათვის ამხ. ლ. მ. კავანოვიჩის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, II განყოფილება № 25, მუხლი 245).

83. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულება „მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტროპოლიტენის სადგურ „ოხოტნი რიადის“ გადარქმევის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 23, მუხლი 449).

#### IV

84. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 23 ივნისის ბრძანებულება „№ 119 ქარხნისათვის ამხ. გ. მ. მალენკოვის სახელის მიკუთვნების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 22).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

**39** ნორვეგიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. გ. გრიბანოვის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს მიხეილ გრიგოლის ძე გრიბანოვი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ნორვეგიაში სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 18 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**40** ნორვეგიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად ნ. მ. ლუნკოვის დანიშვნის შესახებ

დანიშნოს ნიკოლოზ მიტროფანეს ძე ლუნკოვი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად ნორვეგიაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 18 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**41** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხე-ტყის, ცელულოზ-ქაღალდის, ხის დამუშავების მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შექმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხე-ტყის, ცელულოზ-ქაღალდის, ხის დამუშავების მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 22 იანვარი.



ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისგან

**42** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხე-ტყის, ცელულოზ-ქაღალდ-  
დის, ხის დამუშავების მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის  
სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეად სსრ კავშირის მინისტრის  
ამხ. გ. მ. ორლოვის დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

დანიშნოს სსრ კავშირის მინისტრი ამხ. გიორგი მიხეილის ძე ორლოვი  
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ხე-ტყის, ცელულოზ-ქაღალდის, ხის დამუ-  
შავების მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის  
თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 22 იანვარი.

### ბანუოვილება გეორგი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**43** საავიაციო ტექნიკის გამომცემლობისა და „სსრ კავშირის  
დამსახურებული მფრინავ-გამომცემლის“ და „სსრ კავშირის  
დამსახურებული შტურმან-გამომცემლის“ საპატიო წოდებათა მინი-  
შვნის შესახებ

ახალი საავიაციო ტექნიკის გამომცემლისა და გამოცემის დარგში მრავალი  
წლის შემოქმედებითი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდებანი:

„სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავ-გამომცემლისა“

1. პოლოკოვნიკ პეტრე ნიკიფორეს ძე ბელიასნიკს.
2. პოდპოლოკოვნიკ მაქსიმე ალექსის ძე გლაზუნოვს.
3. პოლოკოვნიკ ალექსი ვასილის ძე დევს.
4. პოლოკოვნიკ ანდრია ანტონის ძე კოპიჩენკოს.

„სსრ კავშირის დამსახურებული შტურმან-გამომცემლისა“

პოდპოლოკოვნიკ გიორგი თევდორეს ძე რიაბოვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 18 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**44** ამხ. გ. ი. კონდრატიევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილ-  
დობის შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წი-  
ნაშე დამსახურებისათვის მართის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ.



გრიგოლ ივანეს ძე კონდრატიევი დაჯილდოებულ იქნას „საპატიო ნიშნის“ ორდენით.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 20 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა  
**45** მილიციის უმცროსი ლეიტენანტის ვ. ი. ივანოვის და რაზმელ-  
გის ვ. ლ. ანდრიუშინკოს, ი. ი. ბალაგურის, ვ. თ. კრიცინის და  
ვ. ვ. როჟკოვის მეფლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ  
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს გამოჩენილი მამაცობისა და  
თავგანწირულობისათვის დაჯილდოებულ იქნან:

მეფლით „მამაცობისათვის“

1. გაბრიელ ლუკიანეს ძე ანდრიუშინკო.
2. ივანე ივანეს ძე ბალაგური.
3. პეტრე ილარიონის ძე ივანოვი.
4. ვასილ თომას ძე კრიცინი.
5. ვლადიმერ ვასილის ძე როჟკოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 25 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა  
**46** არმიის გენერალ ი. ვ. ტიულენევის ლენინის ორდენით დაჯილ-  
დობის შესახებ

დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა არმიის წინაშე დამ-  
სახურებისათვის არმიის გენერალი ივანე ვლადიმერის ძე ტიულენევი დაჯილ-  
დოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 27 იანვარი.

### ბანყოფილება მისამე

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

რ ს ფ ს რ

დაბა ჩაიკოვსკის მიკუთვნება რაიონულ დაქვემდებარების ქალაქების  
კატეგორიისადმი, ფოკის რაიონის ცენტრის გადატანა და გადარქმევა

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის  
18 იანვრის ბრძანებულებით პერმის ოლქის ფოკის რაიონის მუშათა დაბა ჩა-  
იკოვსკი მიკუთვნებულია რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიისადმი.

ფოკის რაიონის ცენტრი გადატანილია სოფელ ფოკიდან ქალაქ ჩაიკოვსკი-ში. ფოკის რაიონი გადარქმეულია ჩაიკოვსკის რაიონად.

**გ ა მ ო ვ ი ლ ა** „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური  
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“

№ 35 დამატება,

რომელშიაც მოთავსებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების  
სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები და სსრ კავშირისა და  
მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების  
საფუძვლები.



**საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ  
უმალღესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ  
უმალღესი საბჭოს კავშირდომის ბრძანებულებები  
და დადგენილებები**

განყოფილება პირველი

**კ ა ნ ო ნ ი**

**47** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მუროველთა დაშუქების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ

**კ ა რ ი I**

**სამართო დებულებანი**

**მუხლი 1.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი არის რესპუბლიკის ფულადი სახსრების სახელმწიფო ფონდის შექმნისა და გამოყენების ძირითადი საფინანსო გეგმა. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში თავმოყრილია ეროვნული შემოსავლის ნაწილი, რომელიც ხმარდება საქართველოს სსრ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების გეგმაზომიერ განვითარებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენახვას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს უმთავრესად შეადგენს სოციალისტური მეურნეობის შემოსავალი, რომელიც მუდმივად იზრდება სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი გაფართოებისა და სრულყოფის საფუძველზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის შექმნაში მონაწილეობას იღებენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქენი თავიანთი პირადი შემოსავლით სსრ კავშირის კანონებით დადგენილ გადასახადების გადახდისა და სახსრების ნებაყოფლობით შეტანის გზით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების პროცესში ზორციელდება კონსტროლი საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო და სამეურნეო საქმიანობისა და მათ მიერ სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა შესრულებაზე.

**მუხლი 2.** საქართველოს სსრ საბიუჯეტო წყობა განისაზღვრება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წყობილებით.

სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს სს რესპუბლიკისა, როგორც სახელმწიფოსი, რომელიც სხვა თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად ნებაყოფლობით გაერთიანებულია საკავშირო სახელმწიფოდ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად, ერთიანდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში საკავშირო ბიუჯეტთან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებთან ერთად.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და საკავშირო ბიუჯეტის გაერთიანების საფუძველზე უზრუნველყოფილია მთლიანად სსრ კავშირში და მოკავშირე რესპუბლიკებში სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება, საქართველოს სს რესპუბლიკის მონაწილეობა საერთო-საკავშირო მნიშვნელობის ღონისძიებათა განხორციელებაში, საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარება და მათი ურთიერთდახმარება.

სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს სს რესპუბლიკისა, რომლის შემადგენლობაში შედის აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები და რაიონები, აერთიანებს საქართველოს სს რესპუბლიკურ ბიუჯეტს, აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტს, აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს, რაიონების და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებს.

**მუხლი 8.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა, დამტკიცება და შესრულება, აგრეთვე მისი შემოსავლისა და გასავლის განსაზღვრა საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტს, ავტონომიური სს რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის ხორციელდება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების უფლებათა დაცვას და საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემისა და საფინანსო პოლიტიკის ერთიანობას.

**მუხლი 4.** აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას აქვთ ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

ავტონომიური სს რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები აერთიანებენ ავტონომიურ რესპუბლიკათა რესპუბლიკურ ბიუჯეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი რაიონებისა და რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქების ადგილობრივ ბიუჯეტებს.



**მუხლი 5.** სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს აქვს ავტონომიური ოლქის ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელსაც ამტკიცებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო.

ავტონომიური ოლქის ადგილობრივი ბიუჯეტი აერთიანებს საოლქო ბიუჯეტს, ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში შემავალი რაიონებისა და საოლქო (ავტონომიური ოლქის) დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტებს.

**მუხლი 6.** თითოეულ რაიონს, ქალაქს, სადაბო საბჭოსა და სასოფლო საბჭოს აქვს ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელსაც შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საბჭო ამტკიცებს.

რაიონის ბიუჯეტი აერთიანებს რაიონულ ბიუჯეტს, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტს, სადაბო და სასოფლო საბჭოების ბიუჯეტებს.

ბიუჯეტი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა, რომელსაც რაიონული დაყოფა აქვს, აერთიანებს საქალაქო ბიუჯეტს და ქალაქის შემადგენლობაში შემავალი რაიონების ბიუჯეტებს. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სადაბო და სასოფლო საბჭოების ტერიტორია მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაშია, ქალაქის ბიუჯეტი აერთიანებს აგრეთვე სადაბო და სასოფლო ბიუჯეტებს.

**მუხლი 7.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ერთი წლის ვადით — 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით. საქართველოს სსრ რესპუბლიკის დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს კანონს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, რესპუბლიკის სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები ვალდებული არიან ზუსტად და განუხრელად შეასრულონ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი, მთლიანად და დროულად შეიტანონ ბიუჯეტში დადგენილი გადასახდელები და დაიცვან მკაცრი ეკონომია სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში.

## კ ა რ ი II

### საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი

**მუხლი 8.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლებსა და ხარჯებში დგება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად.

**მუხლი 9.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანება შემდეგი შემოსავალი:

ა) მოგების ანარიცხები და სხვა შემოსავალი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების და უწყებების, ავტონომიურ რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოების, სამინისტროებისა, უწყებების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან, გარდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა

მოგების ანარიცხების იმ ნაწილისა, რომელიც საკავშირო ბიუჯეტს გადაეცემა;

ბ) სატყეო შემოსავალი, საშემოსავლო გადასახადი კოლმეურნეობებიდან, საშემოსავლო გადასახადი რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან, რომლებიც სამომხმარებლო კოოპერაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში იმყოფებიან;

გ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადი;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის ანარიცხები 50 პროცენტის ოდენობით;

ე) სახელმწიფო ბაჟი, ადგილობრივი გადასახადები, გამოსაღებები და სხვა შემოსავალი, რაც დადგენილია სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

**მუხლი 10.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, გარდა ამ კანონის 9 მუხლით გათვალისწინებული შემოსავლებსა, შეიტანება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ოდენობით:

ა) სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრები პენსიების გასაცემად;

ბ) ბრუნვის გადასახადის და სხვა საერთო-საკავშირო სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხები.

**მუხლი 11.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანება ხარჯები:

ა) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიურ რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოების, სამინისტროების, უწყებების და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა დასაფინანსებლად;

ბ) იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც საქართველოს სსრ დაწესებულებები და ორგანიზაციები ახორციელებენ განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურის დარგში, პენსიების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დახმარების გასაცემად და სოციალური უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად;

გ) საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლო ორგანოებისა და სანოტარო კანტორების შესანახად;

დ) სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად, რომელთა დაფინანსება სსრ კავშირის კანონმდებლობისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან წარმოებს.

**მუხლი 12.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და ავტონომიურ რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოების სარეზერვო ფონდები, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდი სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ და სხვა ღონისძიებათა გადაუდებელი ხარჯების დასაფარავად, რომლე-

ბიუჯეტის იქნებოდა გათვალისწინებული საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

**მუხლი 13.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის განსაზღვრა საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტსა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს, რაიონების და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის ხდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგენით სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

**მუხლი 14.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულ ხარჯებს გარდა საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთიდან დასაგეგმავი წლის დასაწყისისათვის იქმნება საკასო საბრუნავი სახსრები. საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

საკასო საბრუნავი სახსრები წლის მანძილზე შეიძლება გამოყენებულ იქნას დროებითი საკასო გარღვევის დასაფარავად და უნდა აღდგენილ იქნას იმავე წელს.

**მუხლი 15.** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენის წესისა და ვადების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის საფუძველზე, შეადგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში შესატანად.

**მუხლი 16.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენის წესისა და ვადების შესაბამისად:

ა) ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების საფუძველზე შეადგენენ შესაბამისად ბიუჯეტების პროექტებს და წარუდგენენ მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში შესატანად;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყევები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა საფუძველზე შეადგენენ საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს და წარუდგენენ მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის შესაღვენად;



გ) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო წინასწარ განიხილავს ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის და საქართველოს სსრ რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების პროექტებს, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების წარმომადგენელთა მონაწილეობით;

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს მათი წარმომადგენლების მონაწილეობით.

აღნიშნული პროექტების განხილვის შემდეგ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო:

შეადგენს საქართველოს სს რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს;

საქართველოს სს რესპუბლიკური ბიუჯეტის, ავტონომიურ რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტების საფუძველზე შეადგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

**მუხლი 17.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განიხილავს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, რომელიც შედგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით გათვალისწინებული მაჩვენებლების შესაბამისად, და წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას, შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით და — გასავლის საერთო თანხას, სადაც გამოყოფილია ასიგნობანი სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლო ორგანოებისა და სანოტარო კანტორების შესანახად;

ბ) საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას. შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით და — გასავლის საერთო თანხას, სადაც გამოყოფილია ძირითადი სახეობის ხარჯები (სახალხო მეურნეობა, სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი, მმართველობა), აგრეთვე ბიუჯეტში შესატანი თანხების და ასიგნობათა განაწილებას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით;

გ) საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებს, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებს, რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში;

დ) წინადადებებს თითოეული ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში და რაიონებისა და რესპუბლი-





კური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებში სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ანარიცხების ოდენობის შესახებ;

ე) წინადადებებს საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობის შესახებ.

**მუხლი 18.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, წინასწარ განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისია.

**მუხლი 19.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისია:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისას მოისმენს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მოხსენებებს მათი საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესახებ. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოხსენებებს შესაბამისი ბიუჯეტების შემოსავლისა და ხარჯების შესახებ, აგრეთვე განიხილავს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ შეტანილ წინადადებებს, რომლებიც შეეხება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ცვლილებებს;

ბ) შეადგენს და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს წარუდგენს დასკვნას საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

**მუხლი 20.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო განიხილავს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნის მიხედვით, აგრეთვე გაარჩევს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის დროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მიერ შეტანილ წინადადებებს.

**მუხლი 21.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ამტკიცებს:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას, შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და— ხარჯების საერთო თანხას, სადაც გამოყოფილია ასიგნებანი სახალხო მეურნეობის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლო ორგანოებისა და სანოტარო კანტორების შესანახად;

ბ) საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტს შემოსავლისა და გასავლის საერთო თანხით;

გ) საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში და რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებში საერთო საკავშირო



სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ანარცების ოდენობას  
 დ) საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობას საქართველოს სსრ რეს-  
 პუბლიკური ბიუჯეტის მიხედვით.

საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუ-  
 ჯეტები, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტი, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქ-  
 ვემდებარების ქალაქების ბიუჯეტები განისაზღვრება საქართველოს სსრ სა-  
 ხელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლის საერთო თანხით და გასავლის საერთო  
 თანხით საქართველოს სსრ თითოეული ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონო-  
 მიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების  
 მიხედვით, აგრეთვე განისაზღვრება ამ ბიუჯეტების საკასო საბრუნავი სახსრე-  
 ბის ოდენობა.

**მუხლი 22.** კანონი საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ  
 ქვეყნდება საყოველთაო გაცნობად.

**მუხლი 23.** საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების  
 შემდეგ სსრ კავშირის კანონების და საქართველოს სსრ კანონების ან სსრ კავ-  
 შირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების და საქართველოს სსრ მინისტრთა  
 საბჭოს დადგენილებების გამოცემის შემთხვევაში, რომელთა შესაბამისად  
 იზრდება საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუ-  
 ჯეტების, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქ-  
 ვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების ხარჯები ან მცირდება შემოსავალი, ამ  
 ბიუჯეტებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესში  
 სახსრები აუნაზღაურდებათ საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან,  
 ხოლო საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუ-  
 ჯეტების, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის, რაიონებისა და რესპუბლიკური  
 დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების ხარჯების შემცირების ან შემოსავ-  
 ლის გადიდების დროს, შესაბამისი თანხები ამ ბიუჯეტებიდან გადაეცემა სა-  
 ქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტს.

**მუხლი 24.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სა-  
 ხელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას აწყობს საქართველოს სსრ ფინანსთა სა-  
 მინისტროს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს  
 სსრ სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტ-  
 რთა საბჭოების და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო (რესპუბ-  
 ლიკური დაქვემდებარების) და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომი-  
 ტეტების მეშვეობით.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სსრ სახალხო  
 მეურნეობის საბჭო, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, ავტო-  
 ნომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების  
 აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ ბიუჯეტით გათვალისწინე-  
 ბული ყველა შემოსავლის შესრულებას, სახელმწიფო სახსრების ეკონომიურ  
 ხარჯვას ზუსტი მიზნობრივი დანიშნულებით და საწარმოო და საფინანსო გეგ-  
 მების შესრულების კვალობაზე.



საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულებას  
 ციელებენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები.

**მუხლი 25.** ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების, სადაბო და სასოფლო საბჭოების ბიუჯეტების შესრულების დროს დროებითი საკასო გარღვევების შემთხვევებში ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობით შეიძლება ვაიცეს სესხი შესაბამისად რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ბიუჯეტებიდან.

სესხი უნდა დაიფაროს დადგენილ ვადაში საბიუჯეტო წლის ფარგლებში. სესხის გაცემის წესს ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

**მუხლი 26.** ანგარიშს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ შეადგენს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით და ვადებში.

**მუხლი 27.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ანგარიშს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

**მუხლი 28.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისია განიხილავს ანგარიშს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, შეადგენს დასკვნას ანგარიშზე და წარუდგენს მას საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

**მუხლი 29.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნის მიხედვით იხილავს და ამტკიცებს ანგარიშს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, რომელიც შეიცავს ანგარიშებს საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ ქვეყნდება საყოველთაო გასაცნობად.

**მუხლი 30.** კონტროლს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

**საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტი**

**მუხლი 31.** საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტი უზრუნველყოფს საჭირო ფულადი სახსრებით საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიებების დაფინანსებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში. საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის მეშვეობით ხორციელდება ფინანსური რესურსების ნაწილის ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა, ქალაქებსა (რესპუბლიკური დაქვემდებარების) და რაიონებს შორის გადანაწილება მათი ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარების, საქართველოს სსრ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული ღონის ზრდის უზრუნველყოფის მიზნით.

**მუხლი 32.** საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შეიტანება შემოსავალი:

ა) მოგების ანარიცხები და სხვა შემოსავალი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან, გარდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების ანარიცხების იმ ნაწილისა, რომელიც საკავშირო ბიუჯეტს გადაეცემა;

ბ) სატყეო შემოსავალი, საშემოსავლო გადასახადი კოლმეურნეობებიდან, საშემოსავლო გადასახადი სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოებიდან.

გ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადი;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის ანარიცხები 50 პროცენტის ოდენობით;

ე) სხვა შემოსავალი, რომელიც მიმართული იქნება რესპუბლიკური ბიუჯეტის შესაქმნელად საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

გარდა აღნიშნული შემოსავლებისა საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შეიტანება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ოდენობით:

ა) სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრები პენსიების გასაცემად;

ბ) ბრუნვის გადასახადისა და სხვა საერთო საკავშირო სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხები.

**მუხლი 33.** საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შეიტანება ხარჯები:

ა) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა დასაფინანსებლად;

ბ) იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც რესპუბლიკის დაწესებულებები და ორგანიზაციები ახორციელებენ განათლების, მეცნიერების,



კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურის დარგში, პენსიების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დახმარების გასაცემად და სოციალური უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად;

გ) საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლო ორგანოებისა და სანოტარო კანტორების შესანახად;

დ) სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად, რომელთა დაფინანსება საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტიდან წარმოებს.

საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის გასავლის ნაწილში შეიტანება თანხები, რომლებიც აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს, რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ადგილობრივ ბიუჯეტებს გადაეცემა საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხების სახით.

**მუხლი 34.** ამ კანონის 12 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის შემადგენლობაში იქმნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სარეზერვო ფონდი.

**მუხლი 35.** საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯების გარდა საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ნაშთიდან დასავეგმავი წლის დასაწყისისათვის იქმნება საკასო საბრუნავი სახსრები.

საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

საკასო საბრუნავი სახსრები წლის მანძილზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დროებითი საკასო გარღვევების დასაფარავად და აღდგენილ უნდა იქნას იმავე წელს.

**მუხლი 36.** საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების დროს დამატებით მიღებული შემოსავალი სსრ კავშირის კანონმდებლობითა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით მიმართული იქნება სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, კაპიტალური დაბანდების ჩათვლით.

**მუხლი 37.** საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხები, რომლებიც წლის ბოლოსათვის წარმოიშობა შემოსავლის გადაჭარბების ან ხარჯებში ეკონომიის შედეგად, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში არსებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კაპიტალურ დაბანდებათა გარდა, რჩება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებაში და იხარჯება მისი შეხედულებით.

**მუხლი 38.** საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტი სრულდება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილი შემოსავლისა და გასავლის განწერის მიხედვით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.

**ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები**

**მუხლი 39.** ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები უზრუნველყოფენ იმ ღონისძიებების ფულადი სახსრებით დაფინანსებას, რომლებიც მიმართულია ავტონომიური რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურული განვითარებისა, რასაც ახორციელებენ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები.

**მუხლი 40.** ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო წყობას განსაზღვრავს მათი სახელმწიფოებრივი წყობილება და მას აწესებს ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები ამ კანონის შესაბამისად.

საქართველოს სსრ შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებს აქვთ თანასწორი უფლება ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და შესრულების საქმეში.

**მუხლი 41.** ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანება შემდეგი შემოსავალი:

ა) მოგების ანარიცხები და სხვა შემოსავალი ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისადმი და ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი დაქვემდებარებულ სახელმწიფო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებიდან;

ბ) საშემოსავლო გადასახადი სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოებიდან;

გ) სატყეო შემოსავალი;

დ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადი;

ე) ადგილობრივი გადასახადები და გამოსაღებები;

ვ) სახელმწიფო ბაჟი და სხვა შემოსავალი, რომელიც მიმართული იქნება ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შექმნისათვის სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 42.** ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტს ამ კანონის 41 მუხლით გათვალისწინებულ შემოსავლის გარდა, გადაეცემა ანარიცხები ბრუნვის გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან და სხვა საერთო საკავშირო სახელმწიფო შემოსავლებიდან და გადასახადებიდან, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით დაწესებული ოდენობით.

**მუხლი 43.** ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანება ხარჯები:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა დასაფინანსებლად.



ბ) იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც ავტონომიური რესპუბლიკების დაწესებულებები და ორგანიზაციები ახორციელებენ განათლების, კულტურის, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში;

გ) ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად;

დ) სხვა ღონისძიებების განსაზოციელებლად, რომელთა დაფინანსება წარმოებს ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 44.** ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის განაწილებას რესპუბლიკურ ბიუჯეტსა და საქალაქო და რაიონულ ბიუჯეტებს შორის განსაზოვირავს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით.

**მუხლი 45.** ამ კანონის 12 მუხლის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში იქმნება ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სარეზერვო ფონდი.

**მუხლი 46.** ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯების გარდა აღნიშნული ბიუჯეტის ნაშთიდან დასაგეგმავი წლის დასაწყისისათვის იქმნება საკასო საბრუნავი სახსრები. საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა განისაზოვირება ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების დროს და შეიძლება გადიდებულ იქნას საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკისათვის დაწესებულ თანხასთან შედარებით.

საკასო საბრუნავი სახსრები წლის მანძილზე შეიძლება გამოყენებულ იქნას დროებითი საკასო გარღვევის დასაფარავად და აღდგენილ უნდა იქნას იმავე წელს.

**მუხლი 47.** ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისას ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შეუძლია ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის საერთო თანხა გააღიღოს და შეცვალოს ხარჯების საერთო თანხა, რომელიც ამ კანონის 21 მუხლის შესაბამისად დაწესებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში. სახელმწიფო ვადასახადებისა და შემოსავლის იმ ანარიცხების ოდენობის შეყოვიღებლად, რომლებიც გათვალისწინებულია ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში.

**მუხლი 48.** ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკის კანონების ან ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგინებულების გამოცემის შემთხვივაში, რომელთა შესაბამისად იზრდება რაიონებისა და რესპუბლიკური (ასსრ) დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების ხარჯები ან მკორდება შემოსავალი, ამ ბიუჯეტებს ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესში სახსრები აუნაზოვირდებათ ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან; რაიონებისა და რესპუბლიკური (ასსრ) დაქვემდებარე-



ბის ქალაქების ბიუჯეტების ხარჯების შემცირების ან შემოსავლის გადამსახურების სათანადო თანხები გადაეცემა ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს.

**მუხლი 49.** ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით მიმართული იქნება სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, კაპიტალური დაბანდების ჩათვლით.

**მუხლი 50.** აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხები, რომლებიც წლის ბოლოსათვის წარმოიშობა შემოსავლის გადაჭარბების ან ხარჯებში ეკონომიის შედეგად, რჩება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განკარგულებაში და იხარჯება სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია ცალკეულ შემთხვევებში მოახდინოს აღნიშნული თანხების გადანაწილება.

**მუხლი 51.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებებს.

**კ ა რ ი V**

**ავტონომიური ოლქის ადგილობრივი ბიუჯეტი**

**მუხლი 52.** ავტონომიური ოლქის ადგილობრივი ბიუჯეტი უზრუნველყოფს ფულადი სახსრებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დაფინანსებას, რომელსაც ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო ახორციელებს.

**მუხლი 53.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში შეიტანება შემდეგი შემოსავალი:

- ა) მოგების ანარიცხები და სხვა შემოსავალი ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი დაქვემდებარებული საწარმოებიდან და სამეურნეო ორგანიზაციებიდან;
- ბ) საშემოსავლო გადასახადი სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოებიდან;
- გ) ადგილობრივი გადასახადები და გამოსაღებები;
- დ) სახელმწიფო ბაჟი და სხვა შემოსავალი, რომელიც მიმართული იქნება ავტონომიური ოლქის ადგილობრივი ბიუჯეტის შექმნისათვის საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 54.** ამ კანონის 53 მუხლით გათვალისწინებულ შემოსავლის გარდა ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს გადაეცემა ბრუნვის გადასახადის, კოლმეურ-





ნეობებიდან საშემოსავლო გადასახადის, მოსახლეობიდან საშემოსავლო გადასახადის და სხვა საერთო საკავშირო სახელმწიფო შემოსავლებისა და გადასახადების ანარიცხები საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში დაწესებული ოდენობით.

**მუხლი 55.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში შეიტანება ხარჯები:

ა) ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დასაფინანსებლად;

ბ) იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებები და ორგანიზაციები ახორციელებენ განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში.

გ) ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად;

დ) სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად, რომელთა დაფინანსება წარმოებს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 56.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯების გარდა აღნიშნული ბიუჯეტის ნაშთიდან დასაგეგმავი წლის დასაწყისისათვის იქმნება საკასო საბრუნავი სახსრები.

საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა განისაზღვრება ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის დამტკიცებისას და შეიძლება გაზრდილ იქნას საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში ავტონომიური ოლქისათვის დაწესებულ თანხასთან შედარებით.

საკასო საბრუნავი სახსრები წლის მანძილზე შეიძლება გამოყენებულ იქნას დროებითი საკასო გარღვევების დასაფარავად და უნდა აღდგენილ იქნას იმავე წელს.

**მუხლი 57.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შემოსავლისა და ხარჯების განაწილებას საოლქო ბიუჯეტსა და საქალაქო და რაიონულ ბიუჯეტებს შორის განსაზღვრავს ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო მისი აღმასრულებელი კომიტეტის წარდგინებით.

**მუხლი 58.** ამ კანონის 12 მუხლის შესაბამისად, ავტონომიური ოლქის საოლქო ბიუჯეტში იქმნება მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდი.

**მუხლი 59.** ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის პროექტის შედგენის წესისა და ვადების შესაბამისად:

ა) ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის საფუძველზე შეადგენენ რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტების პროექტებს, წარუდგენენ მათ მშრომელთა დე-

პუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს განსახილველად ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის პროექტში შესატანად;

ბ) ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოები და განყოფილებები ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა საფუძველზე, შეადგენენ საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს და წარუდგენენ მათ ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ავტონომიური ოლქის საოლქო ბიუჯეტის პროექტის შესადგენად;

გ) ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება წინასწარ განიხილავს:

რაიონებისა და საოლქო დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების პროექტებს მათი წარმომადგენლების მონაწილეობით.

— ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოების და განყოფილებების საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს მათი წარმომადგენლების მონაწილეობით.

აღნიშნული პროექტების განხილვის შემდეგ ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება:

— შეადგენს ავტონომიური ოლქის საოლქო ბიუჯეტის პროექტს;

— საოლქო, საქალაქო და რაიონული ბიუჯეტების პროექტების საფუძველზე შეადგენს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს მას ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

**მუხლი 60.** ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც შედგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით ავტონომიური ოლქის ბიუჯეტისათვის გათვალისწინებული მაჩვენებლების შესაბამისად და წარუდგენს ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს;

ა) ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას, შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და — ხარჯების საერთო თანხას, სადაც გამოყოფილია ასიგნებანი სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად და ავტონომიური ოლქის სახელმწიფო-ხელისუფლების ორგანოების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად;

ბ) საოლქო ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას, შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და — ხარჯების საერთო თანხას, სადაც გამოყოფილია ასიგნებანი ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, და მმართველობის ორგანოების შესანახად, რომელთა დაფინანსება საოლქო ბიუჯეტიდან წარმოებს, აგრეთვე ბიუჯეტში შესატანი თანხების და ასიგნებათა განაწილებას მშრომელთა

დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თითოეული წევრისა და განყოფილების მიხედვით;

გ) საოლქო დაქვემდებარების ქალაქის და თითოეული რაიონის ბიუჯეტებს, რომლებიც შეტანილია ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში;

დ) წინადადებებს საოლქო დაქვემდებარების ქალაქის და რაიონების ბიუჯეტებში სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ანარიცხების ოდენობის შესახებ;

ე) წინადადებებს საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობის შესახებ.

**მუხლი 61.** მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოსათვის წარდგენილ ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს წინასწარ განიხილავს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს საბიუჯეტო კომისია.

**მუხლი 62.** მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს საბიუჯეტო კომისია:

ა) ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის განხილვისას მოისმინს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოებისა და განყოფილებების მოხსენებებს მათი საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესახებ, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (საოლქო დაქვემდებარების ქალაქის) და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოხსენებებს ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების შემოსავლისა და ხარჯების შესახებ, აგრეთვე განიხილავს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოების, განყოფილებებისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ შეჩანულ წინადადებებს, რომლებიც შეიხება ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შემოსავლისა და გასაღლის ცვლილებებს;

ბ) შეადგინს და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს წარუდგენს დასკვნას ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შესახებ.

**მუხლი 63.** მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭო განიხილავს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენებისა და საბიუჯეტო კომისიის დასკვნის მიხედვით, აგრეთვე გააჩივებს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის განხილვისას საბჭოს დეპუტატების მიერ შეტანილ წინადადებებს.

**მუხლი 64.** მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭო ამტკიცებს:

ა) ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას, შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და — ხარჯების საერთო თანხას, სადაც გამოყოფილია ასიგნებანი ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად და ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად;

ბ) საოლქო ბიუჯეტს;

გ) საოლქო დაქვემდებარების ქალაქისა და რაიონების ბიუჯეტებში საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ანარიცხების ოდენობას;



დ) საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობას საოლქო ბიუჯეტის მიხედვით ქალაქისა (საოლქო დაქვემდებარების) და რაიონების ბიუჯეტები განისაზღვრება ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში შემოსავლის საერთო თანხით და გასავლის საერთო თანხით ქალაქისა და თითოეული რაიონის მიხედვით, აგრეთვე განისაზღვრება ბიუჯეტების საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა.

**მუხლი 65.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის დამტკიცებისას მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს შეუძლია ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში გაზარდოს შემოსავლის საერთო თანხა და შესცვალოს ხარჯების საერთო თანხა, რომელიც ამ კანონის 21 მუხლის შესაბამისად დაწესებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების იმ ანარიცხების ოდენობის შეუცვლელად, რომლებიც გათვალისწინებულია ავტონომიური ოლქის ბიუჯეტისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში.

**მუხლი 66.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ, რომელთა შესაბამისად იზრდება ხარჯები ან მცირდება რაიონებისა და ავტონომიური ოლქის დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტების შემოსავალი, ამ ბიუჯეტებს ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შესრულების პროცესში აუნაზღაურდებთ სახსრები ავტონომიური ოლქის საოლქო ბიუჯეტიდან; რაიონებისა და ავტონომიური ოლქის დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტების ხარჯების შემცირებისას ან შემოსავლის გაზრდისას შესაბამისი თანხები გადაეცემა ავტონომიური ოლქის საოლქო ბიუჯეტს.

**მუხლი 67.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მიმართული იქნება ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, კაპიტალური დაბანდების ჩათვლით.

**მუხლი 68.** მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხები, რომლებიც წლის ბოლოსათვის წარმოიშობა შემოსავლის გადაჭარბების ან ხარჯებში ეკონომიის შედეგად, რჩება მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში და იხარჯება სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია ცალკეულ შემთხვევებში მოახდინოს აღნიშნული თანხების გადაანაწილება.

**მუხლი 69.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შესრულებას აწყობს ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საფინანსო ორგანოების, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებების, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით.



ბიუჯეტები სრულდება დამტკიცებული ბიუჯეტების საფუძველზე საფინანსო ორგანოთა მიერ შედგენილი შემოსავლისა და გასავლის განწერის მიხედვით.

**მუხლი 70.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს შეადგენს საოლქო საფინანსო განყოფილება და წარუდგენს ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

**მუხლი 71.** ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს ოლქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და წარუდგენს დასამტკიცებლად ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

**მუხლი 72.** ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს წინასწარ განიხილავს ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საბიუჯეტო კომისია, რომელიც თავის დასკვნას ანგარიშის შესახებ წარუდგენს ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

**მუხლი 73.** ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენებისა და საბიუჯეტო კომისიის დასკვნის მიხედვით განიხილავს და ამტკიცებს ოლქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, რომელიც შეიცავს ოლქის ბიუჯეტის, რაიონების ბიუჯეტებისა და ავტონომიური ოლქის დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს.

**მუხლი 74.** ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ და გადაწყვეტილება ამ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ ქვეყნდება საყოველთაო გაცნობად.

## ქ ა რ ი VI

### საპარტიზლოს სსრ რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ადგილობრივი ბიუჯეტები

**მუხლი 75.** რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ადგილობრივი ბიუჯეტები ფულადი სახსრებით უზრუნველყოფენ იმ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დაფინანსებას, რომელსაც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოები ახორციელებენ.

**მუხლი 76.** რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებში შეიტანება შემდეგი შემოსავალი:

- ა) მოგების ანარიცხები და სხვა შემოსავალი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი დაქვემდებარებული საწარმოებიდან და სამეურნეო ორგანიზაციებიდან;



ბ) საშემოსავლო გადასახადი სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოებიდან;

- გ) სატყეო შემოსავალი;
- დ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადი;
- ე) ადგილობრივი გადასახადები და გამოსაღებები;

ვ) სახელმწიფო ბაჟი და სხვა შემოსავალი, რომელიც მიმართული იქნება ქალაქის ბიუჯეტის შექმნისათვის საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 77.** ამ კანონის 76 მუხლით გათვალისწინებული შემოსავლის გარდა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებს გადაეცემა ანარეციები ბრუნვის გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან და სხვა სახელმწიფო შემოსავლებიდან და გადასახადებიდან, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ოდენობით.

**მუხლი 78.** რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებში შეიტანება ხარჯები:

ა) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა დასაფინანსებლად;

ბ) იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებები და ორგანიზაციები ახორციელებენ განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში;

გ) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად;

დ) სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად, რომელთა დაფინანსება წარმოებს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებიდან, საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 79.** რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებში გათვალისწინებული ხარჯების გარდა აღნიშნული ბიუჯეტების ნაშთიდან დასაგეგმავი წლის დასაწყისისათვის იქმნება საკასო საბრუნავი სახსრები.

საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა ისაზღვრება რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების დამტკიცებისას და შეიძლება გაზრდილი იქნას საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში ქალაქების ბიუჯეტებისათვის დაწესებულ თანხასთან შედარებით.

საკასო საბრუნავი სახსრები წლის მანძილზე შეიძლება გამოყენებულ იქნას დროებითი საკასო გარღვევების დასაფარავად და აღდგენილ უნდა იქნას იმავე წელს.

**მუხლი 80.** რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტის შემოსავლისა და ხარჯების განაწილებას საქალაქო ბიუჯეტებსა და ქალაქის რაიონების

ბიუჯეტებს შორის განსაზღვრავს ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტის წარდგინებით.

**მუხლი 81.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი ქალაქის ბიუჯეტის პროექტის შედგენის წესისა და ვადების შესაბამისად:

ა) მშრომელთა დეპუტატების რაიონული (ქალაქის რაიონების), სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის საფუძველზე შეადგენენ ქალაქის რაიონების, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების პროექტებს და წარუდგენენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს განსახილველად და ქალაქის ბიუჯეტის პროექტში შესატანად;

ბ) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოები და განყოფილებები ქალაქის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა საფუძველზე, შეადგენენ საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვის პროექტებს და წარუდგენენ მათ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საქალაქო ბიუჯეტის პროექტის შესადგენად;

გ) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება წინასწარ განიხილავს:

— ქალაქის რაიონების, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების პროექტებს, შესაბამის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების წარმომადგენელთა მონაწილეობით;

— მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოებისა და განყოფილებების საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს მათი წარმომადგენლების მონაწილეობით.

აღნიშნული პროექტების განხილვის შემდეგ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება:

— შეადგენს საქალაქო ბიუჯეტის პროექტს;

შეადგენს საქალაქო ბიუჯეტის პროექტს ქალაქის რაიონების, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების პროექტების საფუძველზე და წარუდგენს მას მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

**მუხლი 82.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს ქალაქის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც შედგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული მაჩვენებლების შესაბამისად და წარუდგენს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს:

ა) ქალაქის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის, საერთო თანხას, შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და — ხარჯების საერთო თანხას, სადაც გამოყოფილია ასიგნებანი ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად და ქალაქის სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად;



ბ) საქალაქო ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას, შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და — ხარჯების საერთო თანხას, სადაც გამოყოფილია ასიგნებანი ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად, რომელთა დაფინანსება საქალაქო ბიუჯეტიდან წარმოებს, აგრეთვე ბიუჯეტში შესატანი თანხების და ასიგნებათა განაწილებას მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ცალკეული სამმართველოებისა და განყოფილებების მიხედვით;

გ) რაიონულ, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტებს, რომლებიც შეტანილია ქალაქის ბიუჯეტში;

დ) წინადადებებს საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან თითოეული რაიონის, სადაბო და სასოფლო საბჭოს ბიუჯეტებში ანარიცხების ოდენობის შესახებ;

ე) წინადადებებს საკასო საბრუნავე სახსრების ოდენობის შესახებ.

**მუხლი 83.** ქალაქის ბიუჯეტს, რომელიც წარმოდგენილია მშრომელთა დეპუტატების საბჭოსათვის, წინასწარ განიხილავს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საბიუჯეტო კომისია.

**მუხლი 84.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საბიუჯეტო კომისია:

ა) ქალაქის ბიუჯეტის განხილვისას მოისმენს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოებისა და განყოფილებების მოხსენებებს მათი საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესახებ, რაიონების აღმასრულებელი კომიტეტების, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც რაიონული დაყოფა არ არის — მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი სასოფლო საბჭოების მოხსენებებს რაიონული და სასოფლო ბიუჯეტების შემოსავლისა და ხარჯების შესახებ, აგრეთვე განიხილავს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოების, განყოფილებების და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ შეტანილ წინადადებებს, რომლებიც ეხება ქალაქის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილებებს;

ბ) შეადგენს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს წარუდგენს დასკვნას ქალაქის ბიუჯეტის შესახებ.

**მუხლი 85.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენებისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნის მიხედვით, განიხილავს ქალაქის ბიუჯეტს, აგრეთვე გაარჩევს ქალაქის ბიუჯეტის განხილვისას საბჭოს დეპუტატების მიერ შეტანილ წინადადებებს.





**მუხლი 86. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო ამტკიცებს:**

ა) ქალაქის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს საერთო თანხას, შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და — ხარჯების საერთო თანხას, სადაც გამოყოფილია ასიგნებანი ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად და ქალაქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად;

ბ) საქალაქო ბიუჯეტს;

გ) სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ანარიცხების ოდენობას რაიონულ ბიუჯეტებში ქალაქ თბილისისათვის და სასოფლო ბიუჯეტებში იმ ქალაქებისათვის, სადაც რაიონული დაყოფა არ არის;

დ) საქალაქო ბიუჯეტის საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობას.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო განსაზღვრავს:

— რაიონების ბიუჯეტებს (თბილისი) შემოსავლის საერთო თანხაში და ხარჯების საერთო თანხაში თითოეული რაიონის მიხედვით;

— სასოფლო საბჭოების ბიუჯეტებს, რომლებიც შეტანილია რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტში, თითოეული სასოფლო ბიუჯეტის შემოსავლის საერთო თანხით და ხარჯების საერთო თანხით;

— საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობას თითოეული ამ ბიუჯეტის მიხედვით.

**მუხლი 87.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცებისას შეუძლია გაზარდოს საქალაქო ბიუჯეტში შემოსავლის საერთო თანხა და შეცვალოს ხარჯების საერთო თანხა, რომელიც ამ კანონის 21 მუხლის შესაბამისად დაწესებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, ქალაქის ბიუჯეტისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხების ოდენობის შეუცვლელად.

**მუხლი 88.** იმ შემთხვევაში თუ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომლის შესაბამისად იზრდება ხარჯები ან მცირდება შემოსავლები რაიონების ბიუჯეტების (ქალაქ თბილისში) და სასოფლო ბიუჯეტებისა, რომლებიც შეტანილია რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტში, — ამ ბიუჯეტებს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების შესრულების პროცესში აუნაზღაურდებათ სახსრები ქალაქის ბიუჯეტიდან. რაიონების ბიუჯეტების (ქალაქ თბილისში) და სასოფლო ბიუჯეტების ხარჯების შემცირების ან შემოსავლების გაზრდისას შესაბამისი თანხები გადაეცემა ქალაქის ბიუჯეტს.

**მუხლი 89.** ქალაქის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შეიძლება მიმართულ იქნას ადგილობრივი მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, კაპიტალური დაბანდების ჩათვლით.



**მუხლი 90.** რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტის ექსპლუატაციის ვალზე შემოსავლის გადამეტების თანხები, რომლებიც წლის ბოლოსათვის წარმოიშობა შემოსავლის გადაჭარბების ან ხარჯებში ეკონომიის შედეგად, რჩება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში და იხარჯება სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია ცალკეულ შემთხვევებში მოახდინოს აღნიშნული თანხების გადანაწილება.

**მუხლი 91.** ქალაქის ბიუჯეტის შესრულებას აწყობს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მისი საფინანსო განყოფილების, სამმართველოების, განყოფილებებისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით.

საქალაქო ბიუჯეტი სრულდება დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე საფინანსო განყოფილების მიერ შედგენილი შემოსავლისა და გასავლის განწერის მიხედვით.

**მუხლი 92.** რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს შეადგენს საქალაქო საფინანსო განყოფილება და წარუდგენს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

**მუხლი 93.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს ქალაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და წარუდგენს დასამტკიცებლად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს.

**მუხლი 94.** ქალაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს წინასწარ განიხილავს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საბიუჯეტო კომისია, რომელიც თავის დასკვნას ანგარიშის შესახებ წარუდგენს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს.

**მუხლი 95.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენებისა და საბიუჯეტო კომისიის დასკვნის მიხედვით იხილავს და ამტკიცებს ქალაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, რომელიც შეიცავს საქალაქო ბიუჯეტის, რაიონების (ქ. თბილისი) ბიუჯეტების, აგრეთვე სასოფლო ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებს.

**მუხლი 96.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილება ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ და გადაწყვეტილება ამ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ ქვეყნდება საყოველთაო გასაცნობად.

## ქ ა რ ი VII

### რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები

**მუხლი 97.** რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები უზრუნველყოფენ ფულადი სახსრებით იმ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დაფინანსებას, რომელსაც მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები ახორციელებენ.

**მუხლი 98.** რაიონის ბიუჯეტში შეიტანება შემდეგი შემოსავალი: **2022 წლისთვის**

ა) მოგების ანარიცხები და სხვა შემოსავალი მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოებიდან და სამეურნეო ორგანიზაციებიდან;

ბ) საშემოსავლო გადასახადი სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოებიდან;

გ) ადგილობრივი გადასახადები და გამოსაღებები;

დ) სახელმწიფო ბაჟი და სხვა შემოსავალი, რომელიც მიმართული იქნება რაიონის ბიუჯეტის შექმნისათვის საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 99.** ამ კანონის 98 მუხლით გათვალისწინებულ შემოსავალს გარდა რაიონის ბიუჯეტს გადაეცემა ანარიცხები ბრუნვის გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან და სხვა საერთო საკავშირო სახელმწიფო შემოსავლებიდან და გადასახადებიდან საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებში გათვალისწინებული ოდენობით.

**მუხლი 100.** რაიონის ბიუჯეტში შეიტანება ხარჯები:

ა) მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დასაფინანსებლად;

ბ) იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებები და ორგანიზაციები ახორციელებენ განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში;

გ) რაიონის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად;

დ) სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად, რომელთა დაფინანსება წარმოებს რაიონების ბიუჯეტებიდან საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის და მშრომელთა დეპუტატების ავტონომიური ოლქის საქალაქო, რაიონული საბჭოების გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

**მუხლი 101.** რაიონის ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯების გარდა აღნიშნული ბიუჯეტის ნაშთიდან დასაგეგმავი წლის დასაწყისისათვის იქმნება საკასო საბრუნავი სახსრები.

საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა განისაზღვრება რაიონის ბიუჯეტის დამტკიცების დროს და შეიძლება გაზრდილ იქნას საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების ბიუჯეტებში რაიონის ბიუჯეტისათვის დაწესებულ თანხასთან შედარებით.

საკასო საბრუნავი სახსრები წლის მანძილზე შეიძლება გამოყენებული იქნას დროებითი საკასო გარღვევების დასაფარავად და აღდგენილ უნდა იქნას იმავე წელს.

**მუხლი 102.** რაიონის ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯების განაწილებას რაიონულ ბიუჯეტებსა და საქალაქო, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტებს შორის განსაზღვრავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო მისი აღმასრულებელი კომიტეტის წარდგინებით.

**მუხლი 103.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი რაიონის ბიუჯეტის პროექტის შედგენის წესისა და ვადების შესაბამისად:

ა) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების), სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის საფუძველზე შეადგენენ საქალაქო, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების პროექტებს და წარუდგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს განსახილველად და რაიონის ბიუჯეტის პროექტში შესატანად;

ბ) მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებული დავალებების საფუძველზე შეადგენენ საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს და წარუდგენენ მათ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს რაიონის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად;

გ) მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება წინასწარ იხილავს:

— ქალაქების (რაიონული დაქვემდებარების) ბიუჯეტების, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების პროექტებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების წარმომადგენელთა მონაწილეობით;

— მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს მათი წარმომადგენლების მონაწილეობით.

აღნიშნული პროექტების განხილვის შემდეგ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება:

— შეადგენს რაიონული ბიუჯეტის პროექტს;

— რაიონული, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების პროექტების საფუძველზე შეადგენს რაიონის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს მას მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

**მუხლი 104.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს რაიონის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც შედგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონებით და მშრომელთა დეპუტატების ავტონომიური ოლქის, საქალაქო (ქალაქ თბილისის) საბჭოების გადაწყვეტი-

ლებით რაიონის ბიუჯეტისათვის გათვალისწინებული მაჩვენებლების შესაბამისად და წარუდგენს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს:

ა) რაიონის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას, შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით და, — ხარჯების საერთო თანხას, სადაც გამოყოფილია ასიგნებანი რაიონის ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, რაიონის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად;

ბ) რაიონულ ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას, შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და—გასავლის საერთო თანხას, სადაც გამოყოფილია ასიგნებანი რაიონის ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად, რომელთა დაფინანსება რაიონული ბიუჯეტიდან წარმოებს, აგრეთვე ბიუჯეტში შესატანი თანხების და ასიგნებათა განაწილებას მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ცალკეული განყოფილებებისა და სამმართველოების მიხედვით;

გ) საქალაქო, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტებს, რომლებიც შეტანილია რაიონის ბიუჯეტში;

დ) წინადადებებს საქალაქო, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტებში სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან ანარიცხების ოდენობის შესახებ;

ე) წინადადებებს საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობის შესახებ.

**მუხლი 105.** რაიონის ბიუჯეტს, რომელიც წარდგენილია მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოსათვის, წინასწარ განიხილავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს საბიუჯეტო კომისია.

**მუხლი 106.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს საბიუჯეტო კომისია:

ა) რაიონის ბიუჯეტის განხილვისას მოისმენს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოებისა და განყოფილებების მოხსენებებს მათი საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესახებ, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების), სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოხსენებებს საქალაქო, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების შემოსავლისა და ხარჯების შესახებ, აგრეთვე განიხილავს სამმართველოებისა და განყოფილებების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ შეტანილ წინადადებებს, რომლებიც შეეხება რაიონის ბიუჯეტის შემოსავლისა და ხარჯების ცვლილებებს;

ბ) შეადგენს და წარუდგენს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს დასკვნას რაიონის ბიუჯეტის შესახებ.

**მუხლი 107.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენებისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნის მიხედვით განიხილავს რაიონის ბიუჯეტს;

აგრეთვე გაარჩევს რაიონის ბიუჯეტის განხილვისას საბჭოს დეპუტატების მხრიდან შეტანილ წინადადებებს.

**მუხლი 108.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო ამტკიცებს:

ა) რაიონის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას, შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და—ხარჯების საერთო თანხას, სადაც გამოყოფილია ასიგნებანი რაიონის ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად და რაიონის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად;

ბ) რაიონულ ბიუჯეტს;

გ) სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ანარიცხების ოდენობას საქალაქო, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტებში;

დ) რაიონული ბიუჯეტის საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობას.

ქალაქის ბიუჯეტი, სადაბო და სასოფლო საბჭოების ბიუჯეტები განსაზღვრულია რაიონის ბიუჯეტში შემოსავლის საერთო თანხაში და ხარჯების საერთო თანხაში თითოეული ქალაქის, სადაბო და სასოფლო საბჭოს მიხედვით, ამავე ბიუჯეტებში განსაზღვრულია აგრეთვე საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა.

**მუხლი 109.** მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს რაიონის ბიუჯეტის დამტკიცებისას შეუძლია გაზარდოს რაიონის ბიუჯეტის შემოსავლის საერთო თანხა და შეცვალოს ხარჯების საერთო თანხა, რომელიც ამ კანონის 21, 64 და 86 მუხლების შესაბამისად დაწესებულია რაიონის ბიუჯეტისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში, ქალაქის (რესპუბლიკური დაქვემდებარების) ბიუჯეტში სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხების ოდენობის შეუცვლელად, რომლებიც შესაბამისად გათვალისწინებულია რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის ბიუჯეტებში.

**მუხლი 110.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი იმ შემთხვევაში თუ რაიონის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომლის შესაბამისად იზრდება რაიონის ბიუჯეტში შემავალ ქალაქის, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების ხარჯები ან მცირდება შემოსავალი, ამ ბიუჯეტებს რაიონის ბიუჯეტის შესრულების პროცესში აუნაზღაურებთ სახსრები რაიონული ბიუჯეტიდან; ქალაქების, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების ხარჯების შემცირებისას ან შემოსავლის გაზრდისას შესაბამისი თანხები გადაეცემა რაიონულ ბიუჯეტს.

**მუხლი 111.** რაიონის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით მიმართული იქნება რაიონის მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, კაპიტალური დაბანდების ჩათვლით.

**მუხლი 112.** რაიონის ბიუჯეტის ვასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხები, რომლებიც წლის ბოლოსათვის წარმოიშობა შემოსავლის გადაჭარბების ან ხარჯებში ეკონომიის შედეგად, რჩება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში და



იხარჯება სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე დასაფინანსებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს შესაბამისად შეუძლიათ ცალკეულ შემთხვევებში მოახდინონ აღნიშნული თანხების გადაწვლილება.

**მუხლი 113.** რაიონის ბიუჯეტის შესრულებას აწყობს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, მისი საფინანსო განყოფილების, აღმასრულებელი კომიტეტის სხვა განყოფილებების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით. რაიონული ბიუჯეტი სრულდება დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე საფინანსო ორგანოს მიერ შედგენილი შემოსავლისა და გასავლის განწერის მიხედვით.

**მუხლი 114.** რაიონის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს შეადგენს რაიონული საფინანსო განყოფილება და წარუდგენს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

**მუხლი 115.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს რაიონის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და წარუდგენს დასამტკიცებლად მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს.

**მუხლი 116.** რაიონის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს წინასწარ განიხილავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს საბიუჯეტო კომისია, რომელიც თავის დასკვნას ანგარიშის შესახებ წარუდგენს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს.

**მუხლი 117.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენებისა და საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნის მიხედვით განიხილავს და დაამტკიცებს რაიონის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, რომელიც შეიცავს რაიონული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და საქალაქო, სადაბო და სასოფლო ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებს.

**მუხლი 118.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს გადაწყვეტილება რაიონის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ და გადაწყვეტილება ამ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ ქვეყნდება საყოველთაო გასაცნობად.

## კ ა რ ი VIII

**რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის), საოლქო (ავტონომიური ოლქის) და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ადგილობრივი ბიუჯეტები**

**მუხლი 119.** ქალაქების ადგილობრივი ბიუჯეტები ფულადი სახსრებით უზრუნველყოფენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დაფინანსებას, რომელსაც ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო ახორციელებს.

**მუხლი 120.** ქალაქების ბიუჯეტებში შეიტანება შემდეგი შემოსავალი

ა) მოგების ანარიცხები და სხვა შემოსავალი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოებიდან და სამეურნეო ორგანიზაციებიდან;

ბ) საშემოსავლო გადასახადი სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოებიდან;

გ) ადგილობრივი გადასახადები და გამოსაღებები;

დ) სახელმწიფო ბაჟი და სხვა შემოსავალი, რომლებიც მიმართული იქნება ქალაქის ბიუჯეტის შექმნისათვის საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) ანარიცხები ბრუნვის გადასახადიდან და სხვა საერთო-საკავშირო სახელმწიფო შემოსავლებიდან, რაც შესაბამისად გათვალისწინებულია ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტით, ავტონომიური ოლქის ან რაიონის ბიუჯეტით.

**მუხლი 121.** ქალაქების ბიუჯეტში შეიტანება ხარჯები:

ა) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დასაფინანსებლად;

ბ) იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებები და ორგანიზაციები ახორციელებენ განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში;

გ) ქალაქების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად;

დ) სხვა ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომელთა დაფინანსება ქალაქების ბიუჯეტიდან წარმოებს საქართველოს სსრ კანონმდებლობის, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობისა და მშრომელთა დეპუტატების ავტონომიური ოლქის რაიონული და საქალაქო საბჭოების გადაწყვეტილებების შესაბამისად.

**მუხლი 122.** ქალაქების ბიუჯეტებში გათვალისწინებული ხარჯების გარდა აღნიშნული ბიუჯეტების ნაშთიდან დასაფინანსებელი წლის დასაწყისისათვის იქმნება საკასო საბრუნავი სახსრები.

საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა განისაზღვრება ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცებისას და შეიძლება გაზრდილ იქნას ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, რაიონის ბიუჯეტში ქალაქის ბიუჯეტისათვის დაწესებულ თანხასთან შედარებით.

საკასო საბრუნავი სახსრები წლის მანძილზე შეიძლება გამოყენებულ იქნას დროებითი საკასო გარღვევების დასაფარავად და აღდგენილ უნდა იქნას იმავე წელს.

**მუხლი 123.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკის დაქვემდებარების) საბჭოს აღმასრულებელი





ლი კომიტეტის მიერ დადგენილი ქალაქის ბიუჯეტის პროექტის შედგენის წესისა და ვადების შესაბამისად;

ა) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები, ქალაქის მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებული დავალებების საფუძველზე, შეადგენენ საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს და წარუდგენენ მათ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საქალაქო ბიუჯეტის პროექტის შესადგენად;

ბ) ქალაქის საფინანსო განყოფილება წინასწარ განიხილავს:

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებების საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების პროექტებს მათი წარმომადგენლების მონაწილეობით.

აღნიშნული პროექტის განხილვის შემდეგ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილება:

— შეადგენს ქალაქის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს მას მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

იმ ქალაქებში, სადაც არ არის საქალაქო საფინანსო განყოფილებები, ბიუჯეტების პროექტებს უშუალოდ შეადგენენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

**მუხლი 124.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს ქალაქის ბიუჯეტის პროექტს, შედგენილს იმ მაჩვენებლების შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და გადაწყვეტილებებით ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის, რაიონის ბიუჯეტის შესახებ ქალაქის ბიუჯეტისათვის და წარუდგენს შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოს;

ა) ქალაქის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას, შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და—ხარჯების საერთო თანხას, სადაც გამოყოფილია ასიგნებანი საქალაქო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, ქალაქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად;

ბ) წინადადებებს საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობის შესახებ.

**მუხლი 125.** ქალაქის ბიუჯეტს, რომელიც წარდგენილია მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსათვის, წინასწარ განიხილავს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საბიუჯეტო კომისია.

**მუხლი 126.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საბიუჯეტო კომისია:

ა) ქალაქის ბიუჯეტის განხილვისას მოისმენს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებების მოხსენებებს მათი საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესახებ.



ბ) შეადგენს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს წარუდგენს დასკვნას ქალაქის ბიუჯეტის შესახებ.

**მუხლი 127.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენებისა და საბიუჯეტო კომისიის დასკვნის მიხედვით განიხილავს ქალაქის ბიუჯეტს, აგრეთვე გაარჩევს ქალაქის ბიუჯეტის განხილვის დროს საბჭოს დეპუტატთა მიერ შეტანილ წინადადებებს.

**მუხლი 128.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო ამტკიცებს:

ა) ქალაქის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას, შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და—ხარჯების საერთო თანხას, სადაც გამოყოფილია ასიგნებანი ქალაქის მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად და ქალაქის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად;

ბ) საცასო საბრუნავი სახსრების ოდენობას.

**მუხლი 129.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცებისას შეუძლია გაზარდოს ქალაქის ბიუჯეტის შემოსავლის საერთო თანხა და შეცვალოს ხარჯების საერთო თანხა, რომელიც ამ კანონის 64 და 108 მუხლების შესაბამისად დაწესებულია ქალაქის ბიუჯეტისათვის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში და რაიონის ბიუჯეტში შესაბამისად ავტონომიური ოლქის და რაიონის ბიუჯეტში გათვალისწინებული სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხების ოდენობის შეუცვლელად.

**მუხლი 180.** ქალაქის ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის და აჭარის ასსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით მიმართული იქნება საქალაქო მეურნეობის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, კაპიტალური დაბანდების ჩათვლით.

**მუხლი 181.** ქალაქის ბიუჯეტის გასაჯალზე შემოსავლის გადამეტების თანხები, რომლებიც წლის ბოლოსათვის წარმოიშობა შემოსავლის გადაჭარბების ან ხარჯებში ეკონომიის შედეგად, რჩება რესპუბლიკურ (ავტონომიური რესპუბლიკის), ავტონომიური ოლქის და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში და იხარჯება სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ ცალკეულ შემთხვევებში მოახდინონ აღნიშნული თანხების გადაანაწილება.

**მუხლი 182.** ქალაქის ბიუჯეტის შესრულებას აწყობს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მისი საფინანსო განყოფილებისა და აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებების მეშვეობით. ქალაქებში, სადაც არ არის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები, ბიუჯეტს ასრულებს უშუალოდ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

**მუხლი 133.** ქალაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს შეადგენს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

**მუხლი 134.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს წარუდგენს დასამტკიცებლად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს.

**მუხლი 135.** ქალაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს წინასწარ განიხილავს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საბიუჯეტო კომისია, რომელიც თავის დასკვნას ანგარიშის შესახებ წარუდგენს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს.

**მუხლი 136.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენებისა და საბიუჯეტო კომისიის დასკვნის მიხედვით განიხილავს და დაამტკიცებს ქალაქის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

**მუხლი 137.** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილება ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ და გადაწყვეტილება ამ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ ქვეყნდება საყოველთაო გასაცნობად.

## კ ა რ ი IX

### სადაბო და სასოფლო საბჭოების ადგილობრივი ბიუჯეტები

**მუხლი 138.** სადაბო და სასოფლო საბჭოების ადგილობრივი ბიუჯეტები ჭზრუნველყოფენ ფულადი სახსრებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დაფინანსებას, რომელსაც მშრომელთა დეპუტატების სადაბო და სასოფლო საბჭოები ახორციელებენ.

**მუხლი 139.** სადაბო და სასოფლო ბიუჯეტებში შეიტანება შემდეგი შემოსავალი:

- ა) მოგების ანარიცხები და სხვა შემოსავალი მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოებიდან და სამეურნეო ორგანიზაციებიდან;
- ბ) საშემოსავლო გადასახადი სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან;
- გ) ადგილობრივი გადასახადები და გამოსაღებები;
- დ) სახელმწიფო ბაჟი და სხვა შემოსავალი, რომელიც მიმართული იქნება სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის შექმნისათვის საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 140.** სადაბო და სასოფლო ბიუჯეტებს ამ კანონის 139 მუხლით გათვალისწინებული შემოსავლის გარდა გადაეცემა ანარიცხები კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან და სხვა საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან და შემოსავლებიდან რაიონის, ქალაქის ბიუჯეტში გათვალისწინებული ოდენობით.



**მუხლი 141.** სადაბო და სასოფლო ბიუჯეტებში შეიტანება ხარჯები ა) მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა დასაფინანსებლად;

ბ) იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომლებსაც მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭო ახორციელებს განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის დარგში;

გ) მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის შესანახად;

დ) სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად, რომელთა დაფინანსება სადაბო, სასოფლო ბიუჯეტიდან წარმოებს საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების გადაწყვეტილებების შესაბამისად.

**მუხლი 142.** სადაბო, სასოფლო ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯების გარდა აღნიშნული ბიუჯეტების ნაშთიდან დასაგეგმავი წლის დასაწყისისათვის იქმნება საკასო საბრუნავი სახსრები.

საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობა განისაზღვრება სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის დამტკიცებისას და შეიძლება ვაზრდილ იქნას რაიონის, ქალაქის, ბიუჯეტში სადაბო, სასოფლო საბჭოს ბიუჯეტისათვის დაწესებულ თანხასთან შედარებით.

საკასო საბრუნავი სახსრები წლის მანძილზე შეიძლება გამოყენებულ იქნას დროებითი საკასო გარღვევების დასაფარავად და აღდგენილ უნდა იქნას იმავე წელს.

**მუხლი 143.** მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს მიერ დამტკიცებული რაიონის (ქალაქის) ბიუჯეტის მაჩვენებლების საფუძველზე მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შეადგინს სადაბო, სასოფლო საბჭოს ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს მას მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოს შემოსავლის საერთო თანხაში — საშემოსავლო წყაროების გამოყოფით და ხარჯების საერთო თანხაში ასიგნების გამოყოფით დაბის, სასოფლო საბჭოს მიორნობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად და მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების შესანახად.

**მუხლი 144.** სადაბო, სასოფლო საბჭოს ბიუჯეტს, რომელიც წარდგენილია მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოსათვის, წინასწარ განიხილავს მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოს საბიუჯეტო კომისია.

**მუხლი 145.** მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოს საბიუჯეტო კომისია:

ა) ბიუჯეტის განხილვის დროს მოისმენს სადაბო, სასოფლო საბჭოებისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოხსენებებს მათი საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესახებ, აგ-

რეთვე განიხილავს მათ მიერ შეტანილ წინადადებებს, რომლებიც სასოფლო-სასაბჭოს ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ცვლილებებს ეხება;

ბ) შეადგენს და მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოს წარუდგენს დასკვნას სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის შესახებ.

**მუხლი 146.** მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭო განიხილავს სადაბო, სასოფლო ბიუჯეტს აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენებისა და მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნის მიხედვით, აგრეთვე გააჩრევს სადაბო, სასოფლო საბჭოების ბიუჯეტის განხილვისას საბჭოს დეპუტატთა მიერ შეტანილ წინადადებებს.

**მუხლი 147.** მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭო ამტკიცებს:

ა) სადაბო, სასოფლო საბჭოს ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას, შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და — ხარჯების საერთო თანხას, სადაც გამოყოფილია ასიგნებანი დაბის, სასოფლო საბჭოს მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად და მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის შესანახად;

ბ) საკასო საბრუნავი სახსრების ოდენობას.

**მუხლი 148.** მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოს სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის დამტკიცებისას შეუძლია გაზარდოს სადაბო, სასოფლო საბჭოს ბიუჯეტის შემოსავლის საერთო თანხა და შეცვალოს ხარჯების საერთო თანხა, რომლებიც რაიონის ბიუჯეტში ამ კანონის 108 მუხლის შესაბამისად დაწესებულია, სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხების ოდენობის შეუცვლელად, რომლებიც გათვალისწინებულია სადაბო, სასოფლო საბჭოსათვის რაიონის ბიუჯეტში.

**მუხლი 149.** სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით მიღებული შემოსავალი სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით მიმართული იქნება დაბის, სასოფლო საბჭოს მეურნეობის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად, კაპიტალური დაბანდების ჩათვლით.

**მუხლი 150.** სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის გასავალზე შემოსავლის გამეტების თანხები, რომლებიც წლის ბოლოსათვის წარმოიშობა შემოსავლის გადაჭარბების ან ხარჯებში ეკონომიის შედეგად, რჩება მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასკომების განკარგულებაში და იხარჯება სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ ცალკეულ შემთხვევებში მოახდინონ აღნიშნული თანხების გადანაწილება.

**მუხლი 151.** სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის შესრულებას ახორციელებს უშუალოდ მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.



**მუხლი 152.** სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს შეადგენს მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

**მუხლი 153.** მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს წარუდგენს დასამტკიცებლად მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოს.

**მუხლი 154.** სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს წინასწარ განიხილავს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს საბიუჯეტო კომისია, რომელიც თავის დასკვნას ანგარიშის შესახებ წარუდგენს მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოს.

**მუხლი 155.** მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭო აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენებისა და საბიუჯეტო კომისიის დასკვნის მიხედვით განიხილავს და ამტკიცებს სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

**მუხლი 156.** მშრომელთა დეპუტატების სადაბო, სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილება სადაბო, სასოფლო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ და გადაწყვეტილება ამ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ ქვეყნდება საყოველთაო გასაცნობად.

**მუხლი 157.** ამ კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების წესს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძიწინიძე**.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ბელაიაშვილი**,

ქ. თბილისი, 1961 წლის 27 დეკემბერი,

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**48** საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დაშლის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 43, 44 და 45 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქი № 699

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გაბრიელ ნოეს ძე გოშაძე — ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.



საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვაბრიელ ისიდორეს ძე ჭობულია — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მუშაკებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ალექსანდრა არჩილის ასული სეფაშვილი — წითელი ჯვრის საზოგადოების ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონული ორგანიზაციისაგან.

**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:**

ლია შალვას ასული ელიავა — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაკთა კოლექტივისაგან;

ვლადიმერ გიორგის ძე ბუჯიაშვილი — თიანეთის რაიონის სოფელ გორანას კოლმეურნეობის წევრებისაგან;

მერი გიორგის ასული ხახანაშვილი — ქ. თბილისის ლენინის რაიონის ბავშვთა № 1 პოლიკლინიკის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ბორის ლევის ძე კაპალავიჩი — ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის ორგანიზაციისაგან;

მიხეილ მოსეს ძე ბელი;

ნათელა გერონტის ასული ჯიბლაძე — თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკთა კოლექტივისაგან;

თამარ შერბაკის ასული ლეჟავა — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონული ორგანიზაციისაგან;

დუტუ დავითას ძე ებანოიძე — ქ. თბილისის საელმავლო დეპოს მუშების. ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

**თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქი № 700**

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ იოსების ძე ნინოშვილი — ქ. თბილისის კალინინის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ბორის მიხეილის ძე კვინიხიძე — ქ. თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ეთერ გიორგის ასული ეფრემიძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:**

ვერა ვარლამის ასული წიგნაძე — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექტივისაგან;

ელენე ივანეს ასული თოფურაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებისაგან;



რაისა ანტონის ასული სისოევა — ქ. თბილისის ძაფსართავი ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;  
 თათეოს ნიკოლოზის ძე ბეჟანოვი — თბილისის ქალაქის პირველი საავად-  
 მყოფოს კოლექტივისაგან;

სპირიდონ ზაქარიას ძე თინაშვილი — ქ. თბილისის სამგორის რაიონის  
 ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეები-  
 საგან;

მიხეილ ივანეს ძე გრიგორიანი — ადგილობრივი მრეწველობისა და კომუ-  
 ნალური მეურნეობის მუშათა პროფკავშირის თბილისის პირველი მექანიკური  
 ქარხნის ორგანიზაციისაგან;

გურამ დიმიტრის ძე გაბუნია — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური  
 კომუნისტური კავშირის ქ. თბილისის კიროვის რაიონული ორგანიზაციისაგან;

გულნარა გარსევანის ასული ელიზბარაშვილი — ქ. თბილისის სამგორის  
 რაიონის სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსა-  
 ხურეებისაგან.

**თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი № 701**

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კონსტანტინე არკადის ძე  
 ჭანჭალეიშვილი — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონული კომუნისტური ორ-  
 განიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გაბრიელ რევაზის  
 ძე ტალახაძე — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენ-  
 ტების, პროფესორ-მასწავლებლების, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი თამარ აკაკის ასული საჯაია — გა-  
 ნათლებლის, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა  
 პროფკავშირის თბილისის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის ორგანიზა-  
 ციისაგან.

**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:**

გულჩინა ზაქარიას ასული ებრალიძე — საქართველოს ახალგაზრდობის  
 ლენინური კომუნისტური კავშირის მცხეთის რაიონული ორგანიზაციისაგან;

თამარ ალექსანდრეს ასული ლეონოვა — თეთრი წყაროს რაიონის თესლ-  
 საკონტროლო ლაბორატორიის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

მარიამ მამუკას ასული ალუდაური — დუშეთის რაიონის სოფელ მაღა-  
 როსკარის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ივანე ვლადიმერის ძე ჩოფიაშვილი — ყაზბეგის რაიონის სოფელ ყაზ-  
 ბეგის ფ. მანარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

როზა პავლეს ასული დომბრუგოვა — სოფლის მეურნეობისა და დამზა-  
 დების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის წალკის რაიონული ორგა-  
 ნიზაციისაგან;

ივანე ეგნატეს ძე ლაბადაევი;



ანასტასია ალექსის ასული ხიდაშელი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ლუიზა დავითის ასული ლიპარტელიანი — საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

### ბათუმის საარჩევნო ოლქი № 702

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ადვოკატ ივანეს ძე კოპლატაძე — ბათუმის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ალის ძე ლორთქიფანიძე — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ქედის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ქეთევან ერისტოს ასული ალასანია — პროფკავშირების აჭარის საოლქო საბჭოსაგან.

### საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

მერაბ მუსას ძე ქაჯაია — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის აჭარის საოლქო ორგანიზაციისაგან;

ვესილე მეჭიდის ასული დუმბაძე — ბათუმის ფეხსაცმლის № 4 ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ლარისა ალექსანდრეს ასული შკარუპილოვა — ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ივანე ახმედის ძე დავითაძე — შუახევის რაიონის სოფელ შუახევის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ფატი მემედის ასული ბერიძე — წითელი ჯვრის საზოგადოების ქობულეთის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ხატიჯე ომერის ასული ვარშანიძე — ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ნოდარ კალისტრატეს ძე ცინცაძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელები ნებაყოფლობითი საზოგადოების ბათუმის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

მემედ ჯემალის ძე ზოიძე — ხულოს რაიონის სოფელ დეკანაშვილების XVIII პარტიკრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

### ბორჯომის საარჩევნო ოლქი № 708

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ჯიბო ნიკოლოზის ძე ლომაშვილი — ბორჯომის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე შალვა ონისიძის  
დეგრადირებული — ახალციხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს  
ადმასკომის მუშაკებისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი შოთა გიორგის დე აბრამაშვილი  
— კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ბორჯომის რაიონული ორგანიზაციისაგან.

### საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ნათელა ვარლამის ასული ქელიძე — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის  
ბორჯომის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ანა ტიმოტეს ასული ფინაგენოვა — კალინინის სახელობის ბორჯომის  
შუშის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურე-  
ებისაგან;

ევგენია გიორგის ასული ბერიძე — ახალციხის რაიონის აწყურის მერძე-  
ვეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ლენა მიხეილის ასული ჩილაშვილი — განათლების, უმაღლესი სკოლისა  
და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ახალციხის რაიონ-  
ული ორგანიზაციისაგან;

გიორგი დეკანოზის დე ბერიძე — ახალციხის რაიონის დაბა ასპინძის წუ-  
ლუკიდის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

მიხეილ ალექსანდრეს დე ხახლიანი — ახალქალაქის რაიონის სოფელ სპა-  
სოვსკის პუშკინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ნიკოლოზ სიმონის დე ბოგდანი;

ჟუჟუნა ერმალოზის ასული ჯიბლაძე — ხაშურის მშრომელთა დეპუტატე-  
ბის საქალაქო საბჭოს ადმასკომის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის  
კოლექტივისაგან.

### გორის საარჩევნო ოლქი № 704

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რევაზ ალექსანდრეს დე  
ბზიშვილი — გორის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ზნაურ ალექსან-  
დრეს დე თედევო — სამხრეთ ოსეთის საოლქო კომუნისტური ორგანიზა-  
ციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ნადეჟდა გიორგის ასული შერმა-  
დინი — ქ. გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კოლექტივისაგან.

### საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

სვეტლანა გიორგის ასული გაგლოვეა — ზნაურის რაიონის სოფელ მუგე-  
თის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

მედეა იოსების ასული **ხეთაგური** — ქარელის რაიონის ბრეთის მუშებისა და მოსამსახურეობის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეობისაგან;

ალექსანდრე ხარიტონის ძე **ჭუსოვი** — ჯავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის კირის ქარხნის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

მარიამ ისაკის ასული **ვახივა** — საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ლენინგორის რაიონული ორგანიზაციისაგან;

თენგიზ ვლადიმერის ძე **კოვზიაშვილი** — გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ეთერ რევაზის ასული **ბესტაევა** — ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ავთანდილ მიხეილის ძე **აბაშიშვილი** — გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

შალვა მამანტის ძე **ყურუა** — მშენებლობის და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის კასპის ცემენტის ქარხნის პირველადი ორგანიზაციისაგან.

#### გურჯაანის საარჩევნო ოლქი № 705

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ფარნაოზ სარდიონის ძე **დუღაშვილი** — გურჯაანის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე სერგო ვარლამის ძე **სალაძე** — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ახმეტის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ხრანუშა სერგოს ასული **ოსიპოვა** — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის გურჯაანის რაიონული ორგანიზაციისაგან.

#### საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

თამარ თევდორეს ასული **ბულიაშვილი** — ლაგოდეხის რაიონის სოფელ კალინოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

მანანა ივანეს ასული **დუგლაძე** — გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანის „ოქტომბრის რევოლუციის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ქეთევან ილიას ასული **ხშიადაშვილი** — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თელავის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ნინო სიმონის ასული **სისოევა** — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის სიღნაღის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ავთანდილ გრიგოლის ძე **კაპანაძე** — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

გერვასი ონისიმეს ძე **ცხადაძე** — თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

კასუმა ქარუმას ძე მაზიაშვილი — სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;  
მარინე ილიას ასული ცუცილაშვილი — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ყვარლის რაიონული ორგანიზაციისაგან;

### ზესტაფონის საარჩევნო ოლქი № 706

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პავლე პრამონის ძე სახეჩიძე — ზესტაფონის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე უშანგი ვარლამის ძე სხირტლაძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი მერი დავითის ასული ხვედელიძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციისაგან.

### საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ივანე გიორგის ძე კომლაძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ მალაროთა სამმართველოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ლედი სიმონის ასული შალამბერიძე — ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს კოლმეურნეობის წევრებისაგან.

გიორგი ილიას ძე ქამუშაძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციისაგან.

გურამ სერაფიონის ძე კვინიკაძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ღვერკის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

თამარ ალექსანდრეს ასული ტაბატაძე — სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან.

თინა ფარნაოზის ასული გოშაძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის საჩხერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

რევაზ ბენიამინის ძე ქარჩხაძე — შაიკოვსკის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ცისანა სილიბისტროს ასული მაკარიძე — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის თერჯოლის რაიონული ორგანიზაციისაგან.

### ზუგდიდის საარჩევნო ოლქი № 707

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აკაკი კონსტანტინეს ძე ქვარცხავა — ზუგდიდის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.



საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე შალვა ჩხეჭხეიძის  
 ძე ინაპშვა — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ოჩამჩირის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ნათელა აბრამის ასული ბუჯია — სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციისაგან.

**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:**

ყუყუნა იონას ასული ხურცილავა — ხობის რაიონის სოფელ პირველი მაისის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

გოგოლა ნიკოლოზის ასული გულუა — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

ვალერიან ალექსანდრეს ძე ჭკადუა — მესტიის რაიონის სოფელ ზაიშინ კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

აკოტი ზოსიმეს ძე ზაქარაია — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის გალის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჭიჭიკო სამსონის ძე ფიფია — ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბას მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

ივანე ლუკიანეს ძე ვერგუნი — გალის რაიონის კობორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ნადეჟდა თეგდორეს ასული დანელია — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ხობის რაიონული ორგანიზაციისაგან.

გირა დავითის ასული ზვიტია — ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

**ქუთაისის საარჩევნო ოლქი № 708**

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე შოთა სიმონის ძე კობახიძე — ქუთაისის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ილია დიმიტრის ძე გიორგობიანი — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ტყიბულის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ავქსენტო ბახვას ძე წურწუშია — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციისაგან.

**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:**

ანასტასია ალექსანდრეს ასული ჭანელიძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ამბროლაურის რაიონული ორგანიზაციისაგან.



ლევან ალექსანდრეს ძე ჩიქოვანი — ცაგერის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ეკატერინე მიხეილის ასული ტაბუცაძე — ონის რაიონის სოფელ შეუბნის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

ციალა არტემის ასული ლიპარტელიანი — ლენტეხის რაიონის სოფელ ყვედრეშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

ალექსანდრე ილიას ძე ერშევი.

ნაზი გერონტის ასული კერელიშვილი — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

რუჟანა ილიას ასული მხეცაძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ტყიბულის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ნინო დიანოზის ასული დათეშიძე — ამბროლაურის რაიონის დბა ამბროლაურის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

**ფოთის საარჩევნო ოლქი № 709**

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბიჭორ სტეფანეს ძე კვარაცხელია — ფოთის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გოგუჯა ვლადიმერის ასული გოგუჯაძე — ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯების“ წევრებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი მარიამ დავითის ასული ჩაჩხაია — საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის ფოთის ნავსადგურის პირველადი ორგანიზაციისაგან.

**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:**

ვალერიან მიხეილის ძე ჭავჭავაძე — წითელი ჯვრის საზოგადოების ფოთის საქალაქო ორგანიზაციისაგან.

ქსენია იაგორის ასული თავაშიაშვილი — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის მახარაძის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ვლადიმერ ნესტორის ძე ნანაძე — ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვენობრის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

ნადია იოსების ასული კინწურაშვილი — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცხაკაიას რაიონული ორგანიზაციისაგან.

თინა ლაგრენტის ასული ანჯაფარია — ჩხოროწყის რაიონის ლესიჭინის საცდელ-საჩვენებელი მიწურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

იროდი ჩავუს ძე შენგელია — ჩხოროწყის რაიონის სოფელ ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

ბიძინა უშანგის ძე მოისწრაფიშვილი — საქართველოს ახალგაზრდობის  
ლენინური კომუნისტური კავშირის ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციის  
ნაზი მიხეილის ასული გოგიჩაიშვილი — ლანჩხუთის რაიონის სოფელ  
ლესის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

### რუსთავის საარჩევნო ოლქი № 710

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე შოთა ამბროსის ძე თითბე-  
რიძე — რუსთავის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ალი ბაიბამის ძე  
ალიევი — ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალის კოლმეურნეობა „გამარჯვე-  
ბის“ წევრებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ოთარ აკაკის ძე წვერავა — საქარ-  
თველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის რუსთავის საქა-  
ლაქო ორგანიზაციისაგან.

### საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

მარიამ ივანეს ასული ნოვგოროდსკაია — ტრესტ „ამიერკავკასიის მეტა-  
ლურგამშენის“ სამრეწველო საწარმოების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშა-  
კებისა და მოსამსახურეებისაგან.

ეთერ შოთას ასული კაჭახიძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინუ-  
რი კომუნისტური კავშირის რუსთავის ბამბეულის საქსოვი ფაბრიკის პირველ-  
ადი ორგანიზაციისაგან.

ელისაბედ სტეფანეს ასული დიაკოვა — განათლების, უმაღლესი სკოლისა  
და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის დმანისის რაიო-  
ნული ორგანიზაციისაგან.

მარიამ დავითის ასული ქურჩული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის  
საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციისაგან.

მეჩხან თოხმაზ ოღლი სულეიმანოვი — მარნეულის მერქვეობა-მებოს-  
ტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ბარბალე ალექსის ასული გოგინაშვილი — წითელწყაროს რაიონული სა-  
ავადმყოფოს მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

შოთა იოსების ძე დიდმელაშვილი — საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორ-  
კიწმინდის კოლმეურნეობა „განთიადის“ წევრებისაგან.

შოთა კარბუზის ძე ორჯონიკიძე — მეტალურგიული მრეწველობის მუშა-  
თა პროფკავშირის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფურცელ-საგლინავი  
სამქროს პირველადი ორგანიზაციისაგან.

### სამტრედიის საარჩევნო ოლქი № 711

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კიტა ნიკოლოზის ძე შავი-  
შვილი — სამტრედიის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.



საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ოთარ გრიგოლაძის  
 ძე ახესაძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის წყალ-  
 ტუბოს რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი მიხეილ თეოდანეს ძე ფორუოლიანი  
 — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის სამტრედიის რაი-  
 ონული ორგანიზაციისაგან.

**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:**

თინა მაქსიმეს ასული ცალქალამანიძე — ქ. სამტრედიის ლენინის სახე-  
 ლობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

ოთარ პორფილეს ძე ძაგანია — სამტრედიის მშრომელთა დეპუტატების  
 საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის მუშე-  
 ბისა და მოსამსახურეებისაგან.

ლეილა ირაკლის ასული რატიანი — ქ. წულუკიძის სოფლის მეურნეობის  
 მექანიზაციის ტექნიკუმის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

ლიანა ვასილის ასული ჩომახიძე — წულუკიძის რაიონის სოფელ გოჩა  
 ჭიხაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

მერი დომენტის ასული რუხაძე — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის  
 წყალტუბოს რაიონული ორგანიზაციისაგან.

ამბროსი ვასილის ძე ჭლარკავა — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკ-  
 თა პროფკავშირის აბაშის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ალმასხან გერასიმეს ძე ჭიჭალა — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის  
 გეგეპკორის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ელენე ამბორისის ასული სუპატაშვილი — ვანის რაიონის სოფელ შუამ-  
 თის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

**სოხუმის საარჩევნო ოლქი № 712**

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გივი დარისპანის ძე ჭაჭია —  
 აფხაზეთის საოლქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ივანე შაიბის ძე  
 ჭეცბა — პროფკავშირის აფხაზეთის საოლქო საბჭოსაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ზოსიმე დავითის ძე ხუნწარია —  
 რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ამიერკავკასიის სატრანსპორ-  
 ტო მშენებლობის ტრესტის სამშენებლო სამმართველოს პროფკავშირული  
 ორგანიზაციისაგან.

**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:**

პეტრე ივანეს ძე იაცენკო — გაგრის რაიონის მერძევეობა-მებოსტნეობის  
 საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.





წადეჟდა მაქსიმეს ასული კიუტი — სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის მუშებრი  
სა და მოსამსახურეებისაგან.

გალაქტიონ კონსტანტინეს ძე ნაჭყებია — საქართველოს ახალგაზრდობის  
ლენინური კომუნისტური კავშირის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციისაგან.

თინა ალექსანდრეს ასული ჭეღია — განათლების, უმაღლესი სკოლისა  
და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის სოხუმის საქალა-  
ქო ორგანიზაციისაგან.

რასიმ ჩავოს ძე ჯენია — გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის კოლმეურ-  
ნეობის წევრებისაგან.

ასმიკ ბოგოსის ასული ბაგარიანი — სოხუმის რაიონის სოფელ თავისუფ-  
ლების კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ წევრებისაგან.

თამარ ივანეს ასული დოღანოვა — ტრესტ „ტყეარჩელქვანახშირის“ № 3  
შახტის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ელისაბედ ნესტორის ასული გაბელაია — სოხუმის რაიონის სოფელ მაჭა-  
რას ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 22 იანვარი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**49** საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლესი  
საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო  
კომისიების შემადგენლობის დაგეგმვის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 47, 48 და 49  
მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკისაგან ერო-  
ვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები საზოგადოებრივი  
ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლე-  
ბის შემადგენლობით:

**თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქი № 126**

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე შოთა ანდრიას ძე დოლიძე —  
ქ. თბილისის ლენინის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ სევე-  
რიანეს ძე კვიციანი — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარ-  
ხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.



საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ჯულიეტა ივანეს ასული ბუტყაძე — ამერკავკასიის რკინიგზის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:**

ლიდა გიორგის ასული თერდიაშვილი — წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის პირველადი ორგანიზაციისაგან; მადონა გიორგის ასული ბერაძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქ. თბილისის ლენინის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ეთერ ნიკოლოზის ასული ჭინჭარაძე — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თბილისის მე-5 საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

თამარ პორფილეს ასული გოთუა — ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკთა კოლექტივისაგან;

